



ჰკითხუდობთ ერთად



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი





სსიპ მასნავლაბელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ჰკითხუდობთ ერთად

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ბერიკაშვილი

მეთოდური ხელმძღვანელი
ნინო შარაშენიძე

ილუსტრატორი
მარიამ ელიზბარაშვილი

დიზაინერი
ბესიკ დანელია

კითხვის რესურსები

წინასიტყვაობა კრებულისთვის

კითხვა საფუძველია, ხოლო ტექსტი რესურსია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებისათვის – ესაა მოცემული კრებულის მთავარი და გამჭოლი იდეა.

კითხვა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს როგორც პიროვნების ინტელექტუალური უნარების ჩამოყალიბების, ისე ენობრივი კომპეტენციის ამაღლების მიმართულებით. მეთოდოლოგიურად სწორად და მიზანმიმართულად დამუშავებული ტექსტი შეიძლება იქცეს ყველა უნარის განმავითარებელი აქტივობების საფუძვლად. სწორედ ეს მიდგომაა წარმოდგენილი მოცემულ კრებულში. სპეციალურად შერჩეული ტექსტები რამდენიმე პირობას აკმაყოფილებს – არის დონის შესაბამისი, საინტერესოდ საკითხავი და ისეთი ენობრივი საშუალებების შემცველი, რომ ტექსტის დამუშავებისა და განხორციელებული აქტივობების შემდეგ ავითარებს როგორც გაგება-გააზრების, ისე ზეპირმეტყველებისა და წერის უნარებს.

კრებულში შესულია ჩვიდმეტი ტექსტი (მხატვრული და საინფორმაციო). ტექსტების დამუშავების პირველი ეტაპის სამუშაო მოიცავს ინტერესის გაღვივების საკვანძო კითხვებს, ტექსტის წაკითხვამდე გამოთქმულ ვარაუდებს და წარმოდგენილია რუბრიკით: „აქტივობები თემის გახსნისთვის“. ტექსტის წაკითხვამდე აუცილებელია მკითხველის შემზადება, რაც გულისხმობს უცნობი ლექსიკური ერთეულების გამოყოფას და მათზე მუშაობას. ეს კი მოწოდებულია რუბრიკაში: „ლექსიკაზე, ფრაზებზე, კონსტრუქციებსა და ზმნებზე წაკითხვამდე დაკვირვება“. თემის დამუშავებისთვის სავარჯიშოები შემდეგი რუბრიკებითაა მოწოდებული: „დავალებები ლექსიკაზე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე“ და „ტექსტის კითხვის პროცესი“. უშუალოდ ტექსტზე მუშაობას კი ორი მომდევნო რუბრიკა წარმართავს: „გაგებაზე ორიენტირებული აქტივობები“ და „გრამატიკულ საკითხებზე ორიენტირებული აქტივობები“. თემაზე საუბრის დავალებები წარმოდ-

გენილია რუბრიკით „მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები“. ბოლოს კი, თუკი ტექსტის წამკითხველმა ყველაფერი კარგად შეასრულა, საკითხზე წერაც აღარ გაუჭირდება – ეს კი შესაძლებელი იქნება რუბრიკით: „წერიტი დავალების აქტივობები“.

კრებული კითხვის პროცესისადმი ახლებურ მიდგომას გულისხმობს და წარმოადგენს „ტექსტის – როგორც რესურსის“ ანალიზს, ანუ მოიცავს იმ სამუშაოების ნიმუშებს, რაც სასურველია შესრულდეს, თუკი ტექსტს რესურსის ფუნქციას დავაკისრებთ.

ვფიქრობთ, კრებული კარგი დამხმარე იქნება როგორც მასწავლებლებისთვის, ისე ყველასთვის, ვისაც უნდა, რომ კითხვით მხოლოდ ინფორმაცია კი არ მიიღოს, არამედ ენობრივი ცოდნაც გაიუმჯობესოს.

წინო შარაშენიძე

მეთოდური ხელმძღვანელი

A2

მონე არევაძე-კოტორაშვილი დინოზავრები	10
თეიმურაზ შადაშაურიძე კარაბელი	22
დადი ასდათაიანი-დავითიანი თანოს დღის რეჟიმი	35
იზა გვირაგიანი ღრუბლები	44

A2+

გიორგი ნელიანი დემოკრტი	63
დადი ასდათაიანი-დავითიანი კინეზიკები	75
ნინო ბუთურიანი სარკე	87
დადი ასდათაიანი-დავითიანი ჭიანჭველები	99
იზა გვირაგიანი ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები	119
დადი ასდათაიანი-დავითიანი კამელოტ მონაშვილის ბიოგრაფია	136

B1

გიორგი ვაუჭიძე	
ქართული ჟღერობა	150
ცანდინა მადარონი	
კოკინაძის კარგი სქარტვადი	161
დავ ბუთუნიანი	
სვანეთი	183
მანა მადარონი	
რეა	196
ნანა ნარაძე	
კეტი	213
ნა ლობაძე	
ადრესანო ქართული	232
მელთაძე მკვლევანი	
ახალი ქართული ფიზიკა	247
პანუხი	264

A2



ღინოზავრები	10
კარაგედი	22
ტასოს დღის რეჟიმი	35
ღრუბლები	44

A2 სანიჟორმაციო ტექსტი

ტექსტი შერჩეულია READING.GE-ს „კითხვის კიბის“ მასალებიდან

ავთორი და მასალების ავტორი: ნონა არევაძე-კომორაშვილი


დინოზოავრები

I. აქტივობა თემის განსნისთვის

1.



- დააკვირდით სურათს. დაასახელეთ/ისაუბრეთ, რას ხედავთ სურათზე.
- თქვენი აზრით, რა იქნება წასაკითხი ტექსტის თემა?
- შეავსეთ ასოციოგრამა და დანერეთ ყველაფერი, რაც დინოზავრების შესახებ იცით.



- თქვენი აზრით, რატომ ჩანს სურათზე ფრინველები?

II. ღუქსიკაზე, ფრაზეზე, კონსტრუქციასა და ზანეზე დაკვირვება

დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებს და განმარტებებს, ეს დაგეხმარებათ ტექსტის გააზრებაში:

სიტყვა	ზანეზე
დინოზავრი – პრეისტორიული უზარმაზარი ცხოველი	გაჩენა – გაჩნდებოდნენ ისინი
დალუპვა – სიკვდილი	ცხოვრება – ცხოვრობდნენ ისინი
სახე – აქ: გარეგნობა	გადაშენება – რომელიმე ცხოველის სახეობის სრულად გაქრობა – გადაშენდნენ ისინი
მეცნიერები – სწავლული ადამიანები	განვითარება – სრულყოფა, გაუმჯობესება/დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე ასვლა
ნამარხი – ადგილი მინაში, სადაც ისტორიული ნაშთებია თავმოყრილი	ცვლილება – იცვალეს მათ ის
ფაქტები – მტკიცებულებები	დაინტერესება – დაინტერესდნენ ისინი
უზარმაზარი – ძალიან დიდი	გადანყვეტა – შეთანხმება – გადანყვიტეს მათ ის
გარეგნობა – შესახედაობა	
წონა – სიმძიმე (გრამი, კილოგრამი, ტონა...)	
მტაცებელი – ხორცის მჭამელი ცხოველი	

სიტყვა	ზმნა
<p>უცნობი – შეუსწავლელი (აქ)</p> <p>ვარაუდი – წინასწარი აზრი რაიმეს ან ვინმეს შესახებ; მოსაზრება</p> <p>კატეგორია – ჯგუფი</p> <p>ბინადარი – მცხოვრები</p> <p>ფუტკრისებრი – ფუტკრის მსგავსი</p> <p>ნექტარი – ყვავილის ტკბილი წვენი</p> <p>ნეკა – ყველაზე პატარა და წვრილი თითი</p> <p>დაახლოებით – ის რაც დაბუსტებული არ არის, მაგრამ სწორ პასუხთან უფრო ახლოსაა, ვიდრე – შორს.</p> <p>ზუსტად – დანამდვილებით</p> <p>განსაკუთრებით – გამორჩეულად</p>	<p>გათხრა – მიწის ღრმად ამოღება – გაეთხარათ მათ ის</p> <p>პოვნა – ეპოვათ მათ ის</p> <p>წოდება – დარქმევა – უწოდა მან მას ის</p> <p>შემოტანა – შემოიტანა მან ის</p> <p>აღმოჩენა – აღმოაჩინა მან ის</p> <p>მიკუთვნება – მიაკუთვნა მან მას ის</p> <p>ვარაუდი – ვარაუდობს ის მას</p> <p>ყოფნა – ყოფილა ის</p> <p>ნავარდი – ნავარდობს ის</p> <p>შეგროვება – აგროვებს ის მას</p>

ფრაზა	კონსტრუქცია
<p>სახე იცვალეს – ერთი სახეობიდან მეორე სახეობად გადაიქცნენ</p> <p>დიდი ხნის წინ – ბევრი/მრავალი წლის წინ</p> <p>იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ველოდით – დასახელებულ პერიოდზე ადრე</p> <p>მეგალოზავრი უწოდა – მეგალოზავრი დაარქვა</p>	<p>ყველაზე დიდი/პატარა</p> <p>ყველაზე გრძელი</p> <p>თითზე პატარაა.</p> <p>ოსტატურად ნავარდობს</p> <p>ჰაერში ... ნავარდობს</p>

III. ლავადაბაი დასიკაფე, ფრაზაბსა და კონსტრუქციაფე

2. მოცემული სიტყვები ჩასვით შესაბამის წინადადებებში:

დინოზავრი, ზუსტად, სახე, მეცნიერები, ნამარხი, ფაქტები, წონა, გადაშენდნენ, მტაცებელი, ვარაუდი, უცნობია.

ნიმუში: დინოზავრი არის უზარმაზარი პრეისტორიული ცხოველი.

1. დაინტერესდნენ დინოზავრების გარეგნობით და ცხოვრების წესით.
2. მეცნიერებმა გათხარეს და აღმოაჩინეს დინოზავრების ძვლები.
3. დინოზავრები დიდი ხნის წინ
4. არსებობს, რომ დინოზავრები არ გადაშენებულან.
5. დინოზავრებმა იცვალეს და განვითარდნენ.
6. ყველაზე დიდი დინოზავრის 110 ტონა იყო.
7. მეცნიერებმა ნამარხების გათხრებისას დინოზავრებზე საინტერესო
.....
იპოვეს.
8. დღეს არავინ იცის, რატომ გადაშენდნენ დინოზავრები.
9. დინოზავრები სხვა ცხოველებს ჭამდნენ.
10. დინოზავრების გადაშენების მიზეზი ჯერ კიდევ

3. დააკავშირეთ სიტყვები და განმარტებები:

გაჩნდნენ	გამორჩეულად
გადაშენდნენ	მოსაზრებას გამოთქვამს
განვითარდნენ	დაიბადნენ
განსაკუთრებით	დაიხოცნენ
აღმოაჩინა	ლაღად, თავისუფლად დაფრინავს.
ვარაუდობს	მცხოვრები
ბინადარი	სახე იცვალეს
ნავარდობს	იპოვა

IV. ტექსტის კითხვის პროცესი

4. წაიკითხეთ ტექსტი:

დინოზავრები

დინოზავრები ძალიან **დიდი ხნის წინ** ცხოვრობდნენ დედამიწაზე, იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ადამიანები და სხვა ცხოველები გაჩნდებოდნენ. ისინი 230 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ და დაახლოებით 165 მილიონი წელი იცხოვრეს. შემდეგ კი გადაშენდნენ. დღეს ზუსტად არავინ იცის, რა იყო მათი დაღუპვის მიზეზი. ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ დინოზავრები არ გადაშენებულან, განვითარდნენ და სახე იცვალესო.

მეცნიერები განსაკუთრებით დაინტერესდნენ დინოზავრების გარეგნობით და ცხოვრების წესით. **ამიტომ** გადანყვიტეს, ნამარხები გაეთხარათ, რომ საინტერესო ფაქტები ეპოვათ.

1824 **წელს** ბრიტანელმა მეცნიერმა უილიამ ბაქლენდმა იპოვა დინოზავრის ნამარხი, სადაც აღმოაჩინა ცხოველის ყბის ძვალი. ეს ძვალი ბაქლენდმა მიაკუთვნა უზარმაზარ ცხოველს, რომელსაც **მეგალოზავრი** უწოდა. მეგალოზავრი „დიდ ხვლიკს“ ნიშნავს.

„**დინოზავრის**“ სახელი კი პირველად 1842 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა რიჩარდ ოუენმა შემოიტანა.

ყველაზე დიდი დინოზავრი დედამიწაზე **სეისმოზავრია**; მისი სიგრძე, **როგორც** ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, ორმოცდაათი მეტრი უნდა ყოფილიყო, წონა კი – 110 ტონა.

ყველაზე დიდი მტაცებელი **გიგანტოზავრი** იყო. სიგრძე – 12.5 მეტრი. წონა – 8 ტონა.

ყველაზე გრძელი მტაცებელი **სპინოზავრია**, სიგრძე – 17 მეტრი, წონა – უცნობია.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფრინველები და დინოზავრები ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან. თუ ეს მართალია, **მაშინ ყველაზე პატარა** დინოზავრი დღეს კუბის ბინადარი **ფუტკრისებრი კოლიბრი** ყოფილა. ეს ჩიტი ჰაერში ოსტატურად ნავარდობს და ყვავილების ნექტარს აგროვებს. კოლიბრი მხოლოდ 1,6 გრამს იწონის და **ამიტომ** ნეკა თითზე პატარაა.



V. გავაზავ ორიენტირებული აქტივობები

5. მიუწერეთ ილუსტრაციებს სიტყვები:

ნამარხი

ფუტკრისებრი კოლიბრი

სეისმოზავრი



1.

2.



3.

6. წაკითხეთ ტექსტი და ცხრილში მონიშნეთ სწორია (+) თუ არა (-) ინფორმაცია:

ინფორმაცია ტექსტშია	(+/-)
1. დინოზავრები ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ დედამიწაზე.	+
2. ჯერ ადამიანები გაჩნდნენ, შემდეგ დინოზავრები.	
3. დღეს ზუსტად ვიცით, რა იყო დინოზავრების დაღუპვის მიზეზი.	
4. ზოგი ფიქრობს, რომ დინოზავრები განვითარდნენ და სახე იცვალეს.	
5. იმისათვის, რომ დინოზავრებზე საინტერესო ფაქტები ეპოვათ, მეცნიერებმა დაიწყეს ნამარხის გათხრა.	
6. მეგალოზავრი „დიდ დინოზავრს“ ნიშნავს.	
7. ვარაუდობენ, რომ ფრინველები და დინოზავრები ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან.	
8. ყველაზე პატარა დინოზავრი არის ფუტკარი.	
9. დინოზავრები 165 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.	

7. ცხრილში გაანაწილეთ ფაქტის და ვარაუდის გამომხატველი წინადადებები:

1. დინოზავრები ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ დედამიწაზე.
2. დინოზავრები 230 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.
3. დინოზავრებმა დაახლოებით 165 მილიონი წელი იცხოვრეს.
4. 1824 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა უილიამ ბაქლენდმა იპოვა დინოზავრის ნამარხი.
5. სეისმოზავრი დაახლოებით ორმოცდაათი მეტრი უნდა ყოფილიყო.
6. დინოზავრები გადაშენდნენ.
7. ყველაზე დიდი მტაცებელი გიგანტოზავრი იყო.
8. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფრინველები და დინოზავრები ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან.
9. კოლიბრი მხოლოდ 1,6 გრამს იწონის და ნეკა თითზე პატარაა.
10. კოლიბრი ყველაზე პატარა დინოზავრია.

ფუსტი ინფორმაცია/ფაქტი	არაფუსტი (დაახლოებით ცნობილი) ინფორმაცია/ვარაუდი

VI. პრაქტიკულ საკითხაზე ორიენტირებული აქტივობები

8. წაიკითხეთ ტექსტიდან ამონერილი წინადადებები და შეასრულეთ დავალებები:

1. დინოზავრები ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ დედამიწაზე.
2. ცხოვრობდნენ იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ადამიანები და სხვა ცხოველები გაჩნდებოდნენ.
3. ისინი 230 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.
4. „დინოზავრის“ სახელი პირველად 1842 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა რიჩარდ ოუენმა შემოიტანა.

<p>დინოზავრები დედამინაზე ცხოვრობდნენ იმაზე უფრო ადრე,</p> <p>ისინი 230 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ და დაახლოებით 165 მილიონი წელი იცხოვრეს,</p> <p>თუ ეს მართალია,</p>		<p>ა. შემდეგ კი გადაშენდნენ.</p> <p>ბ. მაშინ ყველაზე პატარა დინოზავრი კუბის ბინადარი ფუტკრისებრი კოლიბრი ყოფილა.</p> <p>გ. ვიდრე ადამიანები.</p>
---	--	---

ბ. მოიფიქრეთ წინადადებების დასაწყისი ან დასასრული:

1. თუ ჰაერის ტემპერატურა -5°C-ია,
2. დაბადების დღეზე უფრო ადრე მივედი
3., შემდეგ კი პური გამოაცხო.
4., ვიდრე ზაფხულში.
5. ნანამ ჯერ პალტო ჩაიცვა,
6., მაშინ მეც ველოსიპედით წამოვალ.

გ. მოცემულ კონსტრუქციებზე მოიფიქრეთ წინადადებები და ჩაწერეთ:

უფრო ადრე – ვიდრე; თუ – მაშინ; ჯერ – შემდეგ კი.

1.
2.
3.
4.
5.
6.

10.

- ა. დააკვირდით ნიმუშს და მოცემული ნაცვალსახელები ჩაწერეთ ცხრილის შესაბამის ადგილას: რომელიც; რომელმაც.**

- ეს ძველი ბაქლენდმა მიაკუთვნა უზარმაზარ ცხოველს, რომელსაც მეგალოზავრი უწოდა.

ბრუნვა	არსებითი სახელი	ნაცვალსახელი
სახელობითი	ცხოველი	
მოთხრობითი	ცხოველმა	
მიცემითი	ცხოველს	რომელსაც

ბ. წინადადებებში გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ცხრილში ჩანერილი არსებითი სახელის და ნაცვალსახელის შესაბამისი წყვილით:

- ვიჩუქებ შინაურ , დავარქმევ ორიგინალურ სახელს.
- ლურჯი ვეშაპი არის , ყველაზე დიდია ზომით.
- ღამით სოფელში შემოსულმა გარეულმა , კვალი დატოვა, ერთი ქათამი შეჭამა.

გ. მოცემულ წყვილებზე შეადგინეთ წინადადებები:

ნიგნი, რომელიც... ბავშვმა, რომელმაც... ფილმს, რომელსაც...

-
-
-

11.

ა. შემოხაზეთ ის შეკითხვა, რომელიც დაესმის ხაზგასმულ წყვილებს:

- გიგანტოზავრი ყველაზე დიდი მტაცებელი იყო.
- სპინოზავრი ყველაზე გრძელი მტაცებელი იყო.
- ყველაზე პატარა დინოზავრი კუბის ბინადარი ფუტკრისებრი კოლიბრი ყოფილა.

- ა. როგორ? ბ. როგორი? გ. რამდენი?

ბ. დააკავშირეთ:

ყველაზე დიდი	უგრძესი
ყველაზე გრძელი	უმცირესი
ყველაზე პატარა	უდიდესი

გ. „ა“ სავარჯიშოს წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები ჩაანაცვლეთ მოცემული ზედსართავებით და ისე გადაწერეთ წინადადებები:

უგრძესი უმცირესი უდიდესი

.....

.....

.....

დ. შეადგინეთ წინადადებები „ბ“ სავარჯიშოში მოცემული ყველა ფორმის გამოყენებით:

1.
2.
3.
4.
5.
6.

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები

12. ტექსტის ბოლო აბზაცში გამოთქმულია მოსაზრება:

„მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფრინველები და დინოზავრები ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან.“

იპოვეთ ამ მოსაზრების მტკიცებულება პირველ აბზაცში და ამოწერეთ:

.....

.....

.....

.....

A2 სანიჟორფაციო ტექსტი

ტექსტი შერჩეულია „კითხვის კიბის“ მასალაიდან:
<http://www.reading.ge/ka/books-by-level/155-karameli>

მათილური დამუშავების ავტორი: თეიმურაზ შალაგერიძე

კარამელი

I. აქტივობა თემის გასწავლისთვის

1. დააკვირდი ფოტოსა და სათაურს. გამოთქვი ვარაუდი, რის შესახებ იქნება ტექსტი?

აირჩიეთ ერთი პასუხი. თითოეული ფრაზის ბოლოს დაწერეთ წერტილ-მძიმე:

- ა. ერთ-ერთი გემრიელი იტალიური კერძის შესახებ
- ბ. ერთ-ერთი ტკბილეულის შესახებ
- გ. ერთ-ერთი ცნობილი რესტორნის შესახებ

რატომ ფიქრობ ასე?



პასუხი:

მე ვფიქრობ, რომ ეს ტექსტი იქნებაის შესახებ, რადგან

ჩემი აზრით, ეს ტექსტი იქნებაზე იმიტომ, რომ

II. დამსიკაფა, ფრაზაფა, კონსტრუქციასა და ზმნაფა დაკვირვაბა

დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებსა და განმარტებებს. ეს დაგეზმარებათ ტექსტის გააზრებაში.

თქმის არსებული ფრაზები	განმარტება
1. შაქარი ღღვება	1. ცხელ ტაფაზე შაქარი დნება, ღღვება, სითხედ გადაიქცევა.
2. ყავისფერი ხდება	2. გაყავისფრება.
3. სითხედ გადაიქცევა	3. როცა რაიმე მყარი საგანი წყლის მსგავსი ხდება.

თქმის არსებული უსო სიტყვები	სიტყვების მნიშვნელობა
1. გამჭვირვალე	1. ძალიან სუფთა, რაშიც გახედვა ან რაიმეს დანახვა შეიძლება (გამჭვირვალე სითხე, გამჭვირვალე ქსოვილი, გამჭვირვალე მინა).
2. ფხვნილი	2. მაგალითად, შაქრის ფხვნილი, ან სარეცხის ფხვნილი.
3. ესენცია	3. სასიამოვნო სუნისა და გემოს მქონე სითხე, რომელსაც ტკბილეულში ამატებენ.
4. სიროფი	4. მოდულებული შაქრიანი წყალი.

III. დავალებები დასიკაზე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე

2. ჩანერეთ მოცემული სიტყვები წინადადებებში:

გადაიქცევა, ღღვება, ხდება.

- კარაქი ცხელ ტაფაზე დნობის პროცესში ყავისფერი
- ცხელ ჩაიში შაქარი სწრაფად
- ყინული დნება და წყლად

3. ჩანერეთ შესაბამისი სიტყვა:

გამჭვირვალე სიროფი ფხვნილი ესენცია



ფორთოხლის



ღვინის ჭიქა.



სარეცხი



შაქრის

4. შეარჩიეთ ბლოკში მოცემული სიტყვებიდან შესაბამისი და ჩანერეთ მრავალწერტილის ნაცვლად:

როგორია	რა ფერის	რა
რად	რისი	რით

- ა. არის ბოთლში? – ფხვნილი.
- ბ. არის მომზადებული კარამელი? – ყავისფერი.
- გ. იქცევა შაქარი გაღობის შემდეგ? – სითხედ.
- დ. ამზადებენ კანფეტებს? – კარამელით.
- ე. გაციებული კარამელი? – გამჭვირვალე.
- ვ. ესენციაა ეს? – ლიმონის.

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი

1. სითხე არ არის ...

- ა. შაქარი
- ბ. წყალი
- გ. ჩაი
- დ. წვენი

2. დაესმის შეკითხვა როგორი?

- ა. ფხვნილი
- ბ. გამჭვირვალე
- გ. ყინული
- დ. კარამელი

3. კულინარიაში არ იყენებენ ...

- ა. შაქრის პუდრს
- ბ. ესენციას
- გ. არომატიზატორს
- დ. სარეცხ ფხვნილს

4. რომელია ზედმეტი სიტყვა?

- ა. ლღვება
- ბ. დნება
- გ. ხდება

5. რა შეიძლება იყოს გამჭვირვალე ?

- ა. შაქარი
- ბ. ფხვნილი
- გ. სითხე
- დ. ვანილი

IV. დაესმის კითხვის კროსჯისი

კარამელით რთავენ ტორტებს, კარამელს უკეთებენ ნაყინს, კარამელით ამზადებენ კანფეტებს, კარამელი გემრიელია.



რა არის კარამელი? კარამელი შაქრისგან მზადდება, შაქარს მშრალად აცხელებენ მაღალ ტემპერატურაზე, შაქარი ლღვება და ფერს იცვლის. შაქარი გაღობის შემდეგ ყავისფერი ხდება და სითხედ გადაიქცევა.

ყავისფერი სქელი სითხე კარამელია. კარამელი ფრანგული სიტყვაა და შემწვარ შაქარს ნიშნავს. კარამელი თაფლს ჰგავს. გაციებული კარამელი გამჭვირვალეა.

ზუსტად არავინ იცის, ვინ გამოიგონა კარამელი. ფიქრობენ, რომ ის პირველად შვეიცარიაში გააკეთეს.

დღეს კარამელს განსხვავებულად, ქარხნული წესით, ამზადებენ. თანამედროვე კარამელი შეიძლება განსხვავდებოდეს ფორმის, ზომისა და სტრუქტურის მიხედვით. კარამელი შეიძლება იყოს მყარი, რბილი და თხევადი. თხევადი კარამელი არის საკონდიტრო სოუსი.

როგორ ამზადებენ კარამელის სოუსს? ალღობენ შაქარს, შემდეგ მას რძეს, კარაქს, ვანილსა და წყალს უმატებენ. გაცხელების დროს მასას უმატებენ სხვადასხვა ხილის სიროფს, არომატიზატორებს, საკვებ ფერებს, ლიმონმჟავას, კაკაოს, ყავას.

კარამელის სოუსს ნაყინისა და ნამცხვრისთვის იყენებენ. კარამელის სოუსი ძალიან გემრიელია.





კარამელის კანფეტი ბევრი ბავშვის საყვარელი ტკბილეულია. კარამელის კანფეტი სხვადასხვანაირია: ვაშლის მარწყვის, ალუბლის...

ქარხნული წესით კარამელის კანფეტებს საქართველოში ტკბილეულის კომპანია „ბარამბო“ აწარმოებს.

V. გავააზროვნოთ ორიენტირებული აქტივობები

6. აღნიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია

წინააღმდეგობა	სწორი	არასწორი
1. კარამელს კერძების მომზადებაში იყენებენ.		
2. კარამელის კანფეტი ადვილად მზადდება.		
3. დანამდვილებით არ ვიცით კარამელის გამომგონებლის ვინაობა.		
4. საქართველოში კარამელი ქარხნული წესით მზადდება.		
5. კარამელი ფრანგულად შაქრიან წყალს ნიშნავს.		
6. კარამელის კანფეტი მხოლოდ ერთი სახისაა.		

7. სავარჯიშო №6-ის ცხრილში მოცემული არასწორი ინფორმაცია დაწერეთ სწორად:

- ა.
- ბ.
- გ.

8. ტექსტის შინაარსის მიხედვით დასვით შეკითხვები და უპასუხეთ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს:

ნიმუში: სადაური სიტყვაა კარამელი? – კარამელი ფრანგული სიტყვაა.

- ა. ?
.....
- ბ. ?
.....
- გ. ?
.....
- დ. ?
.....
- ე. ?
.....
- ვ. ?
.....
- ზ. ?
.....

9. დააკავშირეთ ერთმანეთთან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

- | | |
|-----------------|----------------|
| ქარხნული | უახლესი |
| სოუსი | მრავალფეროვანი |
| თანამედროვე | თხევადი მასა |
| კომპანია | ფაბრიკული |
| სხვადასხვანაირი | ფირმა |

10. დანომრეთ თანამიმდევრულად ტექსტში არსებული ინფორმაცია:

ინფორმაცია	N
კარამელის წარმომავლობა	
კარამელის სოუსის მომზადების წესი	
კარამელი – პატარების საყვარელი ნუგბარი	
კარამელის ქარხნული წარმოება	
კარამელის რაობა	

11. ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვით ტექსტში გამოტოვებულ ადგილებში:

ქარხნული სოუსით თანამედროვე
სხვადასხვანაირი კომპანია

კარამელს დიდი ხნის ისტორია აქვს. ადრე მას სახლებში ამზადებდნენ. დღეს კარამელი წესით მზადდება. კარამელის მომზადების წესი არსებობს. ბევრი ტკბილეულის კარამელის გემრიელი სხვადასხვა ფორმისა და გემოს კანფეტებს აწარმოებს.

VI. გრაფიკულ საკითხაგზა ორიენტირებული აქტივობები

12. ცხრილში ნაჩვენები წესის მიხედვით ქვემოთ მოცემული ზმნები გადაიყვანეთ უწყვეტლის შესაბამის რიცხვში (წარსული დაუსრულებელი დრო):

უწყვეთელი (წარსული დაუსრულებელი)

ზმნები, რომელთაც აწმყოს მესამე პირის მხოლოდით რიცხვში აქვთ ს დაბოლოება	ზმნები, რომელთაც აწმყოს მესამე პირის მხოლოდით რიცხვში აქვთ ა დაბოლოება
მხოლოდითი რიცხვი მე ვთამაშობ – მე ვთამაშობდი მე [[<i>აწმყო</i>]]+დი	მხოლოდითი რიცხვი მე ვდგები – მე ვდგებოდი მე [[<i>აწმყო</i>]]+ოდი
შენ თამაშობ – შენ თამაშობდი შენ [[<i>აწმყო</i>]]+დი	შენ დგები – შენ დგებოდი შენ [[<i>აწმყო</i>]]+ოდი
ის თამაშობს – ის თამაშობდა ის [[<i>აწმყო</i>]]+და	ის დგება – ის დგებოდა ის [[<i>აწმყო</i>]]+ოდა
მრავლობითი რიცხვი ჩვენ ვთამაშობთ – ჩვენ ვთამაშობდით ჩვენ [[<i>აწმყო</i>]]+დით	მრავლობითი რიცხვი ჩვენ ვდგებით – ჩვენ ვდგებოდით ჩვენ [[<i>აწმყო</i>]]+ოდით
თქვენ თამაშობთ – თქვენ თამაშობდით თქვენ [[<i>აწმყო</i>]]+დით	თქვენ დგებით – თქვენ დგებოდით თქვენ [[<i>აწმყო</i>]]+ოდით

- ბ. ჩემს ბავშვობაში დედაჩემი კარამელის მოსამზადებლად ალუბლის წვენს
- ე. ახლა კარამელის მოსამზადებლად ფორთოხლის წვენსაც
- ი. ადრე ბებიჩემი კარამელს მხოლოდ შაქრისგან
- კ. ახლა დედაჩემი კარამელს არაჟანსა და კარაქსაც

14. შეავსე ცხრილი ზმნებით

ზმნაბი	გა	უკნ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
მორთვა		რთავ				
დამატება						უმატებენ
გამოყენება	ვიყენებ					
გაცხელება				ვაცხელებთ		
მსგავსება			ჰგავს			
წარმოება					ანარმოებთ	

15. ფრჩხილებში მითითებულ სიტყვებს მოუძებნე ბლოკში მოცემული თანდებულები და ისე ჩაწერე:

გან დან ზე
ში თვის ით

- ა. ნივრიან მანონს იყენებენ (ტოლმა).
- ბ. ბავშვებს ძალიან მოსწონთ (მარწყვის) დამზადებული კარამელის კანფეტი.
- გ. ხაჭაპურის მომზადების (წესი) ბევრი ინფორმაცია არსებობს.
- დ. ჩვენ ახლა (კაფე) გამოვდივართ.
- ე. ტორტს რთავენ სხვადასხვა (ხილი).
- ვ. (ქვაბი) უმატებენ შაქარს და წყალს.

16. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩაწერეთ შესაბამისი ფორმით (დააკვირდით ნიმუშს):

ნიმუში: უმატებენ (ის მას მას)
დედა ცომს წყალს უმატებს.

- ა. რთავენ (ისინი მას)
..... (ბავშვი) (ნაძვის ხე).
- ბ. გააცხელა (მან ის)
..... (ბებია) (წვნიანი).
- გ. მოსწონთ (მათ ის)
..... (ტურისტი) (სვანეთი).
- დ. ჰგავს (ის მას)
..... (ლელა) (დედა).

17. დაწერეთ წინადადებები შაბლონის გამოყენებით.

გადაიქცევა + ად/დ მუშაობს + ად/დ	
თანხმოვანფუძიანი სიტყვები +ად	ხმოვანფუძიანი სიტყვები +დ
ექიმი – ექიმ-ად	ხე – ხე-დ

- ა. კაკაო გადაიქცევა მუქ (მასა).
- ბ. ზღაპარში პრინცესა (ბაყაყი) გადაიქცევა.
- გ. ეს ადგილი მალე ბავშვების საყვარელ (ადგილი) გადაიქცევა.
- დ. მარნეული მალე დიდ (ქალაქი) გადაიქცევა.
- ე. ჩემი მეგობარი ბანკში მუშაობს (მოლარე).
- ვ. ლევანი რესტორანში მუშაობს (მზარეული).
- ზ. ჩემი ბიძაშვილი ენერგო კომპანიაში მუშაობს (ენერგეტიკოსი).
- თ. მაია ტექნიკის მაღაზიაში მუშაობს (კონსულტანტი).

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები

18. დანომრეთ ფრაზები ისე, რომ მიიღო დიალოგი:

- მარტო შაქრისგან?.. და როგორ ამზადებენ?
- ეს კარამელია!
- კანფეტების გარდა, კიდევ რისთვის იყენებენ კარამელს?
- კარამელი მზადდება შაქრისგან.
- ეს რა არის?

- მართო შაქრისგან – არა. ჯერ ლღვება შაქარი. მერე უმატებენ რძეს, კარაქს, ვანილს. კარამელით ამზადებენ სხვადასხვანაირ კანფეტებს.
- კარამელი? გემრიელი ჩანს! რისგან მზადდება?
- ნაყინისა და ნამცხვრისთვის.

19. თქვენს მეგობარს აინტერესებს კარამელის შესახებ ინფორმაცია. მოუყევით მისი წარმოშობის ისტორია და მომზადების წესი. გამოთქვით აზრი, რა შემატა კარამელის გამოგონებამ კულინარიას. გამოიყენეთ ტექსტში მოცემული სიტყვები, ფრაზები და ზმნის ფორმები.

.....

.....

.....

.....

.....

.....

VIII. წერიტი ღაჳაღაბის აჳთიჳობაბი

20. ჩასვით ტექსტში ბლოკში მოცემული სიტყვები

უმატებენ / სოუსს / იყენებენ
 ტემპერატურაზე / ალღობენ

კარამელის მოსამზადებლად პირველად შაქარს მაღალ მიღებულ სითხეს რძეს, კარაქს, ვანილსა და წყალს. მიღებულ ნაყინისა და ნამცხვრების მოსამზადებლად

21. მისწერეთ მეგობარს კარამელისა და კარამელის სოუსის მომზადების წესი. გამოიყენე ზმნები: რთავენ, უმატებენ, ალღობენ, უკეთებენ. წერის დროს მიაწოდეთ ინფორმაცია თანამიმდევრულად:

- ზოგადი ინფორმაცია კარამელზე.
- სად რა რაში იყენებენ კარამელს.
- კარამელის სოუსის მომზადების წესი.

A2 მხატვრული თემატიკა

თემატიკის ავტორი: დანი ასლაშაიანი-დალაქიანი

მეთოდური დახმავების ავტორი: დანი ასლაშაიანი-დალაქიანი

ტასოს დღის რეჟიმი

I. აქტივობა თემის განხილვისთვის

1. დააკვირდით სურათებს და უპასუხეთ:



- ა. რა არის მათზე გამოხატული?
- ბ. თქვენი აზრით, რაზეა ტექსტი?
- გ. პერსონაჟი ბიჭია თუ გოგო?

2. თქვენი აზრით, ვისი სახელია ტასო?

- ა. გოგოს სახელი
- ბ. ბიჭის სახელი

3. მიუწერეთ სურათის ნომერი:

1. კბილებს იხეხავს	6. ჩანთაში ალაგებს
2. იღვიძებს	7. წერს
3. იძინებს	8. მიდის სკოლაში
4. მეცადინეობს	9. საუბრობს
5. ხელ-პირს იბანს	10. კითხულობს

II. დაუსიკაფა, ფრაზაგაფა, კონსტრუქციასა და ზმნაგაფა დაკვირვება





4. დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებსა და განმარტებებს, ეს დაგეხმარებათ ტექსტის გააზრებაში:

სიტყვა	ზმნა
სალამურა (ვინ?) – ქართული ზღაპრის პერსონაჟის სახელი	იცვამს (გოგონა იცვამს კაბას, წინდას) ის მას.
წინდა (რა?) – ფეხზე ჩასაცმელი (ფეხსაცმლის შიგნით)	იბანს (ტასო იბანს ხელ-პირს) ის მას.
ჯაგრისი (რა?) – ტანსაცმლის ან კბილის საწმენდი	იხეხავს (ტასო იხეხავს კბილებს) ის მას.
ბალიში (რა?) – ძილის დროს თავქვეშ დასადები	საუბრობს ის (ტასო) (ტასომ უნდა ისაუბროს) ისაუბროს მან.
განბილება (რა?) – იმედგაცრუება; გაანბილებს (რას გააკეთებს) = რასაც ელის, ის არ იქნება	მიდის (ტასო მიდის სკოლაში) ის.
სასწაული (რა?) – არაჩვეულებრივი; რეალურისგან განსხვავებული	ბრუნდება/მოდის (ტასო ბრუნდება სკოლიდან).
ჯადოსნური (როგორი?) – ზღაპრული, დაუჯერებელი	ამზადებს ის მას (ტასო ამზადებს გაკვეთილებს).
	კითხულობს ის მას (ტასო კითხულობს წიგნს).
	იძინებს ის (ტასო).
	იწყება ის (ღამე).
	მოიხდინა მან ის (ტასომ მოიხდინა ფეხსაცმელი).
	იქნევს ის მას (ტასო იქნევს ხელს).
	გაუმტყუნებს/გაუცრუებს – ის მას მას (ტასო მშობლებს იმედს).

ფრაზაჟი	კონსტრუქციაჟი
ცაზე აინთება მთვარე – მთვარე ამოვა	იცვამს/იბანს/იხეხავს ს
ბალიშს ძილს მიანდობს – დაიძინებს	მიდის ში
იწყება სიზმრის ღამე – იძინებს	ბრუნდება დან
ოჯახს არ გაანბილებს – იმედს არ გაუცრუებს / მოლოდინს გაამართლებს	აინთება ზე
მოიხდინა ფეხსაცმელი – ჩაიცვა და მოეწონა	მიდის კენ
	იხეხავს ით (რით? – ჯაგრისით)

III. დავალები დეუსიკაზე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე

5. დააკავშირეთ ფრაზები ნახატებთან:

			
ცაზე აინთება მთვარე.	ჯადოსნური ღამე იწყება.	ბალიშს ძილს მიანდობს.	ფეხსაცმელი მოიხდინა.

6. დააკავშირეთ სიტყვები და გვერდით გადაწერეთ ფრაზები:

ა. იხეხავს	გაკვეთილებს	იხეხავს კბილებს
ბ. იბანს	სკოლაში
გ. დგება	კბილებს
დ. წვება	ხელ-პირს
ე. მიდის	საწოლიდან
ვ. სწავლობს	საწოლში

7. მიღებული ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

8. დაიმახსოვრეთ! ადამიანი შეიძლება იყოს:

ბეჭითი	ვისაც უყვარს სწავლა.
ზრდილობიანი	ვინც თავისი ქცევით პატივს სცემს სხვებს.
შრომისმოყვარე	ვისაც არ ეზარება შრომა.
ცნობისმოყვრე	ვისაც ყველაფერი აინტერესებს.
მონწესრიგებული	ვინც ყველაფერს თავის დროზე აკეთებს.

IV. ტაქსის კითხვის პროცესი

9. წაიკითხეთ ლექსი და უპასუხეთ: რას ნიშნავს დღის რეჟიმი?

ტასოს დღის რეჟიმი

- 1.** მზესთან ერთად დგება ტასო:
იცვამს წინდებს, იცვამს კაბას,
ფეხსაცმელიც მოიხდინა –
და ბარმაცებს სულაც არ ჰგავს!

- 2.** მერე ხელ-პირს იბანს მშვიდად,
ჯაგრისით იხეხავს კბილებს,
ახლა უნდა ისაუბმოს,
ოჯახს ხომ არ გაანბილებს?!

- 3. ჩაალაგა სკოლის ჩანთა,
მიდის სწრაფად, მიდის ლხენით,
მერე ცოდნით დატვირთული,
სახლისაკენ მოდის ფრენით.
- 4. ჯერ ამზადებს გაკვეთილებს,
მერე სულ სხვა წიგნი ელის:
– ჯადოსნური სამყაროდან
სალამურა იწვევს ხელით.
- 5. და როდესაც დაღამდება,
ცაზე აინთება მთვარე,
ტასო ბალიშს ძილს მიანდობს
და იწყება სიზმრის ღამე.

ღალი დაღაქიშვილი

ღლის რეჟიმი არის

V. ვაგაბაგა ორიენტირებული აქტივობა

10. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი
(მიუთითეთ შესაბამისი სტროფი და სურათის ნომერი გვერდი 35-დან):

აკომი	სტროფი N	სურათი N
1. სიზმრის ღამე		
2. დილა ტასოსთან		
3. სკოლიდან დაბრუნება		
4. შეხვედრა წიგნის გმირებთან		
5. ოჯახთან ერთად		

11. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხე კითხვებს:

- 1. როდის დგება ტასო?
- 2. როდის იძინებს?
- 3. რა უყვარს ტასოს?
- 4. ვინ უყვარს ტასოს?

12. მიუთითეთ სწორია/არასწორია; არასწორი ინფორმაცია გაასწორეთ:

- ა.** ტასოს ადრე ადგომა არ უყვარს.
.....
.....
- ბ.** ტასო კარგი მოსწავლეა.
.....
.....
- გ.** ტასო სხვა წიგნებსაც კითხულობს.
.....
.....
- დ.** ტასო სკოლიდან დაბრუნების შემდეგ იძინებს.
.....
.....

VI. პრაქტიკულ საკითხაზე ორიენტირებული აქტივობები

13. სკივრიდან ამოარჩიეთ სიტყვები, რომლებიც დღის რეჟიმის დასაწერად გამოგადგებათ და გადანერეთ გვერდით ხაზებზე:



დგება.
ყიდულობს.
საუზმობს. ხატავს.
სადილობს.
უყვარს. სწავლობს.
მეგობრობს.
დარბის.

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

14. დააკვირდით ნიმუშს და შეავსეთ ცხრილი:

ის	შე
იღვიძებს / დგება / იცვამს	ვიღვიძებ / ვდგები
იბანს	
იხეხავს	
საუზმობს	
მიდის / ბრუნდება / მოდის / ამზადებს	
კითხულობს	
იძინებს	

15. ა. დაწერეთ ტასოს დღის რეჟიმი, საათები მიუწერეთ თქვენი სურვილის მიხედვით:

7.00	დგება
	იცვამს
	იბანს ხელ-პირს და იხეხავს კბილებს
	საუზმობს
	მიდის სკოლაში
	ბრუნდება სკოლიდან სახლში
	ამზადებს გაკვეთილებს
	კითხულობს წიგნებს
	იძინებს

ბ. ცხრილზე დაყრდნობით ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ წინადადებები:

1. ტასო დგება 7 საათზე.
2.
3.
4.
5.
6.

- 7.
- 8.
- 9.

16. წინა დავალების მიხედვით დაწერეთ თქვენი დღის რეჟიმი:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობა

17. იმსჯელეთ, რითი ჰგავს და რითი განსხვავდება თქვენი დღის რეჟიმი ტასოს დღის რეჟიმისგან? ჩაწერე დასკვნა, გამოიყენეთ სქემა:

ტასოსგან განსხვავებით მე

.....

.....

ტასოს მსგავსად მეც

.....

.....

18. როგორი გოგოა ტასო? შეავსეთ გამოტოვებული ინფორმაცია:

პერსონაჟი	თვისაა	რა წერია ტექსტში?	რას ვფიქრობთ აქ? რატომ?
	ყოჩაღი	მზესთან ერთად დგება	სიხარულით აკეთებს ყველაფერს
	ბეჭითი/შრომისმოყვარე	ცოდნით დატვირთული სახლისაკენ მოდის ფრენით	
	მონესრიგებული		ემზადება სკოლისათვის
		სალამურა იწვევს ხელით	

19. დააკავშირეთ ფრაზები და გადანერეთ ქვედა ხაზებზე:

- | | |
|------------------------------|---------------------------|
| 1. არის მონესრიგებული | სხვა წიგნებსაც კითხულობს. |
| 2. არის ბეჭითი | დილით ადრე დგება. |
| 3. არის ცნობისმოყვარე | ემზადება სკოლისათვის. |
| 4. არის ყოჩაღი | უყვარს სწავლა. |

იმითომ, რომ

მაგალითად: არის ბეჭითი, იმითომ, რომ უყვარს სწავლა.

.....
.....
.....

20. ისაუბრეთ ტასოს შესახებ:

როგორი გოგოა? რატომ ფიქრობთ ასე?

.....
.....
.....
.....

VIII. წერიტი ღავაღავის აქტივობაჟი

21. დანერეთ ტასოს დახასიათება.

ტასო არის (როგორი?) იმითომ, რომ ის
ის ასევე არის , რადგან ყოველთვის
.....
.....
.....
.....

A2 სანიუმორავსიო ტავსტი

ტავსტი შარავლია „კითხვის კიბის“ მასალაბილავს:
<http://www.reading.ge/ka/books-by-level/110-ghrulebi>

მეთოლური ღაშუშავაბის ავთორი: იზა გვირავიშვილი

ღრუბღღაბი

I. აქტივობა თაბის მასნისთვის

1.ა რას ხეღავთ სურათზე?



1.ბ როგორ ფიქრობთ, რის შესახებ შეუღლიათ ღრუბღღებს ინფორმაციის მონოღება?

- ა. არაფრის შესახებ.
- ბ. ამინღის შესახებ.
- გ. ჰაერის ტემპერატურის შესახებ.

II. ლექსიკაზე, ფრაზაზე, კონსტრუქციასა და ზნეობაზე დაკვირვება

სიტყვები და ფრაზები
თხელი – მცირე სისქის მქონე
სქელი – დიდი სისქის მქონე
ყინული – წყალი -10c და უფრო დაბალ ტემპერატურაზე
ორთქლი – წყალი აირად მდგომარეობაში
წვეთი – სითხის მცირედი ნაწილი, აქვს მომრგვალებული ფორმა
ხშირად – ზედიზედ ბევრჯერ (ანტონიმი, საპირისპირო სიტყვა – იშვიათად)
ბეკეკა – იგივე ბატკანი, კრავი – ცხვრის ნაშიერი
ფუმფულა – რბილი, ფაფუკი
ასული – ვინც, რაც ზემოთ ავიდა
თავსხმა წვიმა – ძლიერი წვიმა

ზნეობი	კონსტრუქციები
დაკვირვება – აკვირდება ის მას (ბავშვი ცას)	ორთქლად გადაიქცევა – ორთქლი გახდება
გადაქცევა – გადაიქცევა ის (ღრუბელი)	ერთმანეთს ჰგავს – მსგავსია
ცურვა – მიცურავს ის (ღრუბელი)	ერთმანეთს არ ჰგავს – არ არის მსგავსი
დალოდება – ელოდება ის მას (ხალხი ამინდს)	ზემოთ ადის
ველოდებით ჩვენ მას (ამინდს)	აკვირდები ხოლმე
გაცრა – ცრის – (უპირო ზმნაა, თუ წვიმას გამოხატავს = წვრილად წვიმს)	ამბობენ, რომ...
ცრის ის მას (დედა ფქვილს)	

III. ღვადაღვაბი ლექსიკაზე, ფრაზაზე და კონსტრუქციაზე

წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

ახალი სიტყვა	განმარტება
თხელი	 <p>მცირე სისქის მქონე</p>

ახალი სიტყვა		განმარტება
სქელი		დიდი სისქის მქონე
ყინული		წყალი 0°C და უფრო დაბალ ტემპერატურაზე
ორთქლი		წყალი აირად მდგომარეობაში
წვეთი		სითხის პატარა ნაწილი, აქვს მომრგვალებული ფორმა
ხშირად		ზედიზედ ბევრჯერ (ანტონიმი: იშვიათად)
ბეკეკა		იგივე ბატკანი, კრავი – ცხვრის ნაშიერი
ფუმფულა		რბილი, ფაფუკი
ასული		ვინც, რაც ზემოთ ავიდა

2. მიუწერეთ სურათს შესაბამისი სიტყვა:

თხელი, წვეთი, სქელი, ორთქლი, ყინული, ბეკეკა

<p>ეს რვეულები არის</p>	
<p>ეს რვეულები არის</p>	
<p>ეს არის</p>	
<p>ჩაიდნიდან ამოდის</p>	
<p>ეს არის წვიმის</p>	
<p>ეს არის</p>	

3. გაეცანით ამინდის პროგნოზს და მონიშნეთ, როგორი ამინდია ხშირად, როგორი – იშვიათად?

ხშირად / იშვიათად



ორშაბათი



სამშაბათი



ოთხშაბათი



ხუთშაბათი



პარასკევი



შაბათი



კვირა

	ხშირად	იშვიათად
ღრუბლიანი		
წვიმიანი		
მზიანი		

4. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. ფუმფულა არ შეიძლება იყოს:

- ა. წიგნი ბ. ნამცხვრი გ. ბენჯი დ. ღრუბელი

2. თხელი შეიძლება იყოს:

- ა. გზა ბ. სკოლა გ. წიგნი დ. სკამი

3. სქელი არ შეიძლება იყოს:

- ა. ალბომი ბ. წყალი გ. წიგნი დ. ჟურნალი

4. რომელი არ არის სწორი შესიტყვება:

- ა. კიბეზე ასული ბ. ცაში ასული გ. მაღლა ასული დ. ქვემოთ ასული

5. რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში:

„ციყვებს (როგორი?) კუდები აქვთ.“

- ა. პატარა ბ. ფუმფულა გ. თხელი დ. მოკლე

6. წვეთი არ შეიძლება იყოს:

- ა. თოვლის ბ. წყლის გ. წვიმის დ. წამლის

5. დაუნერეთ სურათის ნომერი განმარტებას:



ა. შავი ღრუბლები წვიმასა და სუსტ ქარს ნიშნავს.

ბ. ნაცრისფერი ღრუბლები ხშირად დიდ ტერიტორიაზე იშლება, ამიტომაც წვიმა სუსტი, მაგრამ ხანგრძლივი იქნება.

გ. ყავისფერი ღრუბლები წვიმასა და ძლიერ ქარს ნიშნავს.

6. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და შეასრულეთ სავარჯიშო ნიმუშის მიხედვით:

ღაიიასსოვრათ!

საგნის სახეცვლილების გამოსახატავად ვიყენებთ ასეთ კონსტრუქციას: **გადაიქცა-ად**

ზღაპარში ბაყაყი **უფლისწულად** გადაიქცა. ეს წინადადება ნიშნავს: იყო ბაყაყი და გახდა უფლისწული.

შენიშვნა: ყურადღება მიაქციეთ, ზოგიერთი სიტყვა ვითარებით ბრუნვაში კარგავს ხმოვანს.

დაუკვირდით: წყალი-წყლად – ყინული **წყლად** გადაიქცა. იყო ყინული და გახდა წყალი.

ნიმუში: იყო **ყინული** და გახდა **წყალი**. **ყინული წყლად** გადაიქცა.

1. იყო წვიმის წვეთი და გახდა თოვლის ფიფქი.
.....
2. იყო წყალი და გახდა ყინული.
.....
3. იყო წყალი და გახდა ორთქლი.
.....
4. იყო შეშა და გახდა ნახშირი.
.....
5. იყო გედი და გახდა გოგონა.
.....
6. იყო ოცნება და გახდა სინამდვილე.
.....
7. იყო ორთქლი და გახდა წყლის წვეთები.
.....
8. იყო ღვინო და გახდა ძმარი.
.....
9. იყო ნაღები და გახდა კარაქი.
.....
10. იყო თოვლი და გახდა წყალი.
.....
11. იყო სიზმარი და გახდა სინამდვილე.
.....

IV. ბაქსტის კითხვის პროცესი

7. წაიკითხეთ ტექსტი და გვერდით მოცემულ უჯრებში ყოველ ახალ ინფორმაციასთან ჩაწერეთ – , შენთვის ნაცნობ ინფორმაციასთან ჩაწერე + :

ღრუბლები	
<p>თუ ცას აკვირდები ხოლმე, ღრუბლებს ხშირად დაინახავ. როცა თბილა, წყლის წვეთები და ყინული თბილ ჰაერთან ერთად ცაში გრილი ჰაერის ზემოთ ადის. წყლის წვეთები და ყინული წყლის ორთქლად გადაიქცევა. სწორედ ეს ორთქლია ღრუბელი.</p> <p>ღრუბლები ერთმანეთს არ ჰგავს. ღრუბლებს სხვადასხვა ფორმა აქვთ. ზოგი ღრუბელი ბეკეკას ჰგავს, ზოგი კი – ადამიანის სახეს.</p> <p>ღრუბლები გვეუბნებიან, როგორ ამინდს ველოდებით. ფუმფულა, თეთრი ღრუბლები გვეუბნებიან, რომ თბილ და მზიან ამინდს ველოდებით.</p>	

<p>თხელი, ნაცრისფერი ღრუბლები გვეუბნებიან, რომ წვიმას ველოდებით. ასეთ დროს წვრილ წვიმას ველოდებით. როცა წვრილი წვეთებით წვიმს, ამბობენ, რომ ცრის.</p>	
<p>სქელი, შავი ღრუბლები გვეუბნებიან, რომ ძლიერი წვიმა იქნება. როდესაც მსხვილი წვეთებით წვიმს, ამბობენ, რომ თავსხმა წვიმაა.</p>	
<p>როცა ცაზე თხელი და გრძელი ღრუბლებია, ამბობენ, რომ ქარს ველოდებით. ქარის დროს ღრუბლები ცაში მიცურავენ ხოლმე.</p>	
<p>შეიძლება ცაზე ღრუბელი საერთოდ არ იყოს. ასეთ დროს ვამბობთ, რომ უღრუბლო ცაა. უღრუბლო ცას მოწმენდილ ცას ვეძახით. როცა ცა მოწმენდილია, ამბობენ, რომ კარგი ამინდია.</p>	

V. გავააზრებო რეაქციური აქტივობები

8. შემოხაზეთ ერთი სწორი პასუხი:

- ტექსტის მიხედვით, როდის ვხედავთ ღრუბლებს?
 - ა. როცა წვიმს
 - ბ. როცა შემოდგომაა
 - გ. როცა ცას ვაკვირდებით
- ღრუბელი არის:
 - ა. წვიმის წყალი
 - ბ. წყლის ორთქლი
 - გ. ყინული
- თუ ღრუბელი თეთრია, ამინდი იქნება:
 - ა. მზიანი
 - ბ. წვიმიანი
 - გ. ქარიანი
- ძლიერ წვიმას გვამცნობს:
 - ა. თეთრი ღრუბლები
 - ბ. ნაცრისფერი ღრუბლები
 - გ. შავი ღრუბლები
- რომელი ინფორმაციაა სწორი:
 - ა. თბილი ჰაერი გრილი ჰაერის ზემოთაა.
 - ბ. თბილი ჰაერი გრილი ჰაერის ქვემოთაა.
 - გ. თბილი ჰაერი ერევა გრილ ჰაერს და ათბობს მას.
- როდის ამბობენ, რომ ცრის?
 - ა. როცა წვრილი წვიმაა
 - ბ. როცა ძლიერი წვიმაა
 - გ. როცა თავსხმა წვიმაა

7. ღრუბელი როგორი არ შეიძლება იყოს:
ა. თხელი **ბ.** შავი **გ.** კვადრატული
8. როგორი ღრუბლები ამბობენ, რომ წვრილი წვიმა იქნება?
ა. თეთრი და ფუმფულა **ბ.** შავი და სქელი **გ.** ნაცრისფერი და თხელი
9. როგორი ღრუბლები ამბობენ, რომ ქარს ველოდებით?
ა. თეთრი და ფუმფულა **ბ.** შავი და **გ.** თხელი და გრძელი სქელი ღრუბლები
10. რომელი ინფორმაცია არ არის სწორი:
ა. ღრუბლები ერთმანეთს ჰგავს **ბ.** ღრუბლები ერთმანეთს არ ჰგავს **გ.** ზოგ ღრუბელს ადამიანის სახე აქვს

9. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რაში გვეხმარებიან ღრუბლები?

2. რა მოსდის ცაში ასულ წყლის წვეთებს?

3. როდისაა თავსხმა წვიმა?

4. რისი დახმარებით გამოვიცნობთ ამინდს?

5. რა მოსდით ღრუბლებს ქარის დროს?

6. როდის არის ცა მოწმენდილი?

7. როდის არის კარგი და მზიანი ამინდი?

8. რომელ აბზაცში წერია, როგორ ჩნდება ღრუბელი?

9. როგორი ღრუბლებიდან მოდის წვიმა?

10. როგორ ამინდშია თეთრი და ფუმფულა ღრუბლები?

10. შეურჩიეთ წინადადებებს შესაბამისი დასასრული და გადაწერეთ:

წინადადების დასაწყისი	წინადადების დასასრული
1. თუ ცას აკვირდები ხოლმე,	საერთოდ არ იყოს.
2. შეიძლება ცაზე ღრუბელი	ღრუბლები ცაში მიცურავენ ხოლმე.
3. უღრუბლო ცას	ამბობენ, რომ ცრის.
4. ღრუბლები გვეუბნებიან	ღრუბლებს ხშირად დაინახავ.
5. ქარის დროს	როგორ ამინდს ველოდებით.
6. როცა წვრილი წვეთებით წვიმს,	მონმენდილ ცას ვეძახით.
7. სქელი, შავი ღრუბლები ამბობენ,	ესე იგი კარგი ამინდია.
8. როცა ცა მონმენდილია,	წყლის ორთქლად გადაიქცევა.
9. ფუმფულა, თეთრი ღრუბლები ამბობენ,	რომ ძლიერ წვიმა იქნება.
10. წყლის წვეთები და ყინული	რომ თბილ და მზიან ამინდს ველოდებით.

1. თუ ცას აკვირდები ხოლმე, ღრუბლებს ხშირად დაინახავ.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

VI. გრამატიკულ საკითხაზე ორიენტირებული აქტივობები

11. დააკვირდით გამოსახულებებსა და წარწერებს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ბიჭი მეორე სართულზე ადის.
 ის მეორე სართულიდან ჩადის.

	<p>ზემოთ ასვლა; ადის</p>	<p>გორაკზე / ავტობუსში ადის</p>
	<p>ქვემოთ ჩასვლა; ჩადის</p>	<p>გორაკიდან / სარდაფში ჩადის</p>

ჩანერეთ გამოტოვებულ ადგილას ზმნებიდან (ასვლა, ჩასვლა) ერთ-ერთი შესაბამისი ფორმით:

1. კვამლი ყოველთვის მაღლა
2. კატა ხეზე
3. კაცი მეტროში
4. ალპინისტი მწვერვალზე
5. მოსწავლე პირველ სართულზე
6. ორთქლი ცაში
7. წყალი ორმოში
8. ბავშვი კიბეზე
9. ბავშვი კიბიდან ძირს
10. დედა ლიფტით ზემოთ

12. ა. დააკავშირეთ ნიშნების მიხედვით:

წყლის	ადის
ცაში	წვეთები
ცა	წვიმა
ორთქლად	მონმენდილია
თავსხმა	ერთად
ჰაერთან	ხოლმე
მონმენდილი	გადაიქცევა
აკვირდები	ველოდებით
ამინდს	ცა

ბ. მიღებული ფრაზები ჩასვით შესაბამის წინადადებაში:

1. წყლის წვეთები თბილ ჰაერთან ერთად გრილი ჰაერის ზემოთ ადის.
2. თბილი ჰაერი გრილი ჰაერის ზემოთ
3. როცა ცაზე ღრუბლები არ არის, ამბობენ, რომ
4. წვიმის წვეთები და ყინული
5. როცა მსხვილი წვეთებით წვიმს,
6. წყლის წვეთები და ყინული თბილ
გრილი ჰაერის ზემოთ ადის.
7. უღრუბლო ცაა.
8. როცა ცას, დაინახავ ღრუბლებს.
9. თეთრი ღრუბლები ამბობენ, რომ თბილ და მზიან

8. იმავე ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1. **ნიმუში:** ფანჯრის მინას წყლის წვეთები ეტყობოდა.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.

ღიჟასოვრათ!

თუ გვინდა, ისეთი მოქმედება გამოვხატოთ, რომელიც ხშირად მეორდება, **ზმნას უნდა დავუმატოთ სიტყვა – ხოლმე**. მივდივარ/მივდიოდი/ წავალ ხოლმე:

როგორც წესი, სამშაბათობით ბებიასთან მივდივარ ხოლმე.

ბებოს სანახავად ყოველდღე მივდიოდი ხოლმე.

რადგან სამშაბათს აღარ მცალია, ბებიას სანახავად ორშაბათობით წავალ ხოლმე.

13. წინადადებაში სიტყვები დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით:

ნიმუში: ხშირად ცას ხოლმე ვაკვირდები. ცას ხშირად ვაკვირდები ხოლმე.

1. ზაფხულობით ხშირად ხოლმე ცა მოწმენდილია.
2. ქარის დროს ხოლმე ღრუბლები მიცურავენ.
3. წვეთები წყლის ხოლმე ორთქლად გადაიქცევა.
4. ზამთარში ხოლმე ცა ნაცრისფერია.
5. თავსხმა წვიმის დროს ხოლმე სქელი შავი ღრუბლებია.
6. თხელი და გრძელი ღრუბლების დროს ხოლმე ქარს ველოდებით.
7. თეთრი ღრუბლების დროს ხოლმე კარგ ამინდს ველოდებით.
8. შავი ღრუბლების დროს ხოლმე თავსხმა წვიმას ველოდებით.
9. უღრუბლო ცას ხოლმე მოწმენდილ ცას ვეძახით.
10. როცა კარგი ამინდია, ხოლმე ცა მოწმენდილია.

ღიჟასოვრათ!

როცა კონკრეტულად არ არის დასახელებული მოქმედი პირი, ვიყენებთ **ამბობს** ზმნის მრავლობით ფორმას **რომ** კავშირთან ერთად: – „ვამბობთ / ამბობენ, რომ...“

ამბობენ, რომ მარსზე სიცოცხლე შესაძლებელი გახდება.

14. ა. ამოიწერეთ ტექსტიდან ის წინადადებები, რომლებშიც გამოყენებულია კონსტრუქცია: „ვამბობთ, რომ... / ამბობენ, რომ...“

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

ბ. დააკავშირეთ წინადადების ნაწილები სწორად:

როცა მერცხლები დაბლა დაფრინავენ,	ამბობენ, რომ მთელი დღე კარგ ხასიათზე იქნები.
თუ დილას სიმღერით დაიწყებ,	ამბობენ, რომ ის ცუდად იშვიათად ხდება.
ვინც ყოველდღე ვარჯიშობს,	ამბობენ, რომ პინოქიოსავით გაგებრდება ცხვირი.
თუ ტყუილს იტყვი,	ამბობენ, რომ წვიმა იქნება.

გ. შეადგინეთ მსგავსი წინადადებები ამ კონსტრუქციის (ამბობენ, რომ...) გამოყენებით:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

გაიხსენეთ!

არის ზმნა ზოგჯერ მთლიანად არ წერია წინადადებაში, ის შეკვეცილია და დარჩენილია მხოლოდ **ა**, რომელიც სხვა სიტყვასთან წერია.

მაგ.: ღრუბელი თეთრი **არის** = ღრუბელი თეთრი**ა**.

15. ა. ამოიწერეთ ტექსტიდან ის წინადადებები, რომლებშიც ზმნა „არის“ შეკვე-
ცილია:

1.
2.
3.
4.

ბ. ამოწერილი წინადადებები დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ნანას კაბა ლამაზია – ნანას კაბა ლამაზი არის.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

გ. შეადგინეთ წინადადებები მსგავსი ფორმების გამოყენებით:

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

VII. ასვლობაჲ ორინდირაბული აჲთიჲობაბი

16. დაუსვით მენყვილეს მოცემული კითხვები და გამართეთ დიალოგი:

- როცა ცაზე ღრუბელი არ არის, როგორია მაშინ ცა?
ასეთ დროს როგორი ამინდია?
- როცა ცაზე ღრუბლებია, მაშინ როგორია ცა?
- რა შეუძლიათ გვითხრან ღრუბლებმა?
- დღეს როგორი ცაა?
- აბა, დააკვირდი ცას! ნახე, რა სხვადასხვა ფორმა აქვს ღრუბლებს?
რას ჰგავს ღრუბელი?
- დღეს როგორი ღრუბლებია ცაზე – თხელი თუ სქელი, ფუმფულა თუ გრძელი, თეთრი, შავი თუ ნაცრისფერი?
- იცი, როგორ ამინდს ველოდებით?
- დღეს რომ შავი (თეთრი, ნაცრისფერი...) ღრუბელი ყოფილიყო, როგორი ამინდი იქნებოდა?

VIII. წართი ღვალაბის აჲთიჲობაბი

17. მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვა და ჩანერეთ ტექსტში გამოტოვებულ ადგილას:

ღრუბლიანია
ცაზე
განვიმდეს
ძლიერი
სქელი / შავი
ამბობენ, რომ

დღეს ცაზე და
ღრუბლებია. ამიტომ ცა
.....,, როცა
..... ასეთი ღრუბლებია,
..... წვიმა იქნება. ამიტომ დღეს
შეიძლება

18. გამოიყენეთ დიალოგისთვის მოცემული კითხვები, ასევე ზემოთ შემოთავაზებული ჩარჩო ტექსტისთვის და დაწერეთ, როგორი ამინდია დღეს.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

A2+



დელმოხუროთი	62
პიგვიპიგვი	75
სარკე	87
ჭიანჭვიდეგი	99
ქართული ხადხური მუსიკადური ინსტრუმენტები	119
ჰადდეთ ზონაშვილის ბიოგრაფია	136

A2+ საინფორმაციო ტექსტი

ტექსტი შერჩეულია „კითხვის კიბის“ მასალაიდან:
<http://reading.ge/ka/books-by-level/170-lelo>

ავთოლური დამუშავების ავტორი: გიორგი ნაღრაშვილი

დედობურთი

I. აქტივობა თემის გახსენსთვის

1. იცით, თუ არა სპორტის რომელი სახეობაა ფოტოზე?
2. თქვენი აზრით, რომელ თამაშს ჰგავს ის?



II. დანსიკაზა, ფრაზაზა, კონსტრუქციასა და ზანებაზა დაკვირვება

3. დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებსა და განმარტებებს, ეს დანგეხმარებათ ტექსტის გააზრებაში:

სიტყვაი	ზანებაი
ლელო – 1. ლელობურთი – ქართული ეროვნული სპორტის სახეობა.	წარმოშობა – წარმოიშვა ის (ლელო) შეჯიბრება – ეჯიბრება ის მას

სიტყვა	ზმნა
<p>2. ადგილი რაგბიში, სადაც მოწინააღმდეგემ ბურთი უნდა გაიტანოს.</p> <p>გურია – მხარე დასავლეთ საქართველოში.</p> <p>სამეგრელო – მხარე დასავლეთ საქართველოში.</p> <p>ბრძოლა – აქ: სპორტული შეჯიბრი.</p> <p>ტყავი – ცხოველის სპეციალურად დამუშავებული კანი.</p> <p>ნახერხი – დახერხვის შემდეგ დარჩენილი ხის ნაწილები.</p> <p>სილა – წვრილი ქვიშა.</p> <p>მხარე – აქ: მეტოქე – მოწინააღმდეგე.</p> <p>მღვდელი – მსახური მართლმადიდებლურ ეკლესიაში.</p> <p>ფესვები – მცენარის ძირითადი ორგანო, რომლითაც მიწაშია ჩამაგრებული.</p> <p>მსაჯი – პირი, რომელიც წესების მიხედვით მართავს სპორტულ თამაშს.</p> <p>მოედანი – ადგილი სპორტული თამაშებისთვის.</p> <p>ტაიმი – სპორტული თამაშის ერთი ნაწილი.</p> <p>ტრავმა – სხეულის დაზიანება.</p> <p>ილეთი – ცალკეული მოძრაობა სპორტში.</p> <p>დღესასწაული – საზეიმო დღე.</p> <p>უძველესი – ძალიან ძველი.</p> <p>მძიმე – რაც (ვინც) ბევრს იწონის. ანტონიმი: მსუბუქი</p> <p>უხეში – აქ: მაგარი.</p> <p>წინამორბედი – ის, რაც უფრო ადრე, წინ იყო.</p>	<p>(ეჯიბრებოდნენ ისინი მათ); (გურულ-ებ-ი და მეგრულ-ებ-ი ერთმანეთ-ს) გამართვა – იმართებოდა ის (ლელო) გატანა – იტანს/გაიტანს ის მას (მოთამაშე ლელო-ს)</p> <p>კერვა – კერავდა ის მას (კერავდნენ ისინი მას (ბურთ-ს))</p> <p>ჩაყრა – ყრიდა ის მას (ყრიდნენ ისინი მას (ადამიან-ებ-ი ნახერხს/სილას))</p> <p>გამარჯვება – იმარჯვებდა ის (მხარე) დახარჯვა – დახარჯავდა ის მას (მხარე ძალა-ს)</p> <p>ნაქცევა – წაიქცეოდა ის (მოთამაშე) გაჩერება – ჩერდებოდა ის (თამაშ-ი) შებრძოლება – ებრძოდა ის მას (ებრძოდნენ ისინი მას (მოთამაშე-ებ-ი მოთამაშე-ს))</p> <p>ამოთხრა – ამოთხრიდა ის მას (გუნდ-ი ხე-ს)</p> <p>აყუდება – აყუდებდა ის მას (გუნდ-ი ხე-ს)</p> <p>დალოცვა – დალოცავდა ის მას (მღვდელ-ი ხალხ-ს)</p> <p>დაზიანება – დაზიანდა ის (დაზიანებულან ისინი (მოთამაშეებ-ი))</p> <p>შეცვლა – შეიცვალა ის (წეს-ი)</p> <p>დაპატარავება – დაპატარავდა ის (მოედან-ი)</p> <p>მიყენება – მიაყენებს ის მას მას (ილეთ-ი ადამიან-ს ტრავმა-ს)</p> <p>ჩათვლა – ითვლება ის (ლელო)</p> <p>გადაკვეთა – გადაკვეთს ის მას (მოთამაშე ხაზ-ს)</p> <p>ნიშნავს ის მას (ლელო... გატანა-ს)</p> <p>მსგავსება – ჰგავს ის მას (თამაში ბრძოლა-ს)</p>

სიყვავი	ჯანაბი
<p>პოპულარული – ცნობილი.</p> <p>განსაკუთრებული – გამორჩეული, არაჩვეულებრივი.</p> <p>ნაქცეული – ვინც/რაც ნააქციეს/ნაიქცა.</p> <p>გამართული – რაც გამართეს/გაიმართა.</p> <p>გამარჯვებული – ვინც ან რამაც გაიმარჯვა.</p> <p>ტრადიციული – ის, რასაც ტრადიცია აქვს.</p> <p>გუნდური – ერთობლივი, ჯგუფური.</p> <p>სპორტული – სპორტთან დაკავშირებული.</p>	<p>სურვილი – უსურვებდა ის მას მას (მღვდელ-ი ხალხ-ს გამარჯვება-ს/სიძლიერე-ს)</p>

ფრაზაბი	კონსტრუქციაბი
<p>გუნდური თამაში-ა</p> <p>ლელო-ს კარ-ში გაიტანდ-ა/გაიტან-ს</p> <p>ბურთ-ის გადაცემა</p> <p>გადაცემა ხელითა და ფეხით</p>	<p>ტრადიციული სპორტ-ის სახეობა-ა იმართებოდ-ა ქუთაის-ს-ა და ხონ-ში თამაშია, რომელიც...</p> <p>გურიასა და სამეგრელოში</p> <p>ტყავ-ის-ა-გან კერავდნენ ის იმარჯვებდა, ვინც ...</p> <p>თამაშ-ის დამთავრებ-ის შემდეგ მე-20 საუკუნიდან უფრო..., ვიდრე ...</p> <p>სირთულ-ის-ა და სიმძიმ-ის სიმბოლო</p> <p>მღვდლ-ის ნაცვლად იღეთები, რომლებიც ...</p> <p>მაშინ, როდესაც ...</p> <p>ფესვებიან-ად ამოთხრიდა გამარჯვება-სა და სიძლიერე-ს უსურვებდა</p> <p>დღესასწაულებ-ზე იმართება ტაიმებ-ს შორის</p>

III. დავალები დასიკავა, ფრაზებსა და კონსტრუქციებსა

4. დააკავშირეთ ერთმანეთთან:

გამარჯვებული	ჯგუფური
პოპულარული	ის, რასაც ტრადიცია აქვს
ტრადიციული	გამორჩეული
განსაკუთრებული	ვინც/რამაც გაიმარჯვა
გუნდური	ვინც/რაც წაიქცა
წაქცეული	ცნობილი

5. დააკვირდით ფოტოს და ჩანერეთ წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები:

სპორტული პოპულარული მძიმე უძველესი გუნდური უხეში



ეს ჩოგბურთელის
სპორტული მაისურია.



ლახტაობა
ქართული თამაშია.




ამ ქუდს
ქსოვილისგან კერავენ.



მარადონა
ფეხბურთელია.




კალათბურთი
თამაშია.



სპორტსმენი
ჰანტელებით ვარჯიშობს.

6. დააკავშირეთ სიტყვა და სურათი:

					
1.	2.	3.	4.	5.	6.
ლელი	მსაჯი	ტრავმა	მოედანი	ილეთი	ტაიმი

IV. ტექსტის კითხვის პროცესი

7. ნაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება:

- ლელოს თამაში ქართული ტრადიციული სპორტის სახეობაა. ლელი გუნდური თამაშია, რომელიც დასავლეთ საქართველოში წარმოიშვა. განსაკუთრებით პოპულარული ლელი გურიასა და სამეგრელოში იყო. გურულები და მეგრელები ლელოს თამაშში ხშირად ერთმანეთსაც კი ეჯიბრებოდნენ. ლელი იმართებოდა ქუთაისსა და ხონშიც.
- „ლელი“ უძველესი ქართული სიტყვაა და „ძალით გატანას“ ნიშნავს. ლელოს თამაში ბრძოლას ჰგავს. ადრე ლელოს ბურთს სპეციალურად მძიმე და უხეში ტყავისაგან კერავდნენ, შიგ ნახერხსა და სილას ყრიდნენ უფრო მეტი სიმძიმისათვის. ასეთი ბურთი 16 კილოგრამს იწონიდა. ლელოს მძიმე ბურთი ამ თამაშის სირთულისა და სიმძიმის სიმბოლო იყო. თამაშში ყოველთვის ის იმარჯვებდა, ვინც უფრო მეტ ფიზიკურ ძალას დახარჯავდა. ლელოს თამაშს ერთი განსაკუთრებული წესი ჰქონდა: თუ რომელიმე მოთამაშე ნაიქცევოდა, მთელი თამაში ჩერდებოდა. ნაიქცეულ მოთამაშეს არასოდეს ებრძოდნენ! სხვა მხრივ ლელი ბურთის გარშემო გამართული ერთი ჩვეულებრივი ბრძოლა იყო. გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც ლელოს მეტოქის კარში გაიტანდა. სამეგრელოში ბურთის თამაშს სოფლის მღვდელი იწყებდა. თამაშის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული გუნდი ხეს თავის ფესვებიანად ამოთხრიდა და ეკლესიის კართან ააყუდებდა. ამის შემდეგ კი მღვდელი ხალხს დალოცავდა, გამარჯვებასა და სიძლიერეს უსურვებდა. ლელოს თამაში განსაკუთრებით რთული იყო, ამ დროს არაერთხელ დაშავებულან მოთამაშეები.
- მე-20 საუკუნიდან ლელოს თამაშის წესები შეიცვალა. სათამაშო მოედანი უფრო დაპატარავდა, ვიდრე ადრე იყო. თითოეულ გუნდში ცამეტ-ცამეტი მოთამაშეა. მათ აცვიათ სპორტული ფორმა, კედები ან ბუცები. თამაშს, მღვდლის ნაცვლად, ახლა მსაჯი იწყებს ბურთის მაღლა აგდებით. ლელოს თამაში 60 წუთი გრძელდება 30-30 წუთიანი ტაიმებით. ტაიმებს შორის შესვენება 15 წუთია. ნებადართულია ბურთის გაგორება, გადაცემა ხელითა და ფეხით, თუმცა აკრძალულია ისეთი ილეთების გამოყენება, რომლებიც ადამიანს ძლიერ

ტრავმას მიაყენებს. ლელო გატანილად ითვლება მაშინ, როდესაც ბურთი მონინაალმდეგის ლელოს ხაზს გადაკვეთს. გამარჯვებული კი ის გუნდია, რომელიც მეტ ლელოს გაიტანს. ქართული ლელო დღევანდელი რაგბის წინამორბედია. ლელოს დღესაც სიამოვნებით თამაშობენ გურიაში, განსაკუთრებით ხშირად ლელოს თამაშები ტრადიციულ დღესასწაულებზე იმართება.

8. აბზაცის ნომრები დააკავშირეთ სათაურებთან:

1. ლელობურთი დღეს 2. ლელობურთის ისტორია 3. ტრადიციული თამაში

V. კავთაზა ორინთირაბული აქტივობები

9. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) წინადადებები ტექსტის მიხედვით:

ინფორმაცია	+	-
1. ლელო ქართული სიტყვაა და „ძალით გატანას“ ნიშნავს.		
2. ლელობურთი განსაკუთრებით პოპულარულია ქართლსა და კახეთში.		
3. სიმძიმისათვის ბურთში ქვებს ყრიდნენ.		
4. წაქცეულ მოთამაშეს არ ებრძოდნენ.		
5. ლელოს თამაშს სოფლის მღვდელი იწყებდა.		
6. გამარჯვებულია ის მხარე, რომელიც ნაკლებ ლელოს გაიტანს.		
7. ლელოს თამაშის წესები XX საუკუნიდან შეიცვალა.		
8. ლელოს სათამაშო მოედანი გადიდა.		
9. ბურთი 20 კილოგრამს იწონიდა.		
10. ლელობურთი ტრადიციულ დღესასწაულებზე იმართება.		

10. დაალაგეთ ინფორმაცია თანმიმდევრობით:

- სოფლის მღვდელი იწყებდა თამაშს.
- გამარჯვებდა ის, ვინც მეტ ლელოს გაიტანდა მეტოქის კარში.
- ლელოს ბურთს კერავდნენ მძიმე და უხეში ტყავისგან.
- გამარჯვებული გუნდი ხეს ფესვებიანად ამოთხრიდა და ეკლესიის კართან ააყუდებდა.



- მღვდელი ხალხს დალოცავდა, გამარჯვებასა და სიძლიერეს უსურვებდა.
- მასში ნახერხსა და სილას ყრიდნენ.

11. წაიკითხეთ, როგორ შეიცვალა ლელობურთის წესები და ჩანერეთ პასუხები:

სად?	რა?	რამდენი?
		
რა აცვიათ?	ლელობურთი	ვინ იწყებს?
დრო	რით თამაშობენ?	ტაიმი

12. მონიშნეთ (✓) სწორი პასუხები, ერთ შეკითხვაზე შესაძლოა რამდენიმე პასუხის მონიშვნა:

- სად იყო პოპულარული ლელობურთი?
 - რაჭაში
 - სამეგრელოში ✓
 - ჭავჭავაძეთში
 - გურიაში ✓
- როგორი ტყავისგან კერავდნენ ბურთს?
 - უხეში
 - მსუბუქი
 - ნაზი
 - მძიმე
- რას ყრიდნენ ბურთში სიმძიმისთვის?
 - მიწას
 - სილას
 - ნახერხს
 - ქვას
- რისი სიმბოლო იყო ლელოს ბურთი?
 - სიმძიმის
 - სიმშვიდის
 - სილამაზის
 - სირთულის
- რითი გადასცემენ მოთამაშეები ბურთს?
 - თავით
 - ხელით
 - ფეხით
 - მხრით

VI. გრაფიკულ საკითხავზე ორიენტირებული აქტივობები

13. ბლოკში მოცემული სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სიტყვას:

ფიზიკური გამარჯვებული ტრადიციული სპორტული გამართული გუნდური

რა?

როგორი?

<p>ა.</p> <p>ფიზიკა</p> <p>ტრადიცია</p> <p>გუნდი</p> <p>სპორტი</p>	<p>ფიზიკ-ურ-ი</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p>
<p>ბ.</p> <p>გამარჯვება</p> <p>გამართვა</p>	<p>.....</p> <p>.....</p>

14. ა. წინა დავალების მეორე სვეტის სიტყვები გაანაწილეთ დაბოლოების მიხედვით:

-ურ	-ულ
ფიზიკ-ურ-ი	-ულ-ი

ბ. დააკვირდით, რა ახდენს გავლენას სუფიქსის ცვლილებაზე და შეავსეთ წესი:

თუ სიტყვის ფუძეში არის თანხმოვანი, მაშინ სუფიქსი იქნება

15. გახაზეთ სწორი სიტყვა და ჩასვით წინადადებაში:

1. ლელობურთში ის იმარჯვებს, ვისაც მეტი (ფიზიკა/ფიზიკური) ძალა აქვს.
2. ფეხბურთი (გუნდი/გუნდური) თამაშია.
3. ლელობურთის გამართვის (ტრადიცია/ტრადიციული) ახლაც გრძელდება გურიაში, სოფელ შუხუთში.

4. (გამარჯვება/გამარჯვებული) გუნდი ხეს ფესვებიანად თხრიდა.
5. ლახტი არის საქართველოში გავრცელებული (სპორტი/სპორტული) თამაში.

16. ა. ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ აბსტრაქტული სახელები:

როზოროი?

- ძლიერი –
- მშვიდი –
- ლამაზი –
- თამამი –
- ნაზი –
- მამაცი –
- სწრაფი –

რა?

სი-ძლიერ-ე

ბ. დააკვირდით წინა დავალებას და დაასრულეთ წინადადება:

აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად ზედსართავ სახელებს დაერთვის აფიქსები.

გ. ამოირჩიეთ ხუთი აბსტრაქტული სახელი და შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

17. ჩასვით სიტყვები სწორი ფორმით:

1. ლელო (დასავლეთი, დასავლეთით, დასავლეთ)
საქართველოში წარმოიშვა.
2. გურულები და მეგრელები ხშირად (ერთმანეთი, ერთმანეთს, ერთმანეთის) ეჭიბრებოდნენ.
3. ლელოს თამაში (ბრძოლა, ბრძოლამ, ბრძოლას) ჰგავს.
4. ლელოს ბურთს მძიმე და უხეში (ტყავიდან, ტყავივით, ტყავისგან) კერავდნენ.
5. თამაშის (დამთავრება, დამთავრებას, დამთავრების) შემდეგ მღვდელი გამარჯვებულ გუნდს დალოცავდა.

6. ახლა ლელოს (მღვდელი, მღვდლის, მღვდლით) ნაცვლად მსაჯი იწყებს.
7. მე-20 საუკუნეში ლელოს (თამაშმა, თამაშს, თამაშის) წესები შეიცვალა.
8. (ტაიმები, ტაიმებს, ტაიმების) შორის შესვენება 15 წუთია.
სალამური წკრიალახმიანი ჩასაბერი ინსტრუმენტია. ის გავრცელებულია ქართლში, კახეთში, მესხეთში, თუშეთსა და ფშავში. მეცნიერებმა ძველი ქალაქების გათხრებისას დასავლეთ საქართველოშიც აღმოაჩინეს **სალამური, რომელიც** გუდის ძვლისგან არის დამზადებული.

დღეს სალამურს ჭერმისგან ან ლერწმისგან ამზადებენ. სალამური მწყემსების საყვარელი საკრავი იყო. დღეს კი სალამურს ხშირად უკრავენ მუსიკალურ ჯგუფებში სხვადასხვა მუსიკალურ საკრავთან ერთად.

განსაკუთრებით ცნობილი ჩასაბერი საკრავია გუდასტვირი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყენებენ. რაჭაში მას **შტვირი** ჰქვია, აჭარაში **ჭიბონს** ეძახიან, მესხეთში – **თულუმს**, ქართლსა და ფშავში კი – **სტვირს**. გუდასტვირი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: გუდისა და რქისგან. გუდა ცხვრის ტყავისგან მზადდება. რქასა და გუდას ერთმანეთთან ლერწმის მილი აკავშირებს. გუდასტვირით სრულდება საცეკვაო მელოდიები. გუდასტვირის დამკვრელს მესტვირეს ეძახიან. ადრე რაჭველი მესტვირეები მთელ საქართველოში იყვნენ ცნობილი. მათ მოხეტიალე მუსიკოსებსაც უწოდებდნენ. მოხეტიალე მუსიკოსები უკრავდნენ ყველა დღესასწაულზე და ქორწილებში. მესტვირეებს უამრავი ადამიანი ერთად მასპინძლობდა.

V. გავაზარო ორიენტირებული აქტივობები

5. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორი ხალხური საკრავები არსებობს საქართველოში?
2. რომელ მათგანს ვეცნობით ტექსტში?
3. რომელი მუსიკალური საკრავები გამოიყენება ფშავში?
4. სად არის გავრცელებული ჩანგი?
5. რამდენი სახის სიმებიანი საკრავია დასახელებული ტექსტში (როგორი და როგორი)?
6. რომელი ინსტრუმენტი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან?
7. რომელი ინსტრუმენტი ჰგავს მშვილდს?
8. რომელია მწუხარებისა და დარდის საკრავი?
9. რისგან იყო დამზადებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი უძველესი სალამური?
10. რითი ამზადებენ დღეს სალამურს?

6. მონიშნეთ (✓) სწორი ინფორმაცია. არასწორი ინფორმაცია გაასწორეთ ტექსტის დახმარებით:

1. გუდასტვირი სიმებიანი საკრავია.
2. ფანდური ჩამოსაკრავი სიმებიანი ინსტრუმენტია.
3. თულუმი იგივეა, რაც ჭიბონი.
4. ჩანგი დასართყამი ინსტრუმენტია.
5. ჩანგს წინვოვანი ხისგან ამზადებენ.
6. სალამური ორი ნაწილისგან შედგება.
7. ტექსტში მოთხრობილი ლეგენდა სალამურის შესახებაა.
8. ფანდურის მუსიკაზე ცეკვასა და ტაშს ტაშფანდურა ჰქვია.
9. ფანდურს სამი სიმი აქვს.
10. მესტვირე გუდასტვირის დამკვრელია.

1.
2.
3.
4.

7. დაამთავრეთ წინადადებები ტექსტის დახმარებით:

1. საქართველოს ყველა კუთხეში არის
2. გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი სალამური საინტერესოა იმით, რომ ის დამზადებულია
3. ჩანგს მწუხარებისა და დარდის საკრავსაც უწოდებენ, რადგან მისი ისტორიის შესახებ შემონახულია ერთი
4. ვინც გუდასტვირზე უკრავს, მას
5. გუდასტვირს ორი ძირითადი ნაწილი აქვს – და
6. სალამური მწყემსების
7. მესტვირეებს ეძახდნენ
8. ადრე მთელ საქართველოში იყვნენ ცნობილი
9. რაჭველ მესტვირეებს მოხეტიალე
10. გუდასტვირისთვის გუდას ამზადებენ

8. შეავსეთ ცხრილი:

ინსტრუმენტი	სახეობა	მასალა	შეაქმანელი ეტიპატი	აღიი, საღას არის გავრცელებული	სხვა ინფორმაცია

სახელის ნათესაობითი ბრუნვის უთანდებულო ან თანდებულებიანი ფორმები სხვა ფუნქციებთან ერთად გამოხატავს:

დროს: წლის ბოლოს; მინის დამუშავებისას.

კუთვნილებას: დავითის წიგნი.

დანიშნულებას: სკოლის ეზო; სკოლისთვის იყიდა.

მასალას: თიხის ქურჭელი (ქურჭელი – რა? – არს. სახ.); თიხისგან დამზადებული (დამზადებული – როგორი? – სახელზმნა-მიმღეობა) თიხისგან ამზადებენ (ამზადებენ – რას აკეთებენ? – ზმნა).

მსგავსება-განსხვავებას: ბუღბუღის მსგავსად / ბუღბუღისაგან განსხვავებით.

შესაბამისობას / დამონმებას: ნაწარმოების მიხედვით.

საკითხის გამოკვეთა: ცხოვრების შესახებ.

9. შეარჩიეთ და ჩასვით კონტექსტის შესაფერისი სიტყვა ნიმუშის მიხედვით:

მაგ.: ვახტანგის მსგავსად, დათოსაც უყვარს კითხვა. (ვახტანგის/ვახტანგს)

1. ჩიტები აშენებისას ერთმანეთს ეხმარებიან. (ბუდეს/ბუდის)
2. შოშია განსხვავებით მინაზე არ დახტის. (შაშვისაგან შაშვი-სათვის)
3. გაკეთებული კერძი გემრიელია. (ბოსტნეულის/ბოსტნე-ულისგან)
4. ეს ადგილი არის განკუთვნილი. (თქვენთვის/თქვენგან)
5. ამ მიხედვით, მთავარი პერსონაჟი იმარჯვებს ბრძოლა-ში. (მოთხრობას/მოთხრობის)
6. მსგავსად, თოლიებიც წყლის ფრინველები არიან. (იხვების/იხვებს)
7. მეგობრები გვიან წავიდნენ. (გურამის/გურამს)
8. ტექსტში მოთხრობილი ლეგენდა შესახებაა. (ჩანგის/ჩანგი)
9. ბოლოს სამუშაოს დავასრულებ. (კვირა/კვირის)
10. ეს ნაკეთობა არც ისე ძველია. (ხის/ხეს)

10. ამონერეთ ტექსტიდან ნათესაობითი ბრუნვის თანდებუდიანი და უთანდებულო ფორმები მეზობელ სიტყვასთან ერთად და რუბრიკის დასაწყისში მოცემული ინფორმაციის დახმარებით გაანანილეთ ცხრილში:

ერო	კუთვნილება	დანიშნულება	მასალა	საკითხის გამოკვეთა	შესაბამისობა

11. ტექსტიდან ამონერილი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

გამოხატავს დროს

1.
2.

გამოხატავს კუთვნილებას

1.
2.

გამოხატავს დანიშნულებას

1.
2.

გამოხატავს მასალას

1.
2.

საკითხის გამოკვეთა

1.
2.

გამოხატავს შესაბამისობას

1.
2.

12. დააკვირდით:

ჰქვია – ის (თბილისი) ეძახიან – მას (თბილისს) უწოდებენ – მას (თბილისს)

ჩანერეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: რაჭაში მას შტვირი **ჰქვია** (შტვირი).

გუდასტვირის დამკვრელს **მესტვირეს ეძახიან** (მესტვირე)

მათ მოხეტიალე **მუსიკოსებსაც უწოდებდნენ**. (მუსიკოსები)

- გამარჯობათ! თუ გნებავთ, დაგეხმარებით, მძიმე ტვირთი გაქვთ.
- გამარჯობა! დიდი მადლობა... შენ ვინ ხარ?
- მე მქვია (დავითი), ისე ბიჭები მეძახიან. (ბედო)
- რატომ გეძახიან? (ბედო)
- ბედოშვილი ვარ გვარად და ამიტომ.
- აა, გასაგებია. მე მქვია (ვახტანგი). სხვათა შორის, ბავშვობაში მეც მქონდა ზედმეტი სახელი, მეძახდნენ. (კახელა)
- ამ სოფელს რაღაც სხვააც უწოდებენ, ხომ? (სახელი)
- დიახ, ადრე ეძახდნენ (წითელსოფელი), ახლა ჰქვია. (ხატისოფელი)
- აი, მივედით. დიდი მადლობა, დავით, დახმარებისთვის. ნახვამდის.
- ნახვამდის, ვახტანგ.

გავისწავლო!

მრავლის აღმნიშვნელ სიტყვებთან არსებითი სახელი და ზმნა მხოლოდით რიცხვშია!

მაგალითად: **ორი ბიჭი მოვიდა. მას ბევრი მეგობარი ჰყავს. ყველა მოსწავლე აქ არის.**

13. ამოინერეთ ტექსტიდან მრავლის აღმნიშვნელი სიტყვებიანი წინადადებები და ამ სიტყვებს ხაზი გაუსვით:

1.
2.
3.
4.
5.
6.

ნაკითხი: ზოგიერთი თანხმომავანფუძიანი არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვის თანდებულებიან თუ უთანდებულო ფორმებში კარგავს ფუძისეულ ა, ე ან ო ხმომავანს (იკუმშება), ხოლო ა და ე ხმომავანფუძიანები კარგავენ ამ ხმომავანებს (იკვეცება). მაგ.: კალამი – კალ მის / კალ მის(ა)გან. კალ მის(ა)თვის ... ; რძე – რძ ის, რძის(ა)გან, რძ ის(ა)თვის;

14. ამომწერეთ ტექსტიდან -გან თანდებულებიანი სიტყვები და შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

ა) -გან თანდებულებიანი ნათესაობითი	ბ) მოცემული სიტყვის ფუძე	გ) სახელობითი ბრუნვა	დ) დაკარგული ხმომავანი	ე) ხმომავანი არ დაკარგულა	ვ) რომელ სიტყვას უკავშირდება
მელნისაგან	მელნ -	მელან - ი	ა	მელნისგან გააკეთა (ზმნა)
ქალაღმისგან	ქალაღ	ქალაღ-ი	✓	ქალაღმისგან გამოჭრილი (სახელზმნა)

15. გაეცანით წესს და შეასრულეთ დავალება!

თუ მიცემითი, ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვის ორი სახელი და კავშირით არის შეერთებული, პირველი იმატებს ა სავრცობს: დღესა და ღამეს / დედისა და მამის / თოხითა და ბარით;

თუ მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ერგვართანდებულებიანი ორი სახელი და ან თუ კავშირებით არის შეერთებული, პირველი უთანდებულოა და გავრცობილი: მთასა და ბარში / ხეებსა თუ ბუჩქებზე, ხისა და ქვისგან...

ა. ამომწერეთ ტექსტიდან მსგავსი მაგალითები:

1.
2.
3.
4.
5.

ბ. დაასრულეთ წინადადებაში მოცემული სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ბავშვი სიხარულით შეხვდა დედასა და ძმას.
ყველა თავის წარსულსა და მომავალზე ფიქრობდა.

1. ის ყველა ყვავილ..... და ფოთოლ..... ეფერებოდა.
2. ამ ფილმმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დედა..... და შვილ..... .
3. მას რძლ..... და შვილ..... საუბარი აღარ გაუგონია.
4. პარკში სულ წიფლ..... და მუხ..... ხეები იყო დარგული.
5. გოზინაყი თაფლ..... და ნიგვზ..... მზადდება.
6. ბავშვების სიცილი ისმოდა ყველგან: ქუჩებ..... თუ ეზოებ..... .
7. ბევრი სიკეთე ახსოვდა მას მეზობლებ..... და მეგობრებ..... .
8. თელავ..... და სიღნაღ..... ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ.
9. ეს ამბავი არის გმირებ..... და რაინდებ..... .
10. ირემი ტყეებ..... და მთებ..... გარბოდა.

გაჰიხსენით!

სა-ო პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება, როგორც გეოგრაფიული, ისე დანიშნულების სახელები.

16. ამოიწერეთ ტექსტიდან სა-ო მანარმოებლიანი სახელები და მიუწერეთ, გეოგრაფიულია თუ დანიშნულების;

ნიმუში: *საინგილო – გეოგრაფიული სახელი*
საბავშვო – დანიშნულების სახელი

1.
2.
3.
4.
5.

17. გაიხსენეთ: -იან სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები ყოლა-ქონებას გამოხატავს. გაეცანით ნიმუშებს და ჩაწერეთ სიტყვები სწორი ფორმით:

ნიმუში: რასაც დაბალი ხმა აქვს, არის დაბალხმიანი.
ვისაც დედ-მამა ჰყავს, არის დედმამიანი.

1. ფანდურსა და ჩონგურს სიმები აქვს, ამიტომ ორივე საკრავი (სიმები)

2. ჩანგიც საკრავია. (სიმები)
3. ჩელო, იგივე ვიოლონჩელი, მუსიკალური ინსტრუმენტია. (ხემი, სიმები)
4. როიალს აქვს კლავიშები. ის ინსტრუმენტია. (კლავიშები)
5. სალამურს წკრიალა ხმა აქვს. ის საკრავია. (წკრიალა ხმა)
6. ქართული სიმღერა (მრავალი ხმა)
7. რასაც ორი ადგილი აქვს, არის (ორი ადგილი)
8. ამ ინსტრუმენტს დაბალი ხმა აქვს, ამიტომ ის არის (დაბალი ხმა)
9. ეს ნათელი, ოთახია. (მზე)
10. არ მიყვარს (წვიმა) ამინდი.

18. ქვემოთ მოცემული ზმნები ჩასვით შესაბამის წინადადებაში:

ართობდნენ მიეკუთვნება მოგვითხრობს დაელუპა მიიჩნევენ
უნოდებდნენ ეძახიან სრულდება

1. მოხეტიალე მუსიკოსები სოფლის მოსახლეობას
2. უძველესი ლეგენდა საგმირო საქმეებზე
3. ამ ქალბატონს შვილი ომში
4. პატარძელი კახეთის სოფლებს
5. ნოქალაქევთან იმ ადგილს, სადაც გოგირდოვანი წყალია, დედამუკას
6. ყვავის საყდარი – ასე ძეგვში ერთ-ერთ ეკლესიას.
7. საქართველოში მცხოვრები ბერძნები ქართულს მშობლიურ ენად
8. ბოლოს ქართული „მრავალჟამიერი“.

რთულ წინადადებებში განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს **რომელიც** წევრ-კავშირი (მიმართებითი ნაცვალსახელი). ის შინაარსით უკავშირდება მთავარი წინადადების ერთ-ერთ წევრს (განსაზღვრავს მას), ხოლო მისი ბრუნვის ფორმა დამოკიდებულია დაქვემდებარებული წინადადების ზმნა-შემასმენელზე.

დააკვირდით: დედას, რომელიც/რომელიც ცდილობდა
ბავშვი მოხერხებულად გაუსხლტა დედას,
რომელიც მისთვისხელის ჩაჭიდებას ცდილობდა.

19. ა. ამოიწერეთ ტექსტიდან **რომელიც** წევრკავშირიანი წინადადებები. იმ სიტყვას, რომელსაც განსაზღვრავს, ერთი ხაზი გაუსვით, ხოლო რომელზეც დამოკიდებულია მისი ბრუნვის ფორმა – ორი.

ბ. ამოიწერეთ ორივე წყვილი და მიუწერეთ, რომელ ბრუნვაშია სახელი და რომელი მწკრივის ფორმაა ზმნა:

წიმუში: მასწავლებელმა შეაქო **ბავშვი**, რომელმაც დავალება საუკეთესოდ **შეასრულა**.

ბავშვი, რომელმაც – ბავშვი – სახელობითი, რომელმაც – მოთხრობითი;
რომელმაც შეასრულა – რომელმაც – მოთხრობითი ბრუნვა, შეასრულა – წყვეტილი.

ა.

.....

.....

.....

.....

.....

ბ.

.....

.....

.....

.....

.....

20. მოუძებნეთ მთავარ წინადადებებს შესაბამისი დაქვემდებარებული წინადადებები და ჩაწერეთ, დასვით სასვენი ნიშანი შესაბამის ადგილას:

მთავარი	დაქვემდებარებული
1. დოლი არის დასარტყამი ინსტრუმენტი	ა. რომელსაც ყველა თანაგრძნობით უყურებდა
2. სალამური არის ინსტრუმენტი	ბ. რომელსაც ვუკრავთ სულის ჩაბერვით
3. ვიოლინო არის ინსტრუმენტი	გ. რომელზეც ბავშვობაში ვუკრავდი
4. მოედანზე დაიწყო დაკვრა მუსიკოსმა	დ. რომელსაც ვუკრავთ სიმებზე ხემის გასმით

შთავარი	დაქვემდებარებული
5. ეს სწორედ იმ როიალის ხმა იყო	ა. რომელმაც კოსმოსიც კი დაიპყრო
6. საოცარია ქართული სიმღერა	ბ. რომლითაც ქართველები ვამაყობთ
7. მათ შეასრულეს ცეკვა „ქართული“	გ. რომელიც გავრცელებულია აჭარაში
8. ეს ხალხური საკრავი ჭიბონია	დ. რომელსაც საქართველოში
9. ჩანგი ქართული ხალხური სიმებიანი საკრავია	ე. სხვადასხვა სახელს ეძახიან
10. გუდასტვირი მუსიკალური საკრავია	ვ. რომელიც მშვილდს ჰგავს
	ზ. რომელზეც ვუკრავთ ხელის დარტყმით

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

21. შეადგინეთ რთული წინადადებები „რომელიც“ ნაცვალსახელის გამოყენებით; ყურადღება გაამახვილეთ სასვენ ნიშნებზე:

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

VII. ძსჯელოგაზე ორინენოირებული აქტივობები

22. მონაცემებზე დაყრდნობით ისაუბრეთ მუსიკალური ინსტრუმენტის შესახებ;

- კონტრაბასი – მუსიკალური საკრავი.
- შემადგენელი ნაწილები – ხემი, 3, 4 ან 5 სიმი, ძირითადი კორპუსი.
- დასამზადებელი მასალა – ხე.
- ჟღერადობა – დაბალი.
- ნაირსახეობები – კონტრაბას-ტრომბონი, კონტრაბას-ტუბა, კონტრაბას-ბალაიკა. დანიშნულება – საორკესტრო.

.....

.....

.....

.....

.....

23. წაიკითხეთ ტექსტი და ჩანერე მოკლე მონაცემები:

ქამანჩა პოპულარულია, როგორც სოლო საკრავი და როგორც ანსამბლში დასაკრავი ინსტრუმენტი. მისი საერთო სიგრძეა 65-90 სმ. კორპუსი მრგვალი აქვს, ბურთის მსგავსი, ამოჭრილი. დამზადებულია თუთის ან კაკლის ხისგან. კორპუსს გადაკრული აქვს თევზის ტყავი ან ბუშტი. მორთულია სადაფითა და ძვლით. აქვს ხემი – ხის მოღუნული ჯოხი. მისთვის დამახასიათებელია ყრუ ჟღერადობა. ამჟამად აზერბაიჯანში იგი საკონცერტო-საესტრადო ინსტრუმენტია. იყენებენ ხალხურ საკრავთა ორკესტრშიც. ქამანჩის სახეობები გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ცენტრალურ აზიაში, თურქეთში. საქართველოსა და, განსაკუთრებით, თბილისში ქამანჩა გავრცელდა დაახლოებით XVIII საუკუნიდან.

საკრავის სახელწოდება:

შემადგენელი ნაწილები:

ფორმა:

დასამზადებელი მასალა:

ჟღერადობა:

დანიშნულება:

24. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ 22-ე და 23-ე სავარჯიშოების ტექსტები და ისაუბრეთ ამ ინსტრუმენტების მსგავსება – განსხვავებაზე. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები და თანდებულიანი ფორმები: *-ვით ; -ის მსგავსად; ისევე როგორც;გან გასხვავებით; უფრო ვიდრე.*

VIII. წერიტი ღვალაბის აქტივობები

25. შეარჩიეთ თქვენთვის კარგად ნაცნობი ინსტრუმენტი და დაწერეთ მის შესახებ მცირე ინფორმაციული ტექსტი.

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

A2+ არამხატვრული / ბიოგრაფიული ტექსტი

ტექსტი შარდულია „კითხვის კიბის“ მასალებიდან
<http://www.reading.ge/ka/books-by-level/levels/level-16>



მათილური დაუშავავის ავტორი: დანი ასლაბაზაშვილი-დალაქიშვილი

ჰაშდუთ გონაშვილის ბიოგრაფია

I. ავტორმა თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათს, შემოთავაზებული ფრაზებიდან ამოარჩიეთ შესაბამისი ინფორმაცია და მათი გამოყენებით ისაუბრეთ სურათზე მოცემული პიროვნების შესახებ:

- პროფესიით მხატვარია.
- უყვარს ცეკვა და სიმღერა.
- პროფესიით მომღერალია.
- ესპანელია.
- ქართველია.
- უკრავს ფანდურზე და მღერის.
- უცნობია.
- პოპულარულია.
- საოცარი ხმა აქვს.
- ვერ მღერის.



II. ლექსიკაზე, ფრაზაზე, კონსტრუქციებსა და ზნეობზე დაკვირვება

2. ნაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

სიტყვაები	ფრაზები
<p>არსებითი სახელები</p> <p>ნარჩენები – რაიმეს გამოყენების შემდეგ დარჩენილი ნაწილი.</p> <p>თოლიები – თეთრი ფერის ზღვის ფრინველები, შეხვდებით ზღვის სანაპიროზე.</p> <p>გმირი – უშიშარი, სასახელო საქმეების ჩამდენი.</p> <p>ტურიზმი – მოგზაურობა ამა თუ იმ მხარის გაცნობის/დათვალიერების მიზნით.</p> <p>რექტორი – უმაღლესი სასწავლებლის ხელძღვანელი.</p> <p>ანსამბლი – მსახიობთა, მომღერალთა ან მუსიკოსთა ჯგუფი.</p> <p>სოლისტი – ანსამბლის მუსიკოსი ან მოცეკვავე, რომელიც მარტო ასრულებს სიმღერას ან ცეკვას.</p> <p>გასტროლები – სხვა ქალაქში ან ქვეყანაში კონცერტების ჩატარება.</p> <p>ნერგი – დასარგავად გამზადებული ახალგაზრდა მცენარე.</p> <p>კულისები – სცენის მიღმა, მაყურებლისთვის დაფარული ადგილი.</p> <p>ლეგენდა – არაჩვეულებრივი, დაუჯერებელი, ზღაპრული ამბავი.</p> <p>ჩანაწერი – ის, რაც ჩანერეს (მელოდია, ამბავი...).</p> <p>გადარქმევა – სხვა სახელის დარქმევა.</p> <p>გამოჩენა – უხილავის, დაფარულის დასანახად ქცევა, დანახვა.</p>	<p>იქაურობას გაცლოდა – იმ ადგილიდან წასულიყო.</p> <p>სიმღერის ჩანერა = ჩანაწერის გაკეთება – აუდიოდისკზე ჩანერა.</p> <p>საუკეთესო/ყველაზე კარგი კინოფილმშია გამოყენებული – კინოფილმშიც არის.</p> <p>ახალი სახელით გამოჩნდა – ადრე სხვა სახელით იყო, ახლა სხვა სახელი აქვს.</p> <p>ტურიზმით დაინტერესდა – ტურიზმს მიაქცია მეტი ყურადღება.</p> <p>მასზე ლაპარაკი – ლაპარაკი მის შესახებ.</p> <p>არ უნდოდა გაშვება სცენიდან – ისევ სცენაზე ტოვებენ.</p> <p>სიმღერისთვის მიეხედა – მეტი ყურადღება დაეთმო.</p> <p>გასტროლებზე წასვლა – კონცერტის ჩასატარებლად სხვაგან წასვლა.</p> <p>ფეხი დაუცურდა – ფეხი გაუსრიალდა.</p>

სიტყვა	ფრაზა
<p>როგორი?</p> <p>გაოცებული – გაკვირვებული.</p> <p>თავმდაბალი – მორიდებული, ხათრიანი</p> <p>აღფრთოვანებული – ძალიან გახარებული.</p> <p>ლეგენდარული – თითქმის ზღაპრად გადაქცეული (<ლეგენდა).</p> <p>სერიოზული – დინჯი, ჭკვიანი, დაფიქრებული (მაგ: სერიოზული კაცი, სერიოზული მიდგომა).</p> <p>შთამბეჭდავი – ძლიერ კარგი, შთაბეჭდილების მომხდენი.</p>	

ზნაობა	კონსტრუქცია
<p>გადარქმევა – როცა სხვა სახელი ჰქონდა და მერე სხვა დარქვეს. გადაარქვა მან მას ის</p> <p>მობეზრება – აღარ უნდოდა, ბეზრდება მას ის</p> <p>გაცლა – (აქ,) ვინმესგან ან რამესგან წასვლა. ეცლება ის მას</p> <p>დარჩენა – სადაც იყო, იქ ყოფნა, დარჩა ის</p> <p>დაცურება – მალლიდან დაბლა დაშვება ცურვით, აქ – ფეხის გაცურება. დაუცურდა მას ის</p> <p>ჩამოვარდნა – მალლიდან დაბლა დაცემა, ჩამოვარდა ის</p> <p>დაკრძალვა – დასაფლავება, დამარხვა, გარდაცვლილის მიწაში ჩასვენება, დაკრძალა მან ის</p> <p>შეხვედრა – პირისპირ ნახვა, ხვდებოდა ის მას</p> <p>გადასვენება – გარდაცვლილის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანა, გადაასვენა მან ის</p> <p>გახსნა – გაღება, გახსნა მან ის</p>	<p>მიყვარს ლაპარაკი მასზე</p> <p>ბრუნდებოდა ჩაწერიდან</p> <p>დაინტერესდა ტურიზმით / სიმღერით</p> <p>არასოდეს მომბეზრდებაო</p> <p>კიდევ ჩავწეროთ</p> <p>წავიდა გასტროლებზე</p> <p>გაოცებული იყო....ით</p> <p>ჩამოვარდა....დან</p>

III. დავალებები დასიკაზე, ფრაზებზე, კონსტრუქციებზე

3. ბლოკში მოცემული სიტყვებით დაასრულეთ წინადადებები:

თოლია გასტროლებზე სოლისტი წევრი რექტორი
 ნერგი ჩანაწერი კულისებში თავმდაბალი გადარქმევა

1. მარტო მღერის
2. სხვა ქვეყანაში კონცერტით წავედი
3. ჩემს ბაბუაზე გაბაფხულზე დავრგე
4. სცენაზე გასვლამდე ვიდექი
5. ძალიან მინდოდა ჩემი სახელის
6. ბიჭი მალე გახდა ახალი ანსამბლის
7. სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის
8. მომღერალმა სტუდიაში გააკეთა
9. სულ თავდახრილი დადიოდა, რადგან იყო
10. ზღვაზე დაფარფატებდა თეთრი

4. შემოხაზეთ სწორი პასუხები:

გასტროლებზე წასვლა არის

- ა. საზღვარგარეთ სამოგზაუროდ წასვლა.
- ბ. საზღვარგარეთ კონცერტების ჩასატარებლად წასვლა.
- გ. საზღვარგარეთ ახლობელთან სტუმრად წასვლა.

სახელის გადარქმევა არის

- ა. სახელის ხმამაღლა თქმა.
- ბ. ორი სახელის შერჩევა.
- გ. ახალი სახელის შერჩევა.

IV. ტექსტის კითხვის პროცესი

5. წაკითხეთ ტექტი, ქვემოთ შემოთავაზებული დასათაურებიდან აბზაცებისათვის შეარჩიეთ შესაფერისი და მიუწერეთ აბზაცის ნომერი:

კამლეთ გონაშვილის ბიოგრაფია

1. ჰამლეტ გონაშვილი 1928 წელს საქართველოში, კახეთში, სიღნაღთან ახლოს მდებარე სოფელ ანაგაში დაიბადა. ჰამლეტი ინგლისური სახელია. ჰამლეტის მამა – დიმიტრი გონაშვილი – სოფელ ანაგის სკოლაში ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა. ძალიან უყვარდა შექსპირი. შვილებსაც მისი

ნაწარმოებების გმირების სახელები დაარქვა. ჰამლეტს თავისი სახელი არ მოსწონდა. სახელის გადარქმევასაც კი აპირებდა, მაგრამ ისე მალე გახდა ცნობილი მომღერალი, რომ ახალი სახელით გამოჩენა გადაიფიქრა.

- 2.** სკოლის დამთავრების შემდეგ ცხინვალში გადავიდა საცხოვრებლად. ცხინვალის ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. სტუდენტობის დროს ტურიზმით დაინტერესდა. „საქართველო ძალიან მიყვარს და მასზე ლაპარაკი არასოდეს მომბეზრდებაო“, – ამბობდა. ჰამლეტს სწავლა არ შეუწყვეტია. ბიოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ თეატრალურში ჩააბარა. ერთხელ სცენაზე სიმღერით გამოვიდა. ყველა გაოცებული დარჩა ჰამლეტის სიმღერით. რექტორმა ურჩია, სიმღერისათვის სერიოზულად მიეხედა.
- 3.** 1953 წელს გონაშვილი საქართველოს ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლში მიიღეს და 16 წელი იყო ამ ანსამბლის წევრი. 1969 წელს იგი ანსამბლ „რუსთავში“ გადავიდა და მომდევნო 16 წელი ამ ანსამბლის სოლისტი იყო. ასრულებდა ქართლ-კახურ, მეგრულ და აფხაზურ სიმღერებს. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი სიმღერით როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.
- 4.** ჰამლეტ გონაშვილი ხშირად დადიოდა გასტროლებზე. გონაშვილის სცენიდან გაშვება არ უნდოდა ხოლმე მსმენელს. კულისებში ხვდებოდნენ და ყელზე უყურებდნენ, უკვირდით, ასეთი გასაოცარი ხმა ჩვეულებრივ ადამიანს როგორ აქვსო. მართლაც, გონაშვილთან ერთად დუეტში სიმღერა რთული იყო, რადგან ყოველ ჯერზე განსხვავებულად და შთამბეჭდავად ასრულებდა სიმღერას. ჰამლეტ გონაშვილის ცნობილი სიმღერებია: „ოროველა“, „ურმული“, „წინწყარო“, „წმიდაო ღმერთო“, „დაიგვიანეს“ და „გაფრინდი, შავო მერცხალო“.
- 5.** ჰამლეტ გონაშვილი გვიან დაქორწინდა, 44 წლის ასაკში. მას მეუღლე და ორი ვაჟი ჰყავს.
- 6.** ჰამლეტ გონაშვილი 1985 წლის ივლისში კახეთში წავიდა გასტროლებზე. კონცერტის შემდეგ თავის სოფელში დარჩა ნათესავებთან. ნათესავმა სთხოვა, ერთი ხის ტოტი ეზოს ცუდად მიჩრდილავს და იქნებ მომიჭრაო. ჰამლეტი ხეზე ავიდა. ფეხი დაუცურდა, ხიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა. ის თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე, დაკრძალეს. შემდეგ კი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. ჰამლეტ გონაშვილს დღემდე ლეგენდარულ მომღერლად მიიჩნევენ. მისი ხმა რამდენიმე უცხოურ კინოფილმშია გამოყენებული.

- | | |
|------------------------------|--------------------------|
| 1. გარდაცვალება | 4. განათლება |
| 2. ანსამბლში | 5. სახელის ისტორია |
| 3. გასტროლებზე სიარული | 6. ოჯახი |

6. შემოხაზეთ სწორი პასუხები:

1. ჰამლეტ გონაშვილი დაიბადა

- ა. კახეთში
- ბ. თბილისში
- გ. საზღვარგარეთ

2. ჰამლეტ გონაშვილი იყო

- ა. მასწავლებელი
- ბ. კომპოზიტორი
- გ. მომღერალი

3. ჰამლეტს არ მოსწონდა თავისი

- ა. სახელი
- ბ. სოფელი
- გ. პროფესია

4. ჰამლეტ გონაშვილმა დაამთავრა

- ა. თელავის უნივერსიტეტი
- ბ. გორის უნივერსიტეტი
- გ. ცხინვალის ინსტიტუტი

7. ა. აღნიშნეთ სწორია (+) / არასწორია (-)

ინფორმაცია	+	-
1. ჰამლეტ გონაშვილს სახელი დედამ შეურჩია.		
2. მომღერლობა ჰამლეტს უნივერსიტეტის რექტორმა ურჩია.		
3. გონაშვილი ანსამბლში 16 წელი მღეროდა.		
4. გონაშვილთან ერთად დუეტში ბევრმა იმღერა.		
5. ყოველ ჯერზე ის განსხვავებულად ასრულებდა სიმღერას.		
6. მომღერალი მთაწმინდაზე დაკრძალეს.		
7. ჰამლეტ გონაშვილი მთიდან დაცურდა და გარდაიცვალა.		
8. სახელის გამოცვლა გადაიფიქრა, რადგან შესაფერისი ვერ შეარჩია.		
9. ის პოპულარული მომღერალი იყო.		
10. გასტროლებზე აკვირვებდათ ჰამლეტის ხმა.		

ბ. არასწორი წინადადებები გაასწორეთ და ისე გადაწერეთ:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

V. გრაფიკულ საკითხავზე ორიენტირებული აქტივობები

8. დააკვირდით ცხრილში ზმნებს (იხ. დავალება 2) და წინადადებებში წერტილების ადგილას ჩასვით შესაბამისი დაბოლოებები:

ნიმუში: მსმენელებ... კულისებში ხვდებოდნენ ჰამლეტ...
მსმენელები კულისებში ხვდებოდნენ ჰამლეტს (ხვდებოდნენ ისინი მას)

1. ბავშვებ... თავის თუთიყიშ... სახელ... გადაარქვეს.
2. მოხუც... მალე მობეზრდება წინ და უკან სიარულ... და წავა.
3. ახალგაზრდა... უნდოდა მალე გასცლოდა მოედან... და ფეხს აუჩქარა.
4. გაზაფხულ... გაქრა და დარჩა ცხელი ზაფხულ...
5. ბავშვ... ყინულზე დაუცურდა ფეხ...
6. ხიდან წითელი ვაშლ... ჩამოვარდა.
7. პატარა მეომარ... ხის ქვეშ დაკრძალეს მეგობრებ...
8. ბარათაშვილის ნეშტ... განჯიდან თბილისში გადაასვენეს ქართველებ....
9. სამმა მეგობარ... მოედანზე ახალი რესტორან... გახსნა.

9. გაეცანით ინფორმაციას და შეასრულეთ დავალებები:

ა. მიუთითეთ რას გამოხატავს ხაზგასმული სიტყვა

-ით დაბოლოებიანი სიტყვები ქართულში სხვადასხვა შინაარს გამოხატავს: მათ შორის

- | | |
|------------------------------------|-------------------------------|
| ა. თანაობას/თანხლებას | (გამოჩნდა ახალი სახელით) |
| ბ. დაინტერესებას/გატაცებას რაიმეთი | (დაინტერესებული იყო ტურიზმით) |
| გ. თვისებას, ნიჭს | (გატაცებული იყო სიმღერით) |

ნიმუში: წვეულებაზე ლადო პიჯაკით მივიდა – გამოხატავს თანაობას

1. გოგონა ყვავილებიანი კალათით იდგა ქუჩაში.
2. ძალიან მიყვარს სუპი ბოსტნეულით და მწვანილით.
3. ჩემი ოჯახი ცნობილია თავისი ხელოვნებით.
4. სტუდენტობისას დაინტერესდა ბიოლოგიით.
5. ერისიონი სცენაზე ნაცნობი ცეკვით გამოვიდა.
6. ყველა გაცემული დარჩა მისი ხმით.
7. ის კმაყოფილი დარჩა მირთმეული საჩუქრით.

ბ. ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვით შესაფერის წინადადებაში.

პურ-მარილით ნლით	ზაფხულობით დედით	ჩოგბურთით სიხარულით	ფიქრით ჩაღით	მამით მამით	ფიქრით მეგობრებით
		ბედნიერებით სიხარულით			

1. სვანეთს ვსტუმრობ.
2. საზღვარგარეთ მივდივარ ხუთი
3. ამდენი..... დავბერდი უკვე
4. ქართველი ვარ, ინგლისელი.
5. მოქსოვილი ქუდები მართლა ლამაზია.
6. მე ვამაყობ ჩემი
7. პატარების გული სავსეა
8. გატაცება სიყვარულში გადაეზარდა.
9. მოვდივარ თქვენსკენ, მინდა მალე შეგხვდეთ.
10. სტუმრად ჩემი მოვედი.

3. მოიფიქრე და შეადგინე წინადადებები -ით დაბოლოების დართვით:

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

10. დააკვირდით სქემას და გაიაზრეთ რა დანიშნულება აქვს **ო** ნაწილაკს:

თუ გვინდა, უცვლელად გადმოვცეთ მესამე პირის ნათქვამი, გამოიყენება ნაწილაკი **-ო**, ის ძირითადად დაერთვის ზმნას, თუმცა **-ო** ნაწილაკი შეიძლება სხვა სიტყვასაც დაერთოს. ასეთ ნათქვამს **პირდაპირი ნათქვამი** ეწოდება.

მაგ.: „ძალიან მიყვარს საქართველო**ო**“, – ამბობდა. (ერთვის სხვა სახელს)
უკვირდათ, „ასეთი გასაოცარი ხმა ჩვეულებრივ ადამიანს როგორ აქვს**ო**?“
(დაერთვის ზმნს)

11. ჩვეულებრივი წინადადება გადააკეთეთ პირდაპირ ნათქვამად ნიმუშის მიხედვით (გამოიყენეთ ნაწილაკი-ო):

ნიმუში: ასეთი გასოცარი ხმა ადამიანს როგორ აქვს?
– ასეთი გასოცარი ხმა ადამიანს როგორ აქვს **ო** – უკვირდათ.

1. ნუ გეშინია, თბილი ბენჯი აქვს და ზამთარი ვერაფერს დააკლებს, – დამაიმედა.
.....
2. უთქვამს: – ორი კილო ყველი და არაჟანი მომეცით!
.....
3. შემოგვითვალა: – აღარ დამელოდოთ!
.....
4. ნუცამ თქვა: – ჩემს თოჯინებს კითხვა უნდა ვასწავლო!
.....
5. ჩვენი მასწავლებელი სულ გვიმეორებდა: ისწავლეთ, სწავლა სინათლეა!
.....
6. რას ამბობ, – გოცებულმა შემოგვხედა, – საიდან მოიტანეთ ეს ამბავი?
.....
7. „ამყოლს აჰყევი და დამყოლს – დაჰყევი“, – უთქვამს ჩვენს წინაპარს.
.....

12. ბლოკში მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

**წვერი თავმდაბალი კულისებში გასტროლებზე თოლია ნერგი
 სოლისტი რექტორი გადარქმევა ჩანაწერი**

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

VI. სსჯელობაჲ ორინენორეაბული აქტივობები

13. ტექსტიდან ამოინერეთ ზედსართავი სახელები, რომელებიც ჰამლეთ გონაშვილს ახასიათებს, კიდეჲ რას დაამატებდით?

.....

.....

.....

14. ა. ახლა გაეცანით საინტერესო ისტორიებს ჰამლეთ გონაშვილზე, მიუსადაგეთ ყოველ ისტორიას თვისება:

სიახლების მოყვარული მზრუნველი და კეთილი თავმდაბალი და მომთხოვნი

საინტერესო ამბები ჰამლეთ გონაშვილზე

1. თურმე ერთელ ჰამლეთ გონაშვილი გემით მგზავრობდა. გემბანზე თოლიები დაფრინავდნენ და საჭმლის ნარჩენებს ეძებდნენ. გონაშვილს ძალიან გაუხარდა ფრინველების დანახვა. პურის ნაჭერი აიღო და პატარა ნამცეცხად დაანაწილა. ნამცეცხები ხელისგულზე დაიყარა და თოლიებს აჭამა. გემბანზე ყველა გაოცებული უყურებდა. ჯერ არავის ენახა, კაცის ხელიდან თოლიას საჭმელი ეჭამა.
2. თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა. როდესაც ვინმე მის ქებას დაიწყებდა, ცდილობდა, იქსურობას გასცლოდა. სიმღერის ჩაწერიდან როცა ბრუნდებოდა და მუღლუ ეკითხებოდა, ჩაწერამ როგორ ჩაიარაო. ჰამლეთი ყოველთვის ერთსა და იმეცს პასუხობდა: „ისე რა, ხვალ კიდე უნდა მოვისმინო და კიდე ერთელ ჩაწეროთო“. ამ დროს უკვე საუკეთესო ჩანაწერი იყო გაკეთებული და განმეორება აღარ სჭირდებოდა.
3. ჰამლეთ გონაშვილს ყოველთვის თან მიჰქონდა ქართული ღვინო. თუმცა ბევრს არ სვამდა. სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოჰქონდა საინტერესო ნივთები. თურმე სირიიდან ლეღვის წერტი ჩამოუტანია. წერტი თავის სოფელში დარგო, გაახარა და ძალიან კმაყოფილი იყო ამით.

1. **2.**

3.

ბ. მიუსადაგე თვისებას შესაბამისი წინადადება:

თვისება	საიდან ჩანს? - არგუმენტი
მზრუნველი	
სიახლების მოყვარული	
თავმდაბალი	
მომთხოვნი	
კეთილი	

15. უპასუხეთ შეკითხვებს ტექსტებზე დაყრდნობით:

1. რატომ შეიცვალა პროფესია ჰამლეტ გონაშვილმა?

.....

2. რა აკავშირებდა ტურიზმთან?

.....

3. როგორც მომღერალს, რა ჰქონდა მას განსაკუთრებული?

.....

4. რა იყო გასაკვირი იმ ფაქტში, რომ ჰამლეტი ხელით აჭმევდა თოლიებს?

.....

5. რა გახდა ჰამლეტ გონაშვილის გარდაცვალების მიზეზი?

.....

16. ა. დააკავშირეთ:

ნაწარმოების ცნობილი	ჩამოვარდნილი ფაკულტეტი
ჩააბარა ბიოლოგიის	ხმა მომღერალი
გასაოცარი ხიდან	გემით თეატრალურზე
მგზავრობდა ჩამოჰქონდა	ქვეყნებიდან გმირები

ბ. მიღებული ფრაზები გადაწერეთ ხაზებზე:

.....
.....
.....

17. წაიკითხეთ საინტერესო ამბები ჰამლეტ გონაშვილის შესახებ (N1 ისტორია) გამოიყენეთ სქემა და ისაუბრეთ როგორი იყო ის?

ჩემი აზრით ჰამლეტ გონაშვილი იყო ამას იმიტომ ვფიქრობ, რომ
მასზე სხვებიც ფიქრობდნენ, რომ, რადგან

18. ტექსტში ჩასვით შემოთავაზებული სიტყვები:

დაამთავრა	გასტროლებზე	სწავლობდა	გარდაიცვალა
სიმღერების შესრულებითა		მღეროდა	
ინგლისური ენის სპეციალობით			

VII. წერიტი ღავაღბის აქტივობები

გოგი დოლიძე 1961–1971 წლებში თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში, პარალელურად – სამუსიკო სასწავლებელში. 1976 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

..... ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისში“, 1986 წლიდან კი – ანსამბლ „ქართულ ხმებში“. ამ ანსამბლთან ერთად იყო მრავალ ქვეყანაში. გოგი დოლიძე ძირითადად მაინც საესტრადო ცნობილი. ამ ჟანრით გატაცება ხალხური სიმღერების მისეულ შესრულებაშიც აისახა და განსაკუთრებული ელფერი შესძინა.

..... 1996 წლის 8 მარტს. გარდაცვალების შემდეგ, 1999 წელს, გოგი დოლიძე მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ მომღერალ მამაკაცად დაასახელეს.

19. გაიხსენეთ ჰამლეტ გონაშვილის ბიოგრაფია და მოკლედ და თანმიმდევრობით წარმოადგინეთ ფაქტები მისი ცხოვრებიდან (ყურადღება მიაქციეთ საწყის ფრაზებს/სიტყვებს):

- ადრე
- მანამდე
- ჯერ
- შემდეგ
- ბოლოს

20. შემოთავაზებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერეთ ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფია:

დაბადების თარიღი	14 ივლისი, 1928
დაბადების ადგილი	თბილისი.
გარდაცვალების თარიღი	4 სექტემბერი, 1984 (56 წლის)
დასაფლავებულის ადგილი	მთანმინდის პანთეონი
საქმიანობა	პროზაიკოსი, პოეტი, სცენარისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი
უმაღლესი	ალმა-მატერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოთხრობები	„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „ნუ გეშინია, დედა!“, „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირალები“, „მარადისობის კანონი“, „კუკარაჩა“ და “Hellados”
ჯილდოები	რუსთაველის პრემია, საპატიო ნიშნის ორდენი,
მეუღლე	ნანული გუგუნავა
შვილები	მანანა, ზაზა, ქეთევანი

B1



ქართული ჟილათა	150
კოვუნარული კერძები	
საქართვადოში	161
სვანეთი	183
რაჭა	196
კიძრა	213
ადქსანდრე ქართვადი	232
ახადი ქართული	
ფხბურთი	247

B1 საინფორმაციო ტექსტი

გამოყენებულია კორტალის reading.ge ტექსტი

ავთოლური დაფუძვლების ავტორი: გიორგი ჭაუჭიძე

ქართული ჭიდაობა

I. აქტივობა თემის გასწავლისთვის

1. მონიშნეთ ყველა სურათი, სადაც ჭიდაობაა:



2. მონიშნეთ სურათი, სადაც ქართული ჭიდაობაა:





4.



5.



6.

3. როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა ქვემოთ მოცემული წინადადებები:

- I. ქართული ჭიდაობა მხოლოდ საქართველოშია გავრცელებული.
- II. ქართული ჭიდაობის დროს ყოველთვის ისმის მუსიკა.
- III. საქართველოს ძალიან ბევრი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს ჭიდაობაში.

პასუხის გაცემისას გამოიყენეთ შემდეგი კონსტრუქცია:

ჩემი აზრით, სწორია, რომ , რადგან
 ჩემი აზრით, არასწორია, რომ , რადგან

თქვენი პასუხები გადაამოწმეთ ტექსტის წაკითხვის დროს:

II. დეჟინიკაზა, ფრაზაზა, კონსტრუქცია და ზმნაზა დაკვირვაა

4. დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებსა და განმარტებებს. ეს დაგეხმარებათ ტექსტის გააზრებაში:

სიტყვა	ზმნა
<p>ჭიდაობა – ორთაბრძოლის სახეობა, სპორტული შეჯიბრება ორ ადამიანს შორის.</p> <p>სახეობა – მსგავსი ნიშნის მიხედვით გაერთიანებული საგნები.</p> <p>სანახაობრივი – ის, რასაც ბევრი ადამიანი უყურებს.</p> <p>შემოსევები – მტრის თავდასხმები.</p> <p>ბრძოლა – იარაღით დაპირისპირება მოწინააღმდეგეებს შორის.</p>	<p>არსებობა – არსებობს ის (წესი)</p> <p>გახდომა – ხდის ის მას (დეტალი სპორტს), ხდება ის (გახდა ის)</p> <p>გამართვა – იმართება ის (ჭიდაობა) იმართებოდა ის</p> <p>განცდა – განიცდის ის მას (საქართველო შემოსევას) განიცდიდა ის მას</p> <p>დახვედრა – ხვდება ის მას (ქართველი მტერს) დახვედროდნენ ისინი მას/მათ</p>

სიტყვა	ზმნა
<p>წესი – კანონი.</p> <p>უხეში – მაგარი, მოუქნელი, უზრდელი, მძიმე.</p> <p>სასტიკი – დაუნდობელი.</p> <p>ილეთი – მოძრაობა სპორტში.</p> <p>მიხვრა-მოხვრა – სხვადასხვა მოძრაობა სხეულით.</p>	<p>გავრცელება – ვრცელდება ის (ჭიდაობა) გავრცელდა ის</p> <p>ყურება – უყურებს ის მას/მათ (მაყურებელი ჭიდაობას) უყურებდა ის მას/მათ</p> <p>აშენება – შენდება ის (სახლი) აშენდა ის</p> <p>ჭიდაობა – ჭიდაობს ის (მოჭიდავე) ჭიდაობდნენ ისინი</p> <p>გამორჩევა – გამორჩევა ის (ჭიდაობა) გამორჩეოდა ის</p> <p>შენყვება – წყდება ის (შეჯიბრი) წყდებოდა ის</p> <p>სმენა – ისმის ის (მუსიკა)</p> <p>შექმნა – ქმნის ის მას (რიტმს)</p> <p>შენყობა – ენყობა ის მას/მათ (მოძრაობა რიტმს) ენყობოდა ის მას/მათ</p> <p>შესრულება – სრულდება ის (მიხვრა-მოხვრა) სრულდებოდა ის</p> <p>მგვანება – ჰგავს ის მას (ჭიდაობა ცეკვას) ჰგავდა ის მას</p> <p>გამოსვლა – გამოდის ის (მოჭიდავე) გამოდიან ისინი</p> <p>მომზადება – ემზადება ის ემზადებიან ისინი</p> <p>ყოლა – ჰყავს მას ის (საქართველოს ჩემპიონი)</p> <p>დარჩენა – რჩება ის (ჭიდაობა)</p> <p>აღნიშვნა – აღნიშნავს ის მას (ხალხი დღესასწაულს)</p>


ფრაზები	კონსტრუქციები
სანახაობრივს ხდის – უფრო მეტად ადამიანს სურს მისი ნახვა.	ყოველთვის განიცდიდა სიამოვნებით უყურებდა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ტრადიციად რჩება შესაბამისად სრულდებოდა ყოველწლიურად იმართებოდა
სასტიკად აკრძალული – რაც კატეგორიულად არ შეიძლება.	
თითოეული მიხვრა-მოხვრა – სხეულის ყოველი მოძრაობა.	
წესების დაცვით – წესების, კანონების მიხედვით.	

III. ღვადააბები დაქსიკაზე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე

5. აწარმოეთ ხარისხის ფორმები ნიმუშის მიხედვით:

- ნიმუში:** ძველი – უძველესი
- დიდი –
 - მნიშვნელოვანი –
 - ძლიერი –
 - სასტიკი –
 - ლამაზი –

6. დააკავშირეთ ანტონიმები:



IV. ტექსტის კითხვის პროცესი

7. წაიკითხეთ ტექსტი და შეურჩიეთ სათაური ტექსტის მონაკვეთებს:

- ა. ზოგადი ცნობები
- ბ. ჭიდაობა თანამედროვე საქართველოში
- გ. ჭიდაობის განვითარების ისტორია

ქართული ჭიდაობა

ქართული **ჭიდაობა** სპორტის უძველესი **სახეობაა**. ჭიდაობა ბევრ ქვეყანაში **არსებობს**, თუმცა ქართული ჭიდაობა მათგან განსხვავებულია.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ჭიდაობის ძველებური სტილი, ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც უფრო **სანახაობრივ ხდის** ამ სპორტს.

ადრე ჭიდაობა ძირითადად სოფლებში, საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე, **იმართებოდა**. ვინაიდან საქართველო მტრის **შემოსევებს** ყოველთვის **განიცდიდა**, ქართველები ცდილობდნენ, მტერს ფიზიკურად მომზადებულები, ძლიერები **დახვედროდნენ**. ჭიდაობაც **ბრძოლისათვის** მომზადების ერთ-ერთი საშუალება იყო.

შედარებით გვიან, XV-XVII საუკუნეებში, ჭიდაობა მთელ საქართველოში **გავრცელდა**. ხალხი სიამოვნებით **უყურებდა** სპორტის ამ სახეობას.

ჭიდაობის პოპულარობის გამო საქართველოს ქალაქებში **აშენდა** საჭიდაო მოედნები. აქ **ჭიდაობდნენ** როგორც ცნობილი ქართველი მოჭიდავეები, ასევე ინდოეთიდან, თურქეთიდან, ფინეთიდან და იაპონიიდან ჩამოსული ფალავნები.

ქართული ჭიდაობა წესების დაცვით **იმართებოდა**. იგი ყოველთვის **გამოირჩეოდა** ილეთების მრავალფეროვნებით. ჭიდაობის უმთავრესი **წესით**, ნაქცეულ მეტოქესთან ბრძოლა წყდებოდა. ხელის კვრა, ხელის ყელთან მოჭერა და ყველანაირი **უხეში** მოპყრობა ქართულ ჭიდაობაში **სასტიკად** აკრძალული იყო.

სპორტის ეს სახეობა ძირითადად დღესასწაულებზე **იმართებოდა**. ამ ფაქტის გამო ჭიდაობისას ყოველთვის **ისმოდა** მუსიკის ხმა. ქართული ჭიდაობა წარმოუდგენე-

ლი იყო ზურნისა და დოლის გარეშე. მუსიკა ქმნიდა რიტმს. ამ რიტმს ეწყობოდა მოჭიდავეთა მოძრაობებიც. თითოეული მიხვრა-მოხვრა მუსიკასთან ერთად და მისი ტემპის შესაბამისად სრულდებოდა. ქართული ჭიდაობა, ერთი შეხედვით, ცეკვას ჰგავდა და ძალიან ლამაზი სანახავი იყო.

ჭიდაობა საქართველოში დღესაც ძალიან პოპულარულია. მოჭიდავეები გამოდიან საჭიდაო დარბაზებში. ემზადებიან ოლიმპიური თამაშებისათვის. საქართველოს ძალიან ბევრი ცნობილი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს ჭიდაობაში.

დღესასწაულებზე ქართული ჭიდაობის გამართვა საქართველოში დღემდე ტრადიციად რჩება. ყოველწლიურად, შემოდგომაზე, როდესაც თბილისობის დღესასწაულს აღნიშნავს ხალხი, ქართული ჭიდაობა ერთ-ერთი საინტერესო სანახაობაა.

V. გავაგაზე ორიენტირებული აქტივობები

8. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა უპირატესობას აძლევს ძველებური სტილი ქართულ ჭიდაობას?
 - ა. უფრო სანახაობრივს ხდის.
 - ბ. უფრო სწრაფს ხდის.
 - გ. უფრო ნელს ხდის.
 - დ. უფრო ხმაურიანს ხდის.
2. როდის იმართებოდა ხოლმე ადრე ქართული ჭიდაობა?
 - ა. მეფეების დაბადების დღეებზე.
 - ბ. საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე.
 - გ. მხოლოდ საერო დღესასწაულებზე.
 - დ. მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე.
3. რა ფუნქცია ჰქონდა ქართულ ჭიდაობას ძველ დროში?
 - ა. ქორწინებისთვის მომზადების ერთ-ერთი საშუალება იყო.
 - ბ. ახალი წლისთვის მომზადების ერთ-ერთი საშუალება იყო.
 - გ. აღდგომისთვის მომზადების ერთ-ერთი საშუალება იყო.
 - დ. ბრძოლისათვის მომზადების ერთ-ერთი საშუალება იყო.

4. ტექსტის მიხედვით, საიდან ჩამოდიოდნენ საქართველოში ჭიდაობის მსურველები?
- ა. ინდოეთიდან, თურქეთიდან, ფინეთიდან და იაპონიიდან.
 - ბ. ინდოეთიდან, იაპონიიდან, ესპანეთიდან და ფინეთიდან.
 - გ. თურქეთიდან, იაპონიიდან, ფინეთიდან და საფრანგეთიდან.
 - დ. ინდოეთიდან, ინგლისიდან, ფინეთიდან და იაპონიიდან.
5. ტექსტის მიხედვით, რომელი წინადადება არ შეესაბამება სიმართლეს?
- ა. ქართული ჭიდაობა ყოველთვის გამოირჩეოდა ილეუების მრავალფეროვნებით.
 - ბ. ჭიდაობის უმთავრესი წესი იყო, რომ ნაქცეულ მეტოქესთან ბრძოლა წყდებოდა.
 - გ. ქართულ ჭიდაობაში არ არსებობდა გამარჯვებული და დამარცხებული.
 - დ. ქართული ჭიდაობა წარმოუდგენელი იყო ზურნისა და დოლის გარეშე.

VI. გრაფიკულ საკითხავზე ორიენტირებული აქტივობები

9. დააკვირდით ზმნას **ენყობოდა** და წინადადების გასწვრივ მიუწერეთ, რომელი შინაარსითაა გადმოცემული:

მონყობა-მომზადება, მიწყობა-მიმდევრობა, დაწყობა-დალაგება, შეწყობა-შეთანხმება-შეხმატკბილება.

- ა. სოფლის შუაგულში საჭიდაო მოედანი ეწყობოდა.
- ბ. კარგი ამბები ერთმანეთს ეწყობოდა.
- გ. შეჯიბრების დაწყებამდე ტატამის ირგვლივ მაყურებლებისთვის სკამები ეწყობოდა.
- დ. ხმები კარგად ეწყობოდა ერთმანეთს.

ზემოთ მოცემული წინადადებები გადაანაწილეთ ცხრილში:

მონყობა-მომზადება <small>რაიმესთვის წინასწარ მომზადება</small>	შეწყობა-შეთანხმება- შეხმატკბილება <small>ჰარმონიულად დაკავშირება ერთმანეთთან</small>	დაწყობა-დალაგება <small>თავ-თავის ადგილას დადება</small>	მიწყობა-მიმდევრობა <small>როცა რაღაც ფაქტები / მოვლენები ერთმანეთს მისდევს თანმიმდევრობით</small>

10. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ხაზგასმული ზმნები გადაიყვანეთ აწმყოში:

ა. ქალაქის მოედნებზე ცნობილი ქართველი მოჭიდავეები **ჭიდაობდნენ**.

ბ. ქართული ჭიდაობა წესების დაცვით **იმართებოდა**.

გ. ქართული ჭიდაობა **გამოირჩეოდა** ილეთების მრავალფეროვნებით.

დ. ქართული ჭიდაობის წესების მიხედვით, წაქცეულ მეტოქესთან ბრძოლა **წყდებოდა**.

ე. ხელის კვრა, ხელის ყელთან მოჭერა ქართულ ჭიდაობაში სასტიკად **იკრძალებოდა**.

ვ. ჭიდაობისას ყოველთვის **ისმოდა** მუსიკის ხმა.

ზ. საჭიდაო მუსიკა **ქმნიდა** რიტმს, რასაც **ენყობოდა** მოჭიდავეთა მოძრაობებიც.

თ. ჭიდაობის თითოეული მიხვრა-მოხვრა მუსიკის ტემპის შესაბამისად **სრულდებოდა**.

ი. ჭიდაობისთვის დიდხანს **ემზადებოდნენ** მოჭიდავეები.

კ. ხალხი სიამოვნებით **უყურებდა** მოჭიდავეების შეჯიბრს.

11. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით:

- ა. ხალხი (სიამოვნებით/სიამოვნების) უყურებდა სპორტის ამ სახეობას.
- ბ. საქართველოს ქალაქებში თანდათან აშენდა (ჭიდაობის/საჭიდაო) მოედნები.
- გ. ქართული ჭიდაობა ძირითადად (დღესასწაულებში/დღესასწაულებზე) იმართებოდა.
- დ. ქართული ჭიდაობის ილეთები ქართველ (მოჭიდავეებს/მოჭიდავეების) ეხმარება ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაშიც.

12. გაიხსენეთ -ზე და -ში თანდებულების გამოყენების წესი და ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ჩასვით სიტყვები სწორი ფორმით:

- ა. ადრე ჭიდაობა, ძირითადად, (სოფლებში/სოფლებზე), საერო და საეკლესიო (დღესასწაულებში/დღესასწაულებზე), იმართებოდა.
- ბ. ჭიდაობის პოპულარობის გამო საქართველოს (ქალაქებში/ ქალაქებზე) აშენდა საჭიდაო მოედნები.
- გ. ჭიდაობისას (მოედნებში/მოედნებზე) ყოველთვის ისმოდა მუსიკის ხმა.
- დ. ყოველწლიურად, (შემოდგომაში/ შემოდგომაზე), როცა თბილისობის დღესასწაულს აღნიშნავს ხალხი, ქართული ჭიდაობა ერთ-ერთი საინტერესო სანახაობაა.

13. დააკვირდით წინადადებაში გამუქებულ სიტყვებს და აწარმოეთ ახალი ფორმები: აქ ჭიდაობდნენ, როგორც ცნობილი ქართველი მოჭიდავეები, ასევე ინდოეთიდან, თურქეთიდან, ფინეთიდან და იაპონიიდან ჩამოსული ფალავნები.

ბელგია	
საქართველო	
აზერბაიჯანი	

სომხეთი	
იტალია	
ინგლისი	
ამერიკა	
კანადა	
პოლონეთი	
უკრაინა	

მიაქციეთ ყურადღება: როდესაც ქვეყნის სახელი მთავრდება -ია-ზე, მაშინ ორი „ი“ იქნება.

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები

14. ისაუბრეთ შეკითხვების მიხედვით:

- როგორ ფიქრობთ, ქართული ჭიდაობა ადრე, ძველად, უფრო პოპულარული იყო, თუ – ახლა?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არ არის ქართული ჭიდაობა სპორტის ოლიმპიური სახეობა?
- რა მნიშვნელობა აქვს მუსიკის შესრულებას ქართული ჭიდაობის დროს?
- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, ქართული ჭიდაობა ოლიმპიურ სახეობად გადაიქცეს?

საუბრისას გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები:

მე ვფიქრობ... შესაძლებელია...
ჩემი აზრით...
მგონია, რომ...

VIII. წერიტი ღვადალის აქტივობები

15. დაალაგეთ არეულად მოცემული სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:

ა. პრეზიდენტო ბატონო გამარჯობა!

B1 არამხატვრული – პრაგმატული ტექსტი

ტექსტები შექმნილია ინტერნეტში მოძიებულ კვინარულ რეცეპტებზე დაყრდნობით:

<http://pincake.ge/menu/56>, <https://gemrielia.ge/recipe/3039-namdvili-svanuri-kubdari/>

ავთოლური დაუზავავის ავთორი: **ცაუნინა მალაზონია**

პოპულარული კერძები საქართველოში ხინკალი, კუბდარი, ტოლმა

I. აქტივობა თემის გახსნისთვის

1. დაასათაურეთ ილუსტრაციები: ტოლმა, კუბდარი, ხინკალი



2. დააკვირდით ილუსტრაციებს, შემოხაზეთ სწორი პასუხი ჩავსვით ფრჩხილებში:



1. ხაზები



2. ზოლები

3. ნაოჭები

3. თქვენი აზრით, სადაური კერძებია ხინკალი, ტოლმა ან კუბდარი? გაგისინჯავთ თუ არა? რომელი უფრო მოგწონთ და რატომ?

გამოიყენეთ: გამისინჯავს
 უფრო მომწონს იმიტომ, რომ გემრიელია.

.....

.....

.....

II. ღაჟსიკაზა, ფრაზაზა, კონსტრუქციასა და ზმნაზა დაკვირვაზა

4. დააკვირდით და დაიმახსოვრეთ:

სიფუზაზი	ფრაზაზი
შიგთავსი – რაღაცის შიგნით მოთავსებული მასა	დავკეპოთ ხორცი
კერძი – საჭმელი	მოვზილოთ ცომი
ინგრედიენტები – კერძის შემადგენელი ნაწილები	გავაბრტყელოთ ცომი
საკმაზები – სუნელები	შემოვუხვიოთ ნაპირები
მოცულობა – რაიმეს სიდიდე, რაოდენობა, ზომა	ამოვილოთ ხინკალი ქაფქირით
ნაპირები – კიდეები	შევანჯღრიოთ ქვაბი
ქაფქირი – დახვრეტილი ბრტყელი კოვზი	ამოტივტივებული ხინკალი
ცოტაოდენი – ცოტა, მცირე	ავადულოთ წყალი
ნაოჭები – ნაკეცები	
ზედსართავი სახელები: როგორი?	
მრგვალი – წრის ფორმის	
ცხიმიანი – ქონიანი	
დაკეპილი – წვრილად დაჭრილი ან მანქანაში გატარებული	
თხელი – მცირე სისქის	
მდულარე – მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებული სითხე	
რბილი – ნაზი, სათუთი	
მოხარშული – დუღილის შემდეგ საჭმელად მომზადებული	
ზედმეტი – არასაჭირო, საკმარისზე მეტი	

სიტყვა	ფრაზა
<p>ზმნიზედა: როგორ?</p> <p>წვრილად – მცირე ზომის ნაწილებად</p> <p>გემრიელად – სიამოვნებით, კარგი გემოს შეგრძნებით</p>	

ჯგუფი	კონსტრუქცია
<p>გატარება – აქ – საკვებ მანქანაში დამუშავება გავატაროთ ჩვენ ის</p> <p>მოზელა – ფქვილისა და წყლისგან მაგარი მასის მიღება – მოვზილოთ ჩვენ ის</p> <p>დაკეპვა – წვრილად დაჭრა, დამუშავება – დაკეპვით ჩვენ ის</p> <p>გაბრტყელება – გაშლა თხელ ფირფიტებად – გავაბრტყელოთ ჩვენ ის.</p> <p>გამოჭრა – დაჭრის შედეგად გარკვეული ფორმის მიცემა საგნისთვის. გამოჭრათ ჩვენ ის.</p> <p>მოთავსება – ჩადება. ჩავდოთ ჩვენ ის.</p> <p>შეერთება – ორი ან მეტი ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება. შევაერთოთ ჩვენ ის.</p> <p>მოხარშვა – ადუღებულ წყალში პროდუქტის საჭმელად მომზადება. მოვხარშოთ ჩვენ ის.</p> <p>ამოტივტივება – ზედაპირზე ამოსვლა. ამოტივტივდება ის.</p> <p>მოყრა – რაღაცის დაყრა ზედაპირზე მცირე რაოდენობით. მოვაყაროთ ჩვენ მას ის.</p> <p>შენჭლრევა – ამოძრავება. შევანჭლრიოთ ჩვენ ის.</p> <p>მონალვა – მდულარე წყალში გაჩერება 2-3 წუთით</p>	<p>ფქვილი, რამდენსაც შეიზელს...</p> <p>დავჭრათ პატარა ნაჭრებად...</p> <p>გავატაროთ ხორცსაკვებ მანქანაში...</p> <p>მარილი – გემოვნებით...</p> <p>გემრიელად მიირთვით!..</p> <p>კოვზით მოვათავსოთ...</p> <p>ვხარშოთ წუთი...</p> <p>დაკეპვით წვრილად...</p> <p>შემოვუხვიოთ ნაპირები ცომს...</p> <p>ისე, რომ გაჩნდეს „ნაოჭი“</p> <p>შევანჭლრიოთ ქვაბი...</p>

III. ლავაღებები ღაჟიკაზე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე

5. ილუსტრაციებს მიუწერეთ სახელწოდებები:

ა. ხორცი, მარილი, ფარში, ფქვილი, მწვანილი, აფუებული ცომი, საფუარი.



ბ. ხახვი, ნიორი, წინაკა



გ. მიუწერეთ ფოტოებს მწვანილის სახელები: კამა, ოხრახუში, ქინძი.



ე. მიუწერეთ წითელი წინაკა, შავი პილპილი, მწვანე წინაკა.



6. ჩაწერეთ სათანადო ადგილას: ცომი, შიგთავსი.



7. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

ინგრადიენტები

- ა. საკმაზი
- ბ. შიგთავსი
- გ. დაკეპილი
- დ. მოცულობა
- ე. ნაპირები
- ვ. მრგვალი
- ზ. ქაფქირი
- თ. ცოტაოდენი
- ი. ნაოჭები
- კ. ცხიმოვანი
- ლ. კერძი

რაოდენობა, სიდიდე

- ა. წრის ფორმის
- ბ. მანქანაში გატარებული
- გ. რაიმეს შიგ არსებული მასა
- დ. ნაკეცები
- ე. დახვრეტილი, ბრტყელი კოვზი
- ვ. კერძის შემადგენელი ნაწილები
- ზ. სუნელები
- თ. კიდები
- ი. ქონიანი
- კ. საჭმელი
- ლ. ცოტა, მცირე

IV. ტექსტის კითხვის პროცესი

8. რა ინგრედიენტებისგან შედგება ხინკალი? შეავსეთ ასოციოგრამა.



9. ქვემოთ მოცემული ტექსტის პირველ აბზაცში გადახედეთ ხინკლისთვის საჭირო ინგრედიენტებს, დაუბრუნდით ასოციოგრამას და დაამატეთ, რაც გამოგრჩათ:

10. წაიკითხეთ ტექსტი სრულად და შეასრულეთ დავალებები:

ხინკალი

საჭირო ინგრედიენტები: 500 გრ. ცხიმიანი საქონლის ხორცი ან 300 გრ. საქონლისა და 200 გრ. ღორის ხორცი, 2-3 თავი ხახვი, ოხრახუში, ქინძი, ნიორი, კამა, პილპილი, ფქვილი, რამდენსაც შეიზელს, მარილი – გემოვნებით.

ხორცი გავასუფთავოთ, გავრეცხოთ, დავჭრათ პატარა ნაჭრებად, გავატაროთ მანქანაში, დავკეპოთ ნვრილად, დავუმატოთ საკმაზი, ხახვი, ნიორი და მწვანილი, დაკეპილ ხორცს მოვაყაროთ პილპილი, მარილი და კარგად შევურიოთ ერთად. დავამატოთ ცოტაოდენი თბილი წყალი.

ჯამში ჩავყაროთ ფქვილი, დავამატოთ წყალი, მარილი და მოვზილოთ რბილი ცომი. ხორცის ფარში და ცომი მოცულობით დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს.

მაგიდაზე გავაბრტყელოთ ცომი. წიქით ან ცომის მოსაჭრელი სპეციალური ხის ფორმით გამოვჭრათ მრგვალი ნაჭრები, მათზე კოვზით მოვათავსოთ ხორცის თხე-

ლი ფარში. შიგთავსი წვნიანი უნდა იყოს. ცომს ნაპირები შემოვუხვიოთ ისე, რომ გაჩნდეს „ნაოჭები“. ზედა მხარეს შევაერთოთ, ზედმეტი ცომი მოვწყვიტოთ. ხინკალს უნდა ჰქონდეს მრგვალი ფორმა.

ავადულოთ წყალი დიდ ქვაბში, ჩავყაროთ შიგ მარილი, ხინკალი ჩავუშვათ მდულარე, მარილიან წყალში, ქვაბი ოდნავ შევანჯღრიოთ და ხინკლები ამოვატივტივოთ ზევით, როცა წყალი კვლავ ადუღდება, ვხარშოთ 5-10 წუთი.

მოხარშული ხინკალი ქაფქირით ამოვიღოთ, სუფრაზე მივიტანოთ ცხელი, მოვაყაროთ შავი პილპილი. გემრიელად მიირთვიტ!

V. გავააზა ორიენტირაბული აქტივობაბი

11. მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია.

ინფორმაცია	სწორია	არასწორია
1. ხინკლისთვის მხოლოდ საქონლის ხორცს იყენებენ.		
2. ხორცის ფარში და ცომი მოცულობით დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს.		
3. ხინკლის ცომის ნაკეცებს „ნაოჭები“ ჰქვია.		
4. მოსახარშ ხინკალს ადუღებულ მარილიან წყალში ყრიან.		
5. ხინკლისთვის უნდა მოვზილოთ მაგარი ცომი.		
6. ხინკლის შიგთავსი წვნიანი უნდა იყოს.		
7. ხინკალი უნდა ვხარშოთ 20 წუთი.		
8. ხინკლისთვის უნდა შევარჩიოთ უცხიმო ხორცი.		
9. ხინკალი ცივად უნდა მივირთვათ.		
10. ხინკლის ფარშს უნდა დავამატოთ თბილი წყალი.		

12. უპასუხეთ კითხვებს:

- 1. რისი ხორცისგან მზადდება ხინკალი?

2. რისგან შედგება ხინკლის შიგთავსი?
3. რომელ მწვანე მწებებზე ფარშს?
4. რა რაოდენობის უნდა იყოს ცომი და ფარში?
5. რას სჭირდება მოზელა, ცომს თუ ფარშს?
6. რატომ უნდა დავუმატოთ წყალი შიგთავსს?
7. რა უნდა მოვაყაროთ ხინკალს?
8. როდის უნდა მოვაყაროთ შავი პილპილი ხინკალს?
9. რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ხინკალი ქვაბში ამოტივტივდეს?
10. ხინკალი მოსახარშად თბილ წყალში უნდა ჩავყაროთ თუ ადუღებულში?

13. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები ტექსტში და წაიკითხეთ:

ავადულოთ, გავაბრტყელოთ, გავატაროთ, გავასუფთაოთ, შევეურიოთ, მოვაყაროთ, გამოვჭრათ, შემოვუხვიოთ, შევანჯღრიოთ, ჩავუშვათ.

ხორცი **გავასუფთავოთ**, დავჭრათ პატარა ნაჭრებად, ხორცსაკეპ მანქანაში. გატარებულ ხორცს დავამატოთ წინააპი, მარილი და კარგად ერთად. მაგიდაზე ცომი. ჭიქით, ან ცომის მოსაჭრელი სპეციალური ხის ფორმით მრგვალი ნაჭრები. ცომს ნაპირები ისე, რომ გაჩნდეს „ნაოჭი“.

..... წყალი დიდ ქვაბში, ჩავყაროთ მარილი, ხინკალი მდუღარე, მარილიან წყალში, ქვაბი ოდნავ როცა წყალი კვლავ ადუღდება, ვხარშოთ 5-10 წუთი. სუფრაზე მიტანილ მოხარშულ ხინკალს შავი პილპილი.

14. ცხრილში მოცემულ წინადადებებს მიუწერეთ ფოტოს ნომერი:

წინადადება	ფოტოს N
გამოვჭრათ მრგვალი ნაჭრები	
გავაბრტყელოთ ცომი	
მოვზილოთ ცომი	
შემოვუხვიოთ ცომს ნაპირები	
მოვჭრათ ცომი ჭიქით	

დავჭრათ ხორცი

გავატაროთ ხორცი მანქანაში


ფარში მოვათავსოთ ცომში

მოვზილოთ ფარში საკმაზთან ერთად

ამოვიღოთ ხინკალი ქაფქირით

მოვხარშოთ ხინკალი

ავადულოთ წყალი



15. მე-14 დავალების წინადადებები დაალაგეთ თანმიმდევრობით:

1. დავჭრათ ხორცი.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.
11.
12.

VI. პრაქტიკულ საკითხაზე ორიენტირებული აქტივობები

16. დააკავშირეთ ერთმანეთთან და წაიკითხეთ მიღებული ფრაზები:

- | | |
|----------------------------|--------------------------|
| ა. გამოვჭრათ მრგვალი | ა. ცომი |
| ბ. გავაბრტყელოთ | ბ. ნაპირები |
| გ. მოვზილოთ | გ. ჭიქით |
| დ. შემოვუხვიოთ ცომს | დ. ნაჭრები |
| ე. მოვჭრათ მრგვალი ნაჭრები | ე. ქაფქირით |
| ვ. დავკეპოთ | ვ. ცომში |
| ზ. ფარში მოვათავსოთ | ზ. ხორცი წვრილად |
| თ. ამოვიღოთ | თ. ფარში საკმაზთან ერთად |
| ი. შევანჯღრიოთ | ი. წყალი |
| კ. ავადულოთ | კ. ქვაბი |

17. მე-16 დავალებაში მოცემული ფრაზები დაალაგეთ თანმიმდევრობით:

-ჯერ

.....

.....

შემდეგ

.....

ბოლოს

18. დააკვირდით და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

რა?	როგორი?
გასუფთავება	გასუფთავებული
გატარება	
მოხელა	მოხელილი
დაკეპვა	დაკეპილი
მოჭრა	მოჭრილი
გაბრტყელება	გაბრტყელებული
გამოჭრა	გამოჭრილი
მოთავსება	
შეერთება	
	მოხარშული
ამოტივტივება	ამოტივტივებული
მოყრა	მოყრილი
მონყვეტა	
შენჯღრევა	შენჯღრეული
	გარეცხილი

19. შეარჩიეთ და ჩასვით სწორად წინადადებაში:

გასუფთავება/გასუფთავებული

წიმუში: არ დაგავიწყდეს ხორცის გასუფთავება!

1. გატარება/გატარებული

მანქანაში ხორცი არის ხინკლის შიგთავსი.

2. მოხელა/მოხელილი

..... ცომი უნდა იყოს რბილი.

3. დაკეპვა/დაკეპილი

კუპდარი მზადდება დანით ხორცით.

4. მოჭრა/მოჭრილი

შესაძლებელია ცომის ქიქით.

5. გაბრტყელება/გაბრტყელებულ

..... ცომში მოათავსეთ ფარში.

6. მოთავსება/მოთავსებული

ტოლმა მაცივარშია

7. შეერთება/შეერთებული

ხაჭაპურის მომზადებისას აუცილებელია ცომის ნაპირების

8. მოხარშვა/მოხარშული

ხინკლის შესაძლებელია 10 წუთში.

9. მოყრა/მოყრილი

როცა ხინკალი მოიხარშება, სასურველია შავი პილპილის

10. შენჯღრევა/შენჯღრეული

ხინკალი რომ წყლის ზედაპირზე ამოტივტივდეს, აუცილებელია ქვების

20. გადაიყვანეთ ზმნები წარსულსა და მომავალ დროში ნიმუშის მიხედვით.

რა გავაკეთოთ?	რა გავაკეთე?	რას გავაკეთებ?
გავასუფთაოთ	გავასუფთავე	გავასუფთავებ
დავჭრათ		
დავკეპოთ		დავკეპავ
გავატაროთ		
დავუმატოთ		
მოვაყაროთ	მოვაყარე	
ავზილოთ		
გავაბრტყელოთ	გავაბრტყელე	
გამოვჭრათ		
მოვათავსოთ		მოვათავსებ
შემოვუხვიოთ		
ჩავყაროთ		
მოვწყვიტოთ		
შევანჯღრიოთ	შევანჯღრიე	
ჩავუშვათ		
მოვხარშოთ		
ვადულოთ		ავადულებ

1. ცომს ნაპირებს შემოვუხვევ	1. ქვებს ოდნავ შევანჯღრევ და ხინკლებს მაღლა ამოვატივტივებ.
2.	2.
3.	3.
1.	1. ფარშს დავამატებ წინაკას, მარილს გემოვნებით და ხელით მოვზებელ.
2. ხინკალი უნდა ვხარშო 5-10 წუთი	2.
3.	3.
1 ცომს მოვუკრავ პირს	1
2.	2. კუბდარი უნდა მოვათავსო ღუმელში და გამოვაცხო.
3	3.

23. გამოიყენეთ წინა სავარჯიშო და შეასრულეთ დავალებები სხვადასხვა სიტუაციაზე დაყრდნობით.

სიტუაცია 1. სტუმრად გეწვია მეზობელი, რომელსაც ხინკლით გაუმასპინძლდი. მას ძალიან მოეწონა შენ მიერ მომზადებული ხინკალი და გთხოვა აგეხსნა, როგორ მოამზადე ის. დაუნერე მეზობელს ხინკლის რეცეპტი. გამოიყენე წარსული დროის ფორმები.

ხორცი გავასუფთავე,

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

სიტუაცია 2. გინდა ხინკლის მომზადება. დედა გთხოვს, თანმიმდევრობით მოუყვე, როგორ აპირებ ამას. უამბე დედას, რის გაკეთებას აპირებ, გამოიყენე მომავალი დროის ფორმები.

- ა. მოვზილოთ ცომი საფუარით.
- ბ. ავადულოთ წყალი და ჩავყაროთ შიგ მარილი.
- გ. ფრინველის ხორცი გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში.
- დ. საქონლის ან ღორის ცხიმის ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად.
- ე. დავუმატოთ დაჭრილი ხახვი, ნიორი და სუნელები.
- ვ. დავუმატოთ მოხარშული ბრინჯი.
- ზ. მოვზილოთ ფარში.
- თ. გავაბრტყელოთ ცომი და შიგ მოვათავსოთ დაკეპილი ხორცი.
- ი. ჩავყაროთ ადუღებულ წყალში და მოვხარშოთ.
- კ. მოვათავსოთ ღუმელში და გამოვაცხოთ.

26. წაიკითხეთ ტექსტი კუბდარის მომზადების შესახებ და ისაუბრეთ, რა დაემთხვა და რა – არა.

თბილ წყალში **გავხსნათ** საფუარი და **მოვზილოთ** ცომი, მაგრამ უფრო მაგარი, ვიდრე ხაჭაპურის შემთხვევაში. **დავდგათ** თბილ ადგილას ასაფუებლად.

ხორცი **დავკეპოთ** საშუალო ზომის ნაჭრებად, დავუმატოთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი, ნიორი და სუნელები.

სუნელიდან ყველაზე დიდი რაოდენობით **ავილოთ** ხმელი ქინძი, საშუალო რაოდენობით – უცხო სუნელი და შედარებით მცირე რაოდენობით – კამა და გიცრული (გიცრული სვანეთში იზრდება და თითქმის იგივეა, რაც ძირა, ამიტომ შეგიძლიათ თამამად ჩაანაცვლოთ.) ჭამში სუნელებმა უნდა შეადგინოს დაახლოებით 2 სუფრის კოვზი.

ბოლოს **დავამატოთ** მარილი წითელი წინაკა გემოვნებით და ხელით **მოვზილოთ**. გავაბრტყელოთ ცომი და შიგ მოვათავსოთ დაკეპილი ხორცი. მოვუკრათ პირი და ისევ გავაბრტყელოთ. შემდეგ **მოვათავსოთ** ღუმელში და **გამოვაცხოთ**.

გამოიყენეთ:

ჩემი ვარაუდებიდან გამართლდა ა, ბ, გ.

არ გამართლდა:

27. ხინკლისა და კუბდარის რეცეპტზე დაყრდნობით მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი წინადადებები.

წინადადება	ხინკალი	კუბდარი
აყრიან შავ პილპილს.		
მას ყრიან მდულარე წყალში.		
მას ამზადებენ აფუებული ცომით.		
ამ კერძისთვის უნდა მოვზილოთ რბილი ცომი.		
შიგთავსს უნდა დავუმატოთ ხმელი ქინძი და გიცრული.		
მას აცხობენ ღუმელში.		
მას ხარშავენ ადულებულ წყალში.		
მას ამზადებენ დანით დაკეპილი ხორციით.		
მის ცომს უნდა გავუკეთოთ ნაოჭები.		

28. მონიშნეთ კიდევ რომელი კერძის მომზადება შეიძლება მსგავსი წესით?

- 1. სუპი**
- 2. კუპატი**
- 3. მწვადი**
- 4. ბლინები**
- 5. გუფთა**
- 6. კატლეტი**
- 7. ტოლმა**
- 8. ხაჭაპური**
- 9. ღვეზელი**
- 10. პელმენი**

ა. ისაუბრეთ:

რა მსგავსება და განსხვავებაა მომზადების წესსა და ინგრედიენტებს შორის.

VIII. წერილი ღვალაბის აქტივობები

29. რომელი კერძია ილუსტრაციაზე? სადაური კერძია?



30. ილუსტრაციებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოწერეთ ტოლმის ინგრედიენტები.

.....

.....

.....

.....

31. წინადადებებს მიუწერეთ ქვემოთ მოცემული ფოტოს ნომრები.

1. გავატაროთ ხორცი ხორცსაკებ მანქანაში. 8
2. ფარშს მოვაყაროთ საკმაზები და მწვანილი.
3. კომბოსტო გავრეცხოთ, ჩავდოთ ქვაბში.
4. მოვწალოთ კომბოსტო.
5. ჩავანყოთ ქვაბში ტოლმა და ვადულოთ ცეცხლზე 40 წუთი.
6. მოვასხათ ტომატი და გადმოვიღოთ თეფშზე.
7. კომბოსტოს ფოთლებში მოვათავსოთ ფარში.
8. დაკეპილი ხორცი შევახვიოთ კომბოსტოს ფოთლებში.



32. შეავსეთ საჭირო ზმნებით ტოლმის რეცეპტი და ნაიკითხე ხმამაღლა.

ავურიოთ, ჩავაყაროთ, დავამატოთ, ჩავასხათ, ავადულოთ, ჩავდოთ, ჩავაწყოთ, შემოვუხვიოთ, მოვხარშოთ, დავასხათ, გავაცალოთ, გავხსნათ, მოვასხათ, ჩავალაგოთ ქვაბში ცოტა წყალი და მარილი. კომბოსტო ადულებულ წყალში მოსაწალად. რამდენიმე წუთში ქაფქირის დახმარებით ამოვიღოთ და დარბილებული ფოთლები ფრთხილად. მონალულ ფოთლებს ავაჭრათ უხეში, მსხვილი ნაწილი. ფარშს გატარებული ხახვი და ნიორი, მწვანილი, წინაკა, მარილი, ბრინჯი, ტომატი, კარგად ერთმანეთში, დავამატოთ წყალი, რომ ფარში წვნიანი იყოს.

კომბოსტოს ფოთოლში ფარში, შევახვიოთ კარგად,
 გვერდები. ქვაბში მჭიდროდ. ალაგ-
 ალაგ ჩავანყოთ დაფნის ფოთოლი.

ერთ ჭიქა წყალში გავხსნათ ტომატი და ტოლმას.
 დაბალ ცეცხლზე, დაახლოებით 40 წუთი, თავდახურული.

33. გამოიყენეთ შესრულებული სავარჯიშოები და შეავსეთ მეგობრების მიმონერა ჩატში, მიეცით რჩევა რუზანას.

- გამარჯობა თამუნა! როგორ ხარ?
- გამარჯობა რუზანა. გმადლობთ, არა მიშავს, შენ თვითონ როგორ ხარ?
- მეც კარგად ვარ. დღეს ჩემი ქართველი ნათესავები მოდიან სტუმრად კახეთიდან. ძალიან მინდა, ხინკალი მოვამზადო. ვიცი, სხვადასხვანაირი რეცეპტი არსებობს. შენ რომელს მირჩევ?
- მართალია, თუმცა შიგთავსი ყველა რეცეპტით ერთნაირად მზადდება. ქალაქური მოამზადე.
- კარგი, მოკლედ მიკარნახე და ჩავინერ.
- ჯერ ხორცი **გაატარე** ხორცსაკვებ მანქანაში, შემდეგ
 ბოლოს
- ხორცი მხოლოდ საქონლის უნდა იყოს თუ ღორისაც შევურიო?
-
- ხახვი და ნიორი რამდენი თავი?
-
- ჯერ ხინკალი ჩავყაროთ თუ მარილი?
-
- როგორ გავიგო, რომ ხინკალი მოიხარშა?
-
- იმედია, გემრიელი გამოვა!

34. სამივე ტექსტზე დაყრდნობით შეავსეთ ტესტი.

1. ჩამოთვლილთაგან გამომცხვარი კერძია:

- ა. კუბდარი
- ბ. ტოლმა
- გ. ხინკალი

2. ცომის გარეშეა:

- ა. ტოლმა
- ბ. კუბდარი
- გ. ხინკალი

3. რომელი განსხვავებული სუნელები სჭირდება კუბდარს?

- ა. ქინძი
- ბ. ოხრახუში
- გ. გიცრული

4. გატარებული ხორცი და სუნელები ერთად უნდა:

- ა. მოვურიოთ
- ბ. მოვზილოთ
- გ. მოვხარშოთ

5. ბრინჯი სჭირდება:

- ა. ხინკალს
- ბ. ტოლმას
- გ. კუბდარს

6. კუბდარის ცომში არის:

- ა. შაქარი
- ბ. საფუარი
- გ. სოდა

7. ნაოჭები აქვს:

- ა. ტოლმას
- ბ. კუბდარს
- გ. ხინკალს

8. ამ სამი კერძიდან ნვნიანი კერძია:

- ა. კუბდარი
- ბ. ხინკალი
- გ. ტოლმა

9. 5-10 წუთი უნდა იხარშოს:

- ა. ტოლმა
- ბ. კუბდარი
- გ. ხინკალი

10. ტოლმის მოხარშვას სჭირდება:

- ა. 1 საათი
- ბ. 40 წუთი
- გ. 5-10 წუთი

B1 საინფორმაციო ტექსტი
გამოყენებულია reading.ge-ს მასალები

ეთოლური დამუშავების ავტორი: **ლელა ბუთურიშვილი**

სვანეთი

I. აქტივობები თემის გასნისთვის

1. დააკვირდით ფოტოს და გამოთქვით ვარაუდი, რის შესახებ იქნება ტექსტი?



2. დაუკვირდით რუკებს. ნაიკითხეთ მოცემული სიტყვები და ფრაზები და გადაანაწილეთ ცხრილში:

სიტყვები:

ჩრდილოეთით აფხაზეთი დასავლეთ საქართველოში სამეგრელო
ლეჩხუმი რაჭა კავკასიონის ქედი

მეზარეულობა

[Empty box for notes under 'მეზარეულობა']

მეზობლები

[Empty box for notes under 'მეზობლები']

II. ლექსიკაზა, ფრაზაზა, კონსტრუქციასა და ზანაზა ლაქვირვაზა

ილუსტრირებული ლექსიკონი



ხვანა-თესვა



ქერი



მწვერვალი



მოგზაური



კოშკი



იარაღი



სვანური ქუდი



ფიჭვი




არყი



ჭიხვი




სურა



თასი



სალოცავი



ხატი

დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებს და განმარტებებს, ეს დაგეხმარებათ ტექსტის გააზრებაში:

სიტყვაზი	ზანაზი
<p>მთიელი – მთაში მცხოვრები.</p> <p>საზოგადოება – ადამიანთა გაერთიანება, ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს.</p> <p>საერისთავო – ძველად ადმინისტრაციული ერთეული.</p> <p>თითქმის – ლამის, კინალამ.</p> <p>საზრდო – საჭმელი, საკვები.</p> <p>ხოლმე – გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას.</p>	<p>დამორჩილება/დანებება, დამორჩილება – ემორჩილება ის, მას;</p> <p>წაყოლა/ვინმესთან ან რამესთან ერთად წასვლა – მიჰყვება ის, მას;</p> <p>შეკვრა/შეკონვა, შეკოჭვა – შეუკრავს მას, ის;</p> <p>დაფარვა/დაცვა – იფარავს ის, მას;</p> <p>გახარება/გაზრდა – ვერ ხარობს ის;</p>

სიტყვა	ჯანა
<p>რასაკვრველია – რა თქმა უნდა, უეჭველია. თავიანი – საკუთარი. მრავალგვარი – მრავალნაირი. არჩვი – თხის მსგავსი საშუალო ზომის გარეული ცხოველი.</p>	<p>ნაყვანა/აიძულებს ან საშუალებას აძლევს მიჰყვებოდეს, მათთან ერთად მიდიოდეს სადმე – მიჰყავთ მათ, ის; ჩარცხვა/ჩათვლა, ყოფნა – ირიცხება ის;</p>
<p>როგორი? (მიმღობა)</p>	<p>ჩარცხვა/ჩათვლა, ყოფნა – ირიცხება ის;</p>
<p>შეცვლილი – ის, რაც შეცვალეს ან შეიცვალა.</p>	<p>მიტოვება/დატოვება, მოშორება – მიატოვებს ის, მას;</p>
<p>მოფენილი – მოფანტული.</p>	<p>გაცილება/მიტოვება – არ გაცილებია ის, მას;</p>
<p>შემოსაზღვრული – ის, რასაც გარშემო საზღვარი შემოავლეს.</p>	<p>მოლოდინი/დალოდება – უნდა მოელოდეს ის, მას;</p>
<p>დაფარული – რაიმეთი გადაფარული, დამალული.</p>	<p>მოყვანა/მოჰყავს მოსავალი – არ მოდის ის;</p>
<p>განსხვავებული – სხვაგვარი, სხვანაირი.</p>	<p>სიყვარული/ყვარს მას ის;</p>
<p>გაკეთებული – ის, რაც გააკეთეს ან გაკეთდა.</p>	<p>მგვანება/მსგავსება – ჰგავს ის, მას; რქმევა/ სახელის მიცემა – ჰქვია ის, მას;</p>
<p>შენირული – მსხვერპლად, შესანიშნავად მიტანილი.</p>	<p>მოწონება/რისამე დადებითად შეფასება – მოეწონება ის, მას;</p>
<p>შემონახული – ის, რაც შეინახეს ან შემოინახა.</p>	<p>დადგომა – დგება ის; ცოდნა – იცის მან, ის.</p>

ფრაზა	კონსტრუქცია
<p>თანახმანი არ იქნებიან – არ დაეთანხმებიან;</p>	<p>მოფენილია ... ეკლესიებით</p>
<p>თევზაობა ნაკლებადაა გავრცელებული – ცოტა ადამიანი თევზაობს;</p>	<p>მოფენილია ... ხატებით</p>
<p>მხოლოდ ცოტათი განსხვავდება – ძალიან ცოტათი განსხვავდება;</p>	<p>თოვლითაა ... დაფარული</p>
<p>სოფლები ჭგუფ-ჭგუფად არის – სოფლები ცალ-ცალკე ჭგუფებად არის;</p>	<p>განსხვავებულია ... ჰავით</p>
<p>ორ ნაწილად იყოფა – ორი ნაწილისგან შედგება.</p>	<p>განსხვავებულია ... ბუნებით</p>
	<p>სავსეა ... ჭიხვებით</p>
	<p>იფარავს ... სიცხისგან</p>

III. ღვინის დასამზადებელი პროდუქტების, მცენარეებისა და კონსტრუქციების

3. დააკავშირეთ სიტყვა ფოტოსთან:

კობი არყი ჯიხვი ფიჭვი ხვნი თესვა



4. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

სიტყვა	განმარტება
1. საზოგადოება	სხვაგვარი;
2. განსხვავებული	საკუთარი
3. საერისთავო	მსხვერპლად, შესაწირად მიტანილი;
4. შეწირული	რამით გადაფარული, დამალული;
5. მთიელი	მთაში მცხოვრები;
6. დაფარული	ადამიანთა გაერთიანება, ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს;
7. თავიანთი	ერისთავის სამფლობელო;

5. ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები წინადადებებში:

საზოგადოება ხარობს საზრდო უნდა მოელოდეს მთიელები, თანახმანი არ იქნებიან მოფენილი საერისთავო შეწირული არ გასცილებია

1. სტუმართმოყვარე მასპინძელი ყოველდღე სტუმარს.
2. ხევსურები, ფშავლები და თუშები არიან.
3. ადამიანი თავად უნდა მოიპოვოს.
4. სამება მეცენატების მიერ თანხით ააშენეს.
5. კახეთში სხვადასხვა ჯიშის ვაზი
6. გაზაფხულზე მინდორი იებით არის
7. ზოგი თავისი სამშობლოს საზღვრებს
8. თუ თქვენები, ექსკურსიაზე ვერ წაგიყვან.
9. ჩვენი ხშირად არაა ტოლერანტული.
10. სვანეთი წინათ საქართველოს ერთ-ერთი იყო.

IV. ტექსტის კითხვის პროცესი**6. წაიკითხე ტექსტი****სვანეთი**

- I. სვანეთი საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა და იგი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. გარეგნობით სვანი ძალიან ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს: ფშავლებს, ხევსურებს, თუშებსა და სხვებს. სვანური ენა ქართველურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. ის ოჯახურ და არაოფიციალურ სოციალურ ურთიერთობაში გამოიყენება. სვანეთი წინათ საქართველოს ერთ-ერთი საერისთავო იყო და ქართველ მეფეს ემორჩილებოდა. თამარ მეფის დროს სვანეთი, რასაკვირველია, საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი კუთხე იყო. ეს დრო სვანებს კარგად ახსოვთ და თავიანთ ლექსებში ახლაც ადიდებენ თამარ მეფეს.
- II. სვანეთის აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიონის ქედი, სამხრეთ-აღმოსავლეთით რაჭაა, სამხრეთით – ლეჩხუმიც და სამეგრელო, დასავლეთით კი – აფხაზეთი. სვანეთი ოთხივე მხრიდან მაღალი მთებითაა შემოსაზღვრული. სვანეთში სამეგრელოდან მოხვდებით. ეს გზა სამეგრელოდან ენგურის ხეობას მიჰყვება და ამ მდინარეს ხან მარჯვენა ნაპირზე მისდევს, ხან – მარცხენაზე. აქ მოგზაურს ძალიან მოეწონება ბუნება.
- III. სვანეთი ორ ნაწილად იყოფა: ზემო და ქვემო სვანეთად. ზემო ნაწილს თავისუფალი სვანეთი ჰქვია, ქვემო ნაწილს – სადადიანო სვანეთი. ზემო სვანეთს ბატო-

ნი არასოდეს ჰყოლია, ქვემო სვანეთი კი წინათ სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა, რომლის მთავრებიც დადიანები იყვნენ და ამიტომაც ეწოდება „სადადიანო“. ზემო სვანეთი ენგურის ხეობაშია, ქვემო სვანეთი – ცხენისწყლის ხეობაში. ამ ნაწილებს შუა კავკასიონის ქედის ერთი ნაწილია.

IV. ზემო სვანეთი ცივი მხარეა, რადგანაც მაღალ მთებშია და აქ სულ თოვლითაა დაფარული მთის მწვერვალები. ზემო სვანეთში გრძელი ზამთარი და მოკლე ზაფხული იცის. მხოლოდ ზაფხულის თვეებში თბილა; დანარჩენ რვა-ცხრა თვეს სვანეთში სიცივეა. ნოემბერში, როცა მთელ საქართველოში მშვენიერი, თბილი ამინდებია, ზემო სვანეთში შუა ზამთარია. მაისში აქ ხშირად მოდის ხოლმე თოვლი. ამისთანა ცივ მხარეში, რასაკვირველია, ყველა მცენარე ვერ ხარობს. აქ ნაკლებადაა ხეხილი და ყურძენი. ტყეებში მარტო ფიჭვისა და არყის ხეები იზრდება. სხვა ჯიშის ხეები აქ ძალიან ცოტაა და ისიც წვრილი. სიმინდი არ ხარობს, პურსაც თითქმის არ თესავენ; უმთავრესი მოსავალი და საზრდო ზემო სვანეთისა არის ქერი და კარტოფილი. ჰავა აქ ძლიერ ცივი, მაგრამ ჯანსაღია. ქვემო სვანეთი ჰავით და ბუნებით განსხვავებულია ზემო სვანეთისგან. ქვემო სვანეთში ჰავა ზომიერია, ზამთარი გვიან დგება, გაზაფხული – ადრე; ზაფხული უფრო თბილია. ამიტომ აქ პური ყველგან მოჰყავთ. ვაშლი, მსხალი და კაკალი თითქმის ყველგან ხარობს. ვაზიც მოდის მზიან ადგილებში. მინდვრებში ხშირი და მაღალი ბალახია და შინაური საქონლის მოშენება ადვილია. ტყეებში ბევრია გარეული თაფლი. მთები სავსეა ჭიხვებითა და არჩვებით, მდინარეები – კალმახით.

V. სვანების უმთავრესი საქმე არის ხვნა-თესვა. ყველა ოჯახს საკუთარი მიწა აქვს. მიწას სვანი ვერ გაყიდის, თუ ახლო ნათესავები თანახმანი არ იქნებიან. თევზაობა ნაკლებადაა გავრცელებული, ნადირობა კი ძალიან უყვართ. სვანეთში სოფლები ჯგუფ-ჯგუფად არის და ყოველი ჯგუფი შეადგენს ერთ საზოგადოებას, რომელსაც თავისი სახელი ჰქვია. თითო საზოგადოებაში ექვსიდან ათამდე სოფელი ირიცხება. გარდა ამისა, სოფლები სვანეთში მეტად პატარებია: ზოგში სამი ოჯახის მეტი არ ცხოვრობს. რაც უნდა დიდი სოფელი იყოს, ოცდაათ ოჯახზე მეტი ძალიან იშვიათია.

VI. სვანურ სოფლებში ბევრი ძველი ეკლესიაა. ზოგ ეკლესიაში აქამდე შენახულა ძველ დროს შეწირული ვერცხლის სურები და თასები. ეკლესიებში აგრეთვე შემონახულია ძველი ქართული საეკლესიო წიგნები; ძვირფასი ხატებიც ბევრია აქაურ სალოცავებში.

VII. სვანები ორგვარ ქუდს ხმარობენ: ზამთარში იხურავენ მაღალსა და წვეტიან, თეთრ ან შავ ნაბდის ქუდს, ზაფხულში კი – მრგვალ ქუდს, რომელსაც ყველა სვანურ ქუდს ეძახის. სვანებს ძალიან უყვართ იარაღი. როგორც სხვა მთის ხალხს, ისე სვანებსაც თავიანთი კუთხე ძალიან უყვართ. სვანი იშვიათად მიატოვებს თავის მხარეს.

VIII. სვანეთში ყოველ სახლს წინ მაღალი კოშკი უდგას, სადაც მტრის თავდასხმის დროს ოჯახი შეეფარებოდა ხოლმე. სვანური კოშკი თავდაცვითი ნაგებობაა და 20-25 მეტრი სიმაღლისაა. შედგება ოთხი-ხუთი ან ექვსი სართულისაგან. კოშკის კედლები დაახლოებით ერთ-ნახევარი მეტრი სისქისაა. სიმაღლეში კოშკი ვიწროვდება და კედლები ერთ მეტრამდე მცირდება. სართულები ერთმანეთს გადასატანი ხის კიბეებით უკავშირდება. კოშკები ლოდებით არის აშენებული და ზოგჯერ საცხოვრებელ სახლთანაა დაკავშირებული, ზოგჯერ კი ცალკე დგას. უშგულის თემის სვანური კოშკები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სიაშია შეტანილი, რადგან ხალხური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია.

7. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და აღნიშნეთ სწორია თუ არა ინფორმაცია:

ინფორმაცია	სწორია	არასწორია
1. სვანურ ქუდს ნაბდისგან ამზადებენ.		
2. ზემო ნაწილს თავისუფალი სვანეთი ჰქვია, ქვემო ნაწილს – დადეშქელიანების სვანეთი.		
3. ზემო სვანეთში კარგად ხარობს ხეხილი და ყურძენი.		
4. სვანეთი წინათ საქართველოს ერთ-ერთი საერისთავო იყო.		
5. სვანეთის მდინარეებში თევზის სხვადასხვა სახეობა არის.		
6. სვანური ენა ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.		

8. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები და აღნიშნეთ, რომელ აბზაცშია მათ შე-სახებ ინფორმაცია:

- ა. სვანების საქმიანობა
- ბ. ჰავა სვანეთში
- გ. სვანების განძი
- დ. სვანური კოშკები
- ე. სვანეთის მეზობლები

- 3. სვანეთის მდებარეობა
- 6. სვანური სამოსი
- 11. ორი სვანეთი

9. გაიხსენეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის ზემო სვანეთის უმთავრესი მოსავალი?
2. რა არის შეტანილი იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში?
3. რისგანაა აშენებული კოშკები?
4. ყველაზე ძალიან რა უყვართ სვანებს?
5. როგორია სვანური ქუდი?
6. როგორი ჰავაა ქვემო სვანეთში?
7. რომელი ხეები იზრდება ზემო სვანეთში?
8. რამდენი სოფელი ირიცხება თითო საზოგადოებაში?
9. ვის ჰგვანან გარეგნობით სვანები?
10. საქართველოს რომელი კუთხეები ესაზღვრება სვანეთს?

V. გავააზროვნოთ ორიენტირებული აქტივობები

10. შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა/ფრაზა	განმარტება	წინადადება ტექსტთან	ჩაწილ წინადადება
1. საერისთავო			
2. თანახმანი არ იქნებიან			
3. საზოგადოება			
4. საზრდო			
5. შეწირული			
6. არ გასცილებია			
7. მთიელები			
8. ხოლმე			
9. ჯგუფ-ჯგუფად			
10. რასაკვირველია			
11. თითქმის			

11. შეადგინეთ ფრაზები და ხაზებზე გადაწერეთ:

<p>განსხვავებულია</p> <p>იფარავს</p> <p>თოვლითაა</p> <p>თავდაცვის</p> <p>სავსეა</p>	<p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p>	<p>დრო</p> <p>დაფარული</p> <p>ჰაერით</p> <p>ჭიხვებით</p> <p>სიცხისგან</p>
---	--	---

VI. პრაგმატიკულ საკითხაზე ორიენტირებული აქტივობები

12. დააკვირდით ცხრილს და ჩასვით ზმნები წინადადებებში სწორად:

აწყობ	უწყვეთელი	წყვეთილი	აყოფალი	ითურააობითი
ახსოვს	ახსოვდა	დაამახსოვრდა	დაამახსოვრდება	დამახსოვრებია
უყვარს	უყვარდა	შეუყვარდა	შეუყვარდება	შეყვარებია
ჰყავს	ჰყავდა	ეყოლა	ეყოლება	ჰყოლია
ჰგავს	ჰგავდა	დაემსგავსა	დაემსგავსება	დამსგავსებია
მოსწონს	მოსწონდა	მოეწონა	მოეწონება	მოსწონებია
მიჰყავს	მიჰყავდა	წაიყვანა	წაიყვანს	წაუყვანია

1. ნოდარს მანქანა არასოდეს
2. დედამ გუშინ ბავშვები ცირკში
3. ნინო დედას თურმე ძალიან
4. შარშან ანას ტყუპები
5. გუშინ რაც ისწავლა, კარგად
6. ადრე ჩემს დას ხალხური სიმღერები.
7. იას რომელი საქმელი ?
8. ნანა მამას ძალიან
9. ნონას აღარ შენი ტელეფონის ნომერი.
10. ჩემი დისშვილი ყოველ დღე ბაღში დედაჩემს

13. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ცხრილში მოცემული ზმნები, დაუკვირდით პირის ფორმებს და ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები წარმოადგინეთ სწორი ბრუნვისა და რიცხვის ფორმით:

1. (გოგი. ჩვენი მისამართი) თურმე კარგად არ დამახსოვრებია.
2. (მშობლები. ნიკო) სკოლაში მიჰყავთ.
3. (ნოდარი. ძილი) ძალიან უყვარდა.
4. (ნათია. დედა) ჰგავს.
5. (თიკო. ნამცხვარი) ძალიან მოეწონება.
6. (ნინო. ნაყინი) არ უყვარს.
7. ამ (ბიჭი. ამირანი) ჰქვია.
8. გუშინ (ჩემი და. კონცერტი) მოეწონა.
9. (ნანა. მამა) არასოდეს ჰყოლია.
10. ხვალ სკოლაში (ბავშვები. მშობლები) მიჰყავთ.

14. დააკვირდით ცხრილს და დაიმახსოვრეთ

ღრო	აჲილი	შიზაი	ჴაჲი
როცა	სადაც	რადგან	ამიტომ
		რადგანაც	ამიტომაც

15. ჩასვი მოცემული კავშირები წინადადებაში: როცა, რომლის, ამიტომაც, რადგან, როგორც, სადაც, რომელიც

წიმუში: სტუმრები მყავდა, ამიტომ ველარ დაგირეკე

1. გარეთ გავედი, იქ არავინ იყო.
2. ეს ის კაცია, შარშან გავიცანით.
3. მეგრელები, ისე სვანები, ქართულ ენას რამდენიმე თვეში სწავლობენ.
4. მანქანა გამიფუჭდა, ფეხით დავდივარ სამსახურში.
5. გიორგის იქ უნდა წასვლა, შარშან ბეჲა წავიდა.
6. ქვემო სვანეთი კი წინათ სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა, მთავრები დადიანები იყვნენ.
7. ხვალ გარეთ ვერ გავალთ, ცუდი ამინდი იქნება.
8. მოხვალ, დამირეკე.
9. ხევსურეთი ცივი მხარეა, მაღალ მთებშია.
10. წახვალ, მეც იქ წამოვალ.

16. შეაერთეთ გახლეჩილი წინადადებები:

- | | |
|--|---------------------------------------|
| 1. შარშან არ თოვდა, | ა. ამიტომაც ყველა მცენარე ვერ ხარობს. |
| 2. როგორც ბერძნები, | ბ. რომლის შესახებაც გუშინ გითხარით. |
| 3. ჩვენი სოფელი იქაა, | გ. ისე მოიქეცი. |
| 4. როცა გამელვიდა, | დ. ზემო სვანეთში შუა ზამთარია. |
| 5. ხვალ იქ წავალ, | ე. ამიტომაც თბილი ზამთარი იყო. |
| 6. როცა მთაში წავედით, | ვ. სადაც საქართველოს საზღვარია. |
| 7. სვანეთში ძალიან ცივა, | ზ. ისე ქართველები, ძველი ხალხია. |
| 8. როცა მთელ საქართველოში თბილი ამინდებია, | თ. ძალიან წვიმდა. |
| 9. დღეს ის მოსწავლე მოვიდა, | ი. შენ უკვე სახლში არ იყავი. |
| 10. როგორც გინდა, | კ. სადაც ლამაზი ბალია. |

1. , 2. , 3. , 4. , 5. , 6. , 7. , 8. , 9. , 10.

17. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

თითქმის ხოლმე ამიტომ მხოლოდ ახლო-ახლო ჯგუფ-ჯგუფად რადგან მრავალგვარი რასაკვირველია თავიანთი

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები**18. შემოხაზეთ, სვანების რა თვისება ჩანს მოცემულ მონაკვეთში:**

მახვშის სკამი საუფროსო სავარძელს ნიშნავს, რომელშიც სვანეთში ოჯახის უფროსი, ქორა მახვში ჯდებოდა. ძველ დროში მას ძირითადად წინვოვანი ხისგან ამზა-

B1 საინფორმაციო ტექსტი

ტექსტები შერჩეულია „კითხვის კიბის“ მასალაზედან:


<http://www.reading.ge/ka/books-by-level/311-ratcha>

მათილური დათმავების ავტორი: **მანა გელაშვილი**


რატა

I. აქტივობები თემის განხილვისთვის

1. სურათების მიხედვით გამოთქვით ვარაუდი, რის შესახებ იქნება ტექსტი?



2. დააკვირდით მოცემულ რუკას და მონიშნეთ სად მდებარეობს რატა?



- ა. საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის აღმოსავლეთით.
 - ბ. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იმერეთის ჩრდილოეთით.
 - გ. საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, იმერეთის სამხრეთით.
 - დ. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, იმერეთის დასავლეთით.
3. ისაუბრეთ: თქვენი აზრით, როგორი მხარეა რატა, მთაგორიანი თუ დაბლობი, ვაკე? რატომ?

II. დეჟნიკაჟე, ფრაზეჟე, კონსტრუქციჟესა და ზმნეჟე დაკვირჟე

დააკვირდით ცხრილში მოცემულ სიტყვებს, ფრაზებს, ზმნებსა და კონსტრუქციებს, ეს დაგეხმარებათ ტექსტის გააზრებაში.

ახალი სიტყვაჟი	ზმნეჟე
ქედი – ერთიმეორესთან დაკავშირებული მთების სისტემა.	დარქმეჟე, არქმეჟეს ის მას, დარქმეჟია მას ის – (მხარეს რატა)
ჭია – გრძელი, უძვლო, მცირე ზომის ცხოველი.	დასახლება, სახლდება ის, დასახლებულა ის – (ადამიანი)
ხეობა – მთებსა და ქედებს შორის ვრცელი ტერიტორია, ძირითადად რომელიმე დიდი მდინარის ნაპირებზე.	ასვლა, ადის ის, ასულა ის – (მონადირე)
მენყერი – მიწის გარკვეული ნაწილის დაძვრა ან ჩამოშლა მთიდან.	გადახედჟე, იხედება ის, გადაუხედავს მას – (მონადირეს)
ნისქვილი – მარცვლეულის დასაფქვაჟი მოწყობილობა.	განცვიფრება, განცვიფრებულა ის – (ადამიანი)
დურგალი – ხელოსანი, რომელიც ხის მასალაზე მუშაობს.	მიმსგავსება, ამსგავსებს ის მას მას, მიუმსგავსებია მას ის – (მონადირეს ხეობა)
ზვრები – დიდი ვენახი.	წამოძახება, იძახის ის, წამოუძახია მას – (მონადირეს)
ჭირნახული – მოსავალი.	ყოფნა, არის ის, ყოფილა ის – (ჭია)
ჩუქურთმები – ხეში ან ქვაში გამოკვეთილი გეომეტრიული ფიგურები, ცხოველთა ან მცენარეთა გამოსახულებები, რომლებითაც აფორმებენ სხვადასხვა საგანს ან არქიტექტურულ ძეგლს.	აგება, აგებს ის მას, აუგიათ მათ ის – (რაჭველებს ტადარი)
მოხატულობა – კედელზე, ქერზე ან რაიმე საგანზე შესრულებული ნახატი.	მენისქვილეობა, მენისქვილეობს ის, მენისქვილეობდნენ ისინი – (რაჭველები)
	დურგლობა, დურგლობს ის, დურგლობდნენ ისინი – (რაჭველები)
	მებალეობა, მებალეობს ის, მებალეობდნენ ისინი – (რაჭველები)

ახალი სიტყვები	ჯგერა
<p>სახელგანთქმული – საქვეყნოდ ცნობილი, დიდი სახელის მქონე.</p> <p>ნაყოფიერი – მოსავლიანი, მოსავლის მომცემი.</p> <p>ფიცრული (ფიცარი > ფიცრული) – ხისგან გაკეთებული.</p> <p>დინჯი – მშვიდი, წყნარი, აუჩქარებელი.</p> <p>მუყაითი – მშრომელი.</p> <p>გამრჯე – შრომისმოყვარე.</p> <p>მხარბეჭიანი – ფართო, განიერი მხრების მქონე.</p> <p>გულუბრყვილო – ადამიანი, რომელიც ყველაფერს ადვილად იჯერებს.</p> <p>ალალ-მართალი – უდანაშაულო, მართალი, პატიოსანი.</p>	<p>თხრობა, მოგვითხრობს ის ჩვენ მას – (ბებია ჩვენ ისტორიას)</p> <p>დამონმება, ემონმება ის მას, დაგემონმებათ ის თქვენ – (ადამიანი თქვენ)</p> <p>შემოსაზღვრა, საზღვრავს ის მას, შემოსაზღვრულია ის – (ვენახი)</p> <p>წოდება, უწოდებს ის მას მას – (მეგობარი გიორგის დინჯს)</p> <p>შეგროვება, აგროვებს ის მას – (ბავშვები სოკოს)</p> <p>მოვლა, უვლის ის მას – (მებაღე ბოსტანს)</p> <p>ყოფნა, ჰყოფნის მას ის – (მასწავლებელს ხელფასი)</p> <p>მიჩვევა, აჩვევს ის მას მას, მიაჩვია მან ის მას – (მასწავლებელმა მოსწავლე დამოუკიდებლობას)</p>

ფრაზები	კონსტრუქციები
<p>საქვეყნოდაა ცნობილი</p> <p>სახელი ჰქონდათ განთქმული</p> <p>ჯანსაღი აგებულებით</p> <p>კარგი მოსავალი იცის</p> <p>ირჩენენ თავს</p> <p>მათ არ ახასიათებთ</p> <p>დღემდე მოაღწია</p> <p>დაგემონმებათ ამ ამბავზე</p>	<p>..... უფრო, ვიდრე</p> <p>მაღალ ადგილებზე</p> <p>დაბლობ ადგილებში</p> <p>აპრილში, როდესაც</p> <p>....., რომელიც შუშხუნაა</p> <p>....., რომელსაც აგროვებენ</p> <p>....., რომელმაც მოაღწია</p> <p>იცის ასე</p>

III. ღვაღაბი ღაქსიკაზე, ფრაზებსა ღა კონსტრუქციებზე

4. მოძებნეთ ცხრილში განმარტება და მიუწერეთ სურათს შესაბამისი სიტყვა:

ჭა ქია ხეობა დურგალი ქედი წისქვილი ქირნახული
ზვრები ჩუქურთმები მოხატულობა



ა.



ბ.



გ.



დ.



ე.



ვ.



ზ.



თ.



ი.



კ.

5. დააკავშირეთ სინონიმური ფრაზები:

- | | |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> 1. საქვეყნოდაა ცნობილი 2. დღემდე მოაღწია 3. ჭანსალი აგებულებით 4. ცივი ზამთარი იცის 5. კარგი მოსავალი იცის 6. დღიურად მუშობდნენ 7. ირჩენენ თავს 8. მათ არ ახასიათებთ 9. დაგემონებათ ამ ამბავზე 10. სახელი ჰქონდათ განთქმული | <ul style="list-style-type: none"> ა. ჭანმრთელი, ძლიერი სხეულის მქონე ბ. ზამთრში ცივა გ. ყველამ იცის, ყველა იცნობს დ. იკვებებიან ე. ახლაც, დღესაც არის ვ. მათ არ აქვთ ასეთი ხასიათი ზ. დაგეთანხმებათ ამ ამბავზე თ. კარგი მოსავალი მოდის ი. რამდენ დღესაც იმუშავებდნენ, იმის მიხედვით იღებდნენ ხელფასს კ. მათ ყველა იცნობდა |
|--|--|

6. მოცემული სიტყვები ჩასვით წინადადებაში:

სახელგანთქმული ნაყოფიერი შუშხუნა ფიცრული დინჯი
გამრჯე მხარბეჭიანი გულუბრყვილო ალალ-მართალი ჯანსალი

1. დასავლეთ საქართველოში ბევრია ხისგან აშენებული სახლები.
2. ნიკო ფიროსმანი ქართველი მხატვარია.
3. ახალი თანამშრომელი მშვიდად და წყნარად საუბრობს, ის ახალგაზრდაა.
4. ძალოსნები ბიჭები არიან.
5. ჩემი მეგობარი ადამიანი იყო, მას ყველაფერი სჯეროდა.
6. კახეთში ვენახები აქვთ.
7. ჩვენს სოფელში შრომისმოყვარე და ხალხი ცხოვრობს.
8. კაცის სიტყვა ყველას მოსწონს.
9. კვება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.
10. შამპანური გემრიელი და ღვინოა.

7. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას წინადადებაში:

1. მასწავლებელი საინტერესოდ მოგვითხრობს საქართველოს **ისტორია/ისტორიას**.
2. მრავალსულიანი **ოჯახი/ოჯახს** არ ჰყოფნის სოციალური დახმარება.
3. **ბავშვები/ბავშვებს** აგროვებენ ზღვაზე ფერად-ფერად ქვებს.
4. ექთანი **ავადმყოფი/ავადმყოფს** ყურადღებით უვლის.
5. ბიჭმა არ იცის მანქანის **მართვა/მართვას**.
6. სკოლის **ეზო/ეზოს** შემოსაზღვრულია ხის ღობით.
7. ზღვის **ჰავა/ჰავას** განსხვავდება მთის ჰავისგან.
8. სპორტმა მიაჩვია ლევანი ხშირად **ვარჯიში/ვარჯიშს**.
9. მოსახლეობა **ეკლესია/ეკლესიას** წმინდა ადგილს უწოდებს.
10. გოგონებმა **ცურვა/ცურვას** არ იციან, ამიტომ ზღვაში ვერ ბანაობენ.

IV. ბაქსის კითხვის პროცესი

8. წაიკითხეთ ტექსტი:

რაჭა

- I. რაჭა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ის იმერეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება. რაჭაში რომ გადახვიდე, ნაქერალას **ქედი** უნდა გადაიარო. აი, როგორ **დარქმევია** ამ მხარეს სახელი: როგორც მოგვითხრობს ჩვენი პირველი გეოგრაფი ვახუშტი, ერთი ქართველი მონადირე, რომელიც პირველად **დასახლებულა** აქ, **ასულა თურმე** იმერეთიდან ნაქერალაზე და რომ **გადაუხედავს** იქით, **განცვიფრებულა** ამ ღრმა და ვიწრო რიონის **ხეობით**, **მიუმსგავსებია** იგი ქიისათვის და **წამოუძახია**: „ეს რა **ჭია ყოფილა!**“ ხალხს რომ ჰკითხოთ, ყველა დაგემონმებათ ამ ამბავზე. ამის შემდეგ ამ მხარეს რაჭა დარქმევია...



- II. ოთხივე მხრიდან რაჭა **შემოსაზღვრულია** მაღალი მთებით; ჩრდილოეთით კავკასიონის ქედია, აღმოსავლეთით – ლიხის მთა, სამხრეთით – ნაქერალას მთა, დასავლეთით – სვანეთის მთები. მთების სიახლოვისა და მაღალი მდებარეობის გამო რაჭაში ძალიან **ცივი ზამთარი იცის**. ხშირად აპრილში, როდესაც ქვემო იმერეთში **ხეხილი** აყვავებულია, რაჭაში თოვლი მოდის. სამაგიეროდ, აქ არ იცის ქარიშხალი, რომელიც იმერეთში ხშირია და ჰაერიც აქ ბევრად **უფრო** სუფთა და ჯანსაღია, **ვიდრე** იქ. ამ გრილი ჰავისა და აგრეთვე სამკურნალო წყლების გამო ზაფხულში ბევრი ხალხი ამოდის ზემო და ქვემო



იმერეთიდან. ამ წყლებს მჟავე წყალს უწოდებენ. განსაკუთრებით **სახელგანთქმულია** წყალი უწერაში, რომელიც ონიდან 15 კილომეტრშია. უწერაში გამოდის რკინის წყალი, რომელსაც აგროვებენ და შიგ ბანაობენ. იქვე გამოდის მჟავე წყალი, რომელიც ძალიან **შუშხუნაა**. სხვათა შორის, ძალიან კარგია კუჭისათვის.

III. რაჭაში ხშირად იცის მენყერი. ნიადაგი ნაყოფიერია. გლეხები კარგად უვლიან ყანებსა და ვენახებს. პური და ღვინო უფრო კარგი ქვემო რაჭაში იცის. საქვეყნოდაა ცნობილი ღვინო ხვანჭკარა. რადგანაც მაღალ ადგილებზე ყურ-



ქენი არ მოდის, ამიტომ **ზვრები** გაშენებულია დაბლობ ადგილებში, რიონის პირას. **კარგი მოსავალი იცის** რაჭაში, მაგრამ აქაური გლეხების დიდ ნაწილს ისე ცოტა მიწა აქვს, რომ მოსავალი ნახევარ წელს ძლივს ჰყოფნით, ძირითადად ნაყიდი **ჭირნახულით ირჩენენ თავს**. ამ გაჭირვებამ **მიაჩვია** რაჭველები სხვა ქვეყნებში სიარულს და იქ მუშაობას. წინა საუკუნეში ქართლში, კახეთსა და იმერეთში რაჭველები **დღიურად მუშაობდნენ** – ზოგი **მენისქვილეობდა**, ზოგი **დურგლობდა** და **მებალეობდა**. განსაკუთრებით **სახელი ჰქონდათ განთქმული** რაჭველ **ხუროებსა** და **დურგლებს**. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც დგას რაჭველების მიერ აშენებული **ფიცრული** სახლები.

IV. რაჭაში მაცხოვრებლების რიცხვი 20 000-მდე **აღწევს**. რაჭაში ძალიან მშრომელი და **მუყაითი** ხალხი ცხოვრობს. აქ მარტო მამაკაცები არ მუშაობენ, ქალებიც მონაწილეობდნენ ყველა საქმეში. საქართველოს ამ კუთხეში განსაკუთრებულად **გამრჯე** ხალხი ცხოვრობს. რაჭველები ზომიერი ტანის, **მხარბეჭიანი** და ძლიერები არიან. მათი ტანსაცმელი დიდად არ **განსხვავდება** იმერლების **ტანისამოსისაგან**.

ქალების ტანისამოსი კი უფრო სხვანაირი იყო, განსაკუთრებით – ზემო რაჭაში, ქალამნებითა და ნაბდებით გამოდიოდნენ და ყელზე სხვადასხვანაირ შუშის სამკაულებს იკეთებდნენ. ახლა კი რაჭველი ქალები ლამაზ, თანამედროვე ტანისამოსს იცვამენ. რაჭველები **დინჯი**, **გულუბრყვილო** და **ალალ-მართალი** ხალხია. ქართველების გარდა, რაჭაში სხვებიც ცხოვრობენ. ონში საკმაოდ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა წინათ. მათ შესანიშნავი სინაგოგა ააშენეს, რომელმაც დღემდე **მოაღწია** და ულამაზესი სანახავია...





V. რაჭაში ორი ქალაქია – ონი და ამბროლაური. ცნობილი სოფლებია: უნერა, სადაც მიწიდან მჟავე წყალი ამოდის, ზნაკვა – შესანიშნავი რკინის წყლით, ღვინით განთქმული ხვანჭკარა, ნიკორწმინდა, ტოლა და სხვა. რაჭასაც აქვს თავისი შესანიშნავი მონასტერი – ნიკორწმინდა, ის **აუგიათ** წმინდა ნიკოლოზის სახელობაზე მეთერთმეტე საუკუნეში. ამ მონასტერში ძველ დროს იჭდა მთელი რაჭის ეპისკოპოსი... ამბობენ, რომ ნიკორწმინდის ტაძრის **ჩუქურთმები** ბევრად სჯობს საქართველოს სხვა ეკლესიების **მოხატულობას**.



9. მიუწერეთ აბზაცებს სათაურები:

რაჭველები რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნება რაჭის ისტორია
 რაჭა და მისი ღირსშესანიშნაობები რაჭველების საქმიანობა

აბზაცი	სათაური
I	
II	
III	
IV	რაჭველები
V	

10. დააწყვილეთ სიტყვები:

ნიმუში: რაჭის ეპისკოპოსი

- | | |
|--------------------|---------------|
| 1. ნაქერალას | ა. მონადირე |
| 2. გეოგრაფი | ბ. ქედი |
| 3. ქართველი | გ. იმერეთი |
| 4. სვანეთის | დ. ვახუშტი |
| 5. ქვემო | ე. სამკაულები |
| 6. რკინის | ვ. მოხატულობა |
| 7. კარგი | ზ. მთები |
| 8. ეკლესიის | თ. მოსავალი |
| 9. ტაძრის | ი. ჩუქურთმები |
| 10. შუშის | კ. წყალი |

V. გაგააზრა ორიენტირებული აქტივობები

11. მონიშნეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია სწორია (+) / არასწორია (-):

ინფორმაცია	+	-
ა. რაჭაში მიედინება მდინარე რიონი.		
ბ. რაჭაში რომ მიხვიდე, იმერეთი უნდა გაიარო.		
გ. რაჭაში ქარიშხალი ხშირად არის.		
დ. სოფელ უწერაში სამკურნალო წყლებია.		

ა. რაჭაში ხშირად არის მენყერი, ამიტომ მოსავალი არ მოდის.		
ბ. რაჭველები უცხოეთში პროდუქტის საყიდლად დადიან.		
გ. რაჭველებმა სახელი დურგლობით და ხურობით გაითქვეს.		
დ. ტაძარი ნიკორწმინდა წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა.		
ე. ხვანჭკარა მხოლოდ სოფელია რაჭაში.		
ვ. ნიკორწმინდის ტაძრის ჩუქურთმები საუკეთესოა საქართველოში.		

12. უპასუხეთ შეკითხვებს ტექსტის მიხედვით:

1. სად მდებარეობს რაჭა?

.....

2. ვინ დასახლებულა პირველად რაჭაში?

.....

3. რატომ არის რაჭაში ცივი ზამთარი?

.....

4. როგორი წყლებით არის ცნობილი რაჭა?

.....

5. რომელი ბუნებრივი მოვლენაა ხშირად რაჭაში?

.....

6. როგორი ნიადაგია რაჭაში?

.....

7. რა პროფესიის იყვნენ რაჭველები ძირითადად?

.....

8. როგორ სახლებს აშენებდნენ რაჭველები?

.....

9. გარდა ქართველებისა, რომელი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა რაჭაში?

.....

10. რომელი უნიკალური ტაძარი მდებარეობს რაჭაში?

.....

VI. გრაფიკულ საკითხავა ორიენტირებული აქტივობები

13. დააკვირდით ცხრილს და ჩასვით თანდებულები წინადადებებში:

თანდაბული	ღანიშნულება	ავალითი თანდაბული
-ში	ადგილის / ადგილმდებარეობის აღნიშვნა	ზვრები გაშენებულია დაბლობ ადგილებში
-ზე	ადგილის / ადგილმდებარეობის აღნიშვნა	მაღალ ადგილებზე ღვინო არ მოდის
-თვის	დანიშნულების გამოხატვა	მუავე წყალი ძალიან კარგია კუჭისათვის
-გან	გამოსვლითობის გამოხატვა	არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსისაგან
-იდან	გამოსვლითობის (ადგილი) გამოხატვა	რაჭა იმერეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება
-მდე	მიღწევითობის (დრო) გამოხატვა	შესანიშნავი სინაგოგა ააშენეს, რომელმაც დღემდე მოაღწია
გარდა	ობიექტის გამორიცხვა	ქართველების გარდა , რაჭაში სხვებიც ცხოვრობენ
გამო	მიზეზის გამოხატვა	სამკურნალო წყლების გამო საზაფხულოდ ბევრი ხალხი ამოდის

1. ალპინისტები ყოველთვის ცდილობენ მაღალ მწვერვალზე..... ასვლას.
2. საქართველოში ტურისტები ხშირად ჩამოდიან უცხოეთ..... .
3. პანდემიის ქვეყანას ეკონომიკური პრობლემები შეექმნა.
4. მოსახლეობა ცდილობს მთი..... დაბლობ..... ჩამოსახლდეს.
5. ჭავახეთში თოვლი აპრილა..... არ დნება.
6. ოქროს..... ძვირფას სამკაულებს ამზადებენ.
7. სოფელში მოწყობილია სპორტული დარბაზი ახალგაზრდების..... .
8. სვანეთი , ყველა კუთხის პროდუქცია იყო წარმოდგენილი ფესტივალზე.

- 9. კომპანიის..... საინტერესო შემოთავაზება მივიღე.
- 10. მომავალ წლა..... პროექტი ვერ განხორციელდება.

ყურადღებით წაიკითხეთ:

თურმე – ნაწილაკი, წარსული დროის ზმნას დაერთვის და გვარგენებს უნახავ მოქმედებას, ამ მოქმედების შედეგი რეალობაა, რაც სხვისგან გაგონილი ან შედეგის მიხედვით გაკეთებული დასკვნაა.

14. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

სახელწმინდა	აწყო	ითურაჟოჟითი
მიმსგავსება	ამსგავსებს	მიუმსგავსებია
გადახედვა		გადაუხედავს
წამოძახება	იძახის	
დარქმევა		დარქმევია
აგება	აგებს	
ყოფნა		ყოფილა
მიღწევა	აღწევს	
დასახლებული	სახლდება	დასახლებულა
ასული	ადის	
განცვიფრებული	

15. ჩასვით შესაბამისი ზმნა წინადადებაში:

მიუმსგავსებიათ გადაუხედავს წამოუძახია დარქმევია აუგიათ ყოფილა მიულწევია დასახლებულა ასულან განცვიფრებულა

1. საქართველოს დედაქალაქს სახელი თბილი წყლების გამო
2. უცხოელი სტუმარი ქართული კერძების სიმრავლით.
3. მწყემსობის შემდეგ ყაზბეგი თბილისში
4. 1846 წელს ამერიკაში პირველი ცათამბჯენი.
5. თამარ მეფის დროს საქართველოს განვითარების მწვერვალისთვის.
6. ტურისტები მთაწმინდაზე და იქიდან გადაუხედავთ თბილისისთვის.

- 7. საჩუქრით გახარებულ ბიჭს : „ვაშა!“
- 8. მამას ამაყად თავისი ვენახისთვის.
- 9. წვიმის შემდეგ ზღვაზე ბევრჯერ შტორმი.
- 10. ახალდაბადებული ბავშვი ხშირად მშობლებისთვის.

16. შეადგინეთ წინადადებები:

- 1. მჟავე წყალი
- 2. შუშხუნა ღვინო
- 3. ნაყოფიერი მიწა
- 4. ფხვიერი ნამცხვარი
- 5. გამრჯე ადამიანი
- 6. დინჯი ბავშვი
- 7. შესანიშნავი ქალაქი
- 8. სახელგანთქმული მწერალი
- 9. თანამედროვე ტანისამოსი
- 10. ულამაზესი ხედი

17. აწარმოეთ სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ცხვარი – მეცხვარე – მეცხვარეობა – მეცხვარეობდა
 დურგალი – დურგლობა – დურგლობდა

არსებითი სახელი	ხელობის/პროფესიის აღიანი	ხელობა/პროფესია	ზმნა
წისქვილი			
ბაღი			
ვენახი			
თევზი			
საქონელი			
.....	ოქრომჭედელი		
.....	მზარეული		
.....	პოლიციელი		
.....	ექიმი		
.....	ადვოკატი		

18. ნაიკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმები:

1. კახელები უძველესი დროიდან *მევენახეობა / მევენახეობენ*.
2. *ექიმი / ექიმობა* ადვილი არ არის.
3. ოპიზრები სახელგანთქმული *ოქრომჭედლები / ოქრომჭედლობა* იყვნენ.
4. ახალგაზრდები ხშირად ირჩევენ *პოლიციას / პოლიციელობას*.
5. მთაში მოსახლეობა ძირითადად *მესაქონლეს / მესაქონლეობას* მისდევს.
6. მეზობლებს სახლის გარშემო მშენიერი *მებაღეობა / ბაღი* გაუშენებიათ.
7. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გიორგიმ *ადვოკატობს / ადვოკატობა* აირჩია.
8. *მზარეული / მზარეულობა* შემოსავლიანი პროფესიაა.
9. *მენისქვილე / მენისქვილეობა* თანდათან არაპოპულარული ხდება.
10. ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებში მამაკაცები *მეთევზეობით / მეთევზით* ირჩევენ თავს.

ღივიანსოვრათ!

წევრ-კავშირი „რომელიც“ ბრუნვაში შეენყობა დამოკიდებული წინადადების ზმნას.

1. სახელგანთქმულია წყალი უწერაში, **რომელიც** ონიდან 15 კილომეტრით არის დაშორებული.
2. შესანიშნავი სინაგოგა ააშენეს, **რომელმაც** დღემდე მოაღწია.
3. უწერაში გამოდის რკინის წყალი, **რომელსაც** აგროვებენ.

19. ჩასვით კავშირი „რომელიც“ შესაფერისი ბრუნვის ფორმით:

1. ჯვრის მონასტერი უძველესი ტაძარია, ჩვენამდე მოაღწია.
2. მეგობარი, დიდ პატივს ვცემ, საზღვარგარეთ წავიდა.
3. ტყე, ქალაქში იყო, გაჩეხეს და კორპუსები ააშენეს.
4. მამამ, სამსახურიდან დაბრუნდა, პატარა ხელში აიყვანა და მოეფერა.
5. წყალი, მთელი სოფელი სვამდა, მოწამლული აღმოჩნდა.

20. ჩასვით ტექსტში მოცემული კავშირები:

როდესაც რომელიც როგორც სადაც რომ და მაგრამ

იმერეთი ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, (1) დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს, (2) ამ მხარეში ადამიანს

ცხოვრება უძველეს დროში დაუწყია. მეთვრამეტე საუკუნეში, (3) იმერეთში სოლომონ I მეფობდა, მოსახლეობა დაახლოებით 113 000 იყო. იმერეთი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. აქ, მაღალ მთაში, ზამთარში ცივა, (4) ზაფხულში ტემპერატურა +38-40 გრადუსია. იმერეთის მხარეში, (5) რაჭაში, ულამაზესი ბუნებაა. ყველაზე დიდი ქალაქია ქუთაისი, (6) მდებარეობს სათაფლიის მღვიმე, გელათისა (7) ბაგრატიის ტაძრები.

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები

21. დაახასიათეთ რაჭველები, ამონერეთ შესაბამისი სიტყვები ტექსტიდან:

გარეგნობა	ხასიათი, თვისება	რაცხუნობა

22. შეადარეთ რაჭველები თქვენი კუთხის მაცხოვრებლებს და ისაუბრეთ მათ შესახებ. საუბრისას გამოიყენეთ:

- ისევე, როგორც...*
- მსგავსად რაჭველებისა...*
- უფრო, ვიდრე...*
- ისეთი, როგორიც...*

B1 საიწორმასიო ტაქსტი - ისტორიული ღირუესანიუანაოზაბი

ტაქსტაბი უარჩაუღია „კითხვის კიბის“ მასაღაბიღან

ტაქსტის ავტორი: ეღენე ჯაჯანიქა

მათოღური ღაუუაჯაბის ავტორი: ნანა არაბული

პეტრა

I. აუტივოზაბი თაღის გახსნისტვის

1. ა) თქვენი აზრით, მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრებიღან რომელია ფოტოზე ნარმოღგენიღი?



1. ჩიჩენ-იცა
 2. ქრისტეს ქანდაკება
 3. კოლოსუმი/კოლისუმი
 4. ჩინეთის დიდი კედელი
 5. მარუ-პიქჩუ
 6. პეტრა
 7. ტაჯ-მაჰალი
- ბ. რომელ ქართულ ისტორიულ ძეგლს გახსენებთ პირველ დავალებაში მოცემული ფოტო და რით?



ვარძია



უფლისციხე



რაბათი



სვანური კოშკები

2. დაუკავშირეთ ერთმანეთს:

სიტყვა/ფრაზა	განმარტება
1. კლდეში გამოკვეთილი	ა. ეკლესია
2. საოცარი	ბ. კლდეში გამოჭრილი
3. უზარმაზარი	გ. შეგროვება, რაღაცის ერთ ადგილას შეკრება
4. ტაძარი	დ. ძალიან დიდი
5. დაგროვება	ე. ძლიერი
6. განლაგება	ვ. აღმაფრთოვანებელი, ძალიან კარგი
7. ძლევამოსილი	ზ. თითოეული დეტალისთვის ადგილის მიჩენა
8. დაარსება	თ. არსებობის დაწყება

3. ა) ფოტოს მიუხედავად დასახელება:



1.



2.



3.



4.

- ა. სახელმწიფო სიმბოლოები
- ბ. მავზოლეუმი

- ბ. ტრიუმფალური თალი
- დ. კოლონალები

ბ. სახელმწიფო სიმბოლოების გარდა კიდევ რა სიმბოლოები იცით?

II. ლექსიკაზე, ფრაზაზე, კონსტრუქციებსა და ზმნაზე დაკვირვება

4. დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

სიყვავი	ზმნა
<p>არსებითი სახელები, საწყისები (ვინ?/რა?)</p> <p>განლაგება (განლაგებით) – თითოეული დეტალისთვის ადგილის მიჩენა.</p>	<p>მდებარეობს (ის) – არის.</p> <p>გააჩნდათ (ის მათ) – ჰქონდათ.</p> <p>ნიშნავს (ის მას) – (კლდეს ნიშნავს) – აღნიშნავს, მისი მნიშვნელობაა.</p> <p>გაძლიერდა (ის) – უფრო ძლიერი გახდა.</p>

სიტყვა	ზმნა
<p>ნალექი – წვიმა ან თოვლი. დაარსება(დაარსების) – ორგანიზაციის, ქალაქის, საზოგადოების შექმნა. უპირატესობა – რაღაცით უკეთესობა, მეტობა. მფლობელობა (მფლობელობაში) – განკარგვა, საკუთრება. გავლენა – კვალის დატოვება, რომელიც ცვლის მეორე მხარეს დამოკიდებულებას ან მოსაზრებას. ღირსშესანიშნაობა – განსაკუთრებული მნიშვნელობის, ღირებულების რაღაც. (რომაული) კოლონადები – სვეტების ხეივანი. ნაწარმოები – მოთხრობა, ლექსი და ა.შ. მავზოლეუმი – დიდი სამარხი შენობა. ვასალი – სხვაზე დამოკიდებული. (ქრისტიანული) სიმბოლოები – ნიშნები. ქრისტეს შობა – ქრისტეს დაბადება.</p>	<p>მდებარეობს (ის) – არის. გააჩნდათ (ის მათ) – ჰქონდათ. ნიშნავს (ის მას) – (კლდეს ნიშნავს) – აღნიშნავს, მისი მნიშვნელობაა. გაძლიერდა (ის) – უფრო ძლიერი გახდა. აიძულა (მან მას ის) – ძალით გააკეთებინა რაღაც. აღმოაჩენდნენ (ისინი მას) – იპოვიდნენ. დაიპყრობდნენ(ისინი მას) / დაიპყრეს (მათ ის) – თავის მმართველობას დაანებსდნენ. გახდა (ვასალი) (ის) – გადაიქცა. მართავდნენ (ისინი მას) – განაგებდნენ, უფროსობდნენ. გაავრცელა (მან ის) – უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა. უკავშირდებოდა (ის მას) – ურთიერთობას აბამდა. აოცებს (მნახველს) (ის მას) – აკვირვებს. დაარსდა – არსებობა დაიწყო.</p>
<p>ზედსართავი სახელები, მიმღეობები (როგორი? რომელი?) აგებული – აშენებული. (სიაში) შეყვანილი – სიაში არის. აღმართული – აშენებული. ძირითადი – მთავარი. საოცარი – საკვირველი. უზარმაზარი – ძალიან დიდი. დასაგროვებელი – ის, რაც უნდა დაგროვდეს, შეიკრიბოს ერთ ადგილას. გამართული – (აქ) კარგად გაკეთებული. ძღვევამოსილი – ძლიერი. სანატრელი – რაც ძალიან მინდა, რასაც ვნატრობ. მოსანახულებელი – რაც უნდა ვნახო.</p>	

ფრაზები	კონსტრუქციები
<p>ხელის მოკიდება – რაღაც საქმის დაწყება.</p> <p>იყვნენ მოკლებულნი – ხელი (არ) მიუწვდებოდათ; (არ) ჰქონდათ.</p> <p>შემოსავლის წყარო – წყარო, საიდანაც ადამიანი იღებს რაღაც მატერიალურ სარგებელს, ფულს.</p> <p>ფართო საზოგადოების – ბევრი ხალხის.</p> <p>არის გადაჭიმული – უკავია.</p> <p>ბატონობის ხანა – ხანა, როცა სხვა მართავს.</p> <p>ამ გზით – ამ საშუალებით; ამ საქმის კეთებით.</p> <p>საუკუნეებს ითვლის – ბევრი საუკუნისაა.</p> <p>ტრიუმფალური თალი – მომრგვალებული შესასვლელის მქონე მონუმენტი, რომელსაც აშენებდნენ რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენის/ გამარჯვების აღსანიშნავად.</p> <p>არქეოლოგიური გათხრები – მიწის გათხრა ისტორიული ფაქტების მოპოვების მიზნით.</p> <p>(მსოფლიოს) კულტურული მემკვიდრეობა – ის, რაც მსოფლიო მნიშვნელობისაა და ინახავს კულტურას და ისტორიას.</p> <p>მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრება – 1) ჩიჩენ-იცა 2) ქრისტეს ქანდაკება 3) კოლოსეუმი/კოლისეუმი 4) ჩინეთის დიდი კედელი 5) მაჩუ-პიქჩუ 6) პეტრა 7) ტაჯ-მაჰალი.</p>	<p>გადავიდა მფლობელობაში– ისინი აკონტროლებენ.</p> <p>გამოკვეთილი კლდეში – კლდეში გამოჭრილი.</p> <p>გამართული ტექნიკურად – ყველა დეტალი კარგად მუშაობს.</p>

III. ღვადაღვაბი დაქსიკავა, ფრაზებსა და კონსტრუქციებსა

5. ა. ჩასვით მოცემული ფრაზები შესაბამის ადგილას:

წვიმის სახით კლდეში გამოკვეთილი ბატონობის ხანა ხელის მოკიდება იყვნენ მოკლებულნი ფართო საზოგადოება შემოსავლის წყარო ამ გზით საუკუნეებს ითვლის მფლობელობაში გადავიდა

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები საჭირო ფრაზებით:

**მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა ქრისტიანული სიმბოლოები
ვასალი ქრისტეშობამდე ტრიუმფალური თაღი
მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან**

1. 1242 წლიდან საქართველო მონღოლთა გახდა.
2. პირველი ქართული ფული მოიჭრა კოლხეთში მე-6 საუკუნეში.
3. რომის კოლისეუმი ერთ-ერთია.
4. ნაპოლეონ ბონაპარტეს შეკვეთით აშენებული ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ისტორიის არქიტექტურული ნამუშევარია ყველა თაღს შორის.
5. ციხე-ქალაქ პეტრას ტერიტორიაზე აღმოჩენილია
6. მოიცავს მატერიალურ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც წარმოდგენილია შენობებსა და ძეგლებში, საგნებსა და ხელოვნების ნიმუშებში.

7. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები წარმოადგინეთ შესაბამისი ბრუნვისა და რიცხვის ფორმით:

1. (ვარძია) საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მდებარეობს.
2. სკოლაში ზარის დარეკვა (გაკვეთილის დაწყება) ნიშნავს.
3. (საქართველო) მე-11 საუკუნეში გაძლიერდა.
4. (მედია) ახალი ინფორმაცია რამდენიმე წუთის წინ გაავრცელა
5. ხალხი (სოფელი) ერთი კვირის წინ შემოვლითი გზით უკავშირდებოდა.
6. სანამ (მოსწავლეები) ამოცანის ამოხსნის (ახალი ხერხი) აღმოაჩენდნენ, მასწავლებელმა მათ რამდენიმე გზა შესთავაზა.
7. (მომღერლები) კონცერტებს ადრე უფრო ხშირად მართავდნენ.
8. მე-19 საუკუნეში (საქართველო) რუსეთის გუბერნია გახდა.
9. (პოლიციელი) დამნაშავეს სიმართლის თქმა აიძულა დაკითხვისას.
10. საქართველოს ბუნება (ტურისტები) აოცებს.

IV. ტექსტის კითხვის პროცესი

8. წაკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- I. პეტრა კლდეში გამოყვანილი საოცარი ქალაქია, რომელიც იორდანიაში **მდებარეობს**. ქალაქის სახელი „პეტრა“ კლდეს **ნიშნავს** და ეს უზარმაზარი ქალაქი მთლიანად კლდეშია **აგებული**, კლდეშივეა **გამოკვეთილი** მისი ტაძრები და მავ-

ზოლემები, თეატრი და წყლის **დასაგროვებელი** არხები, რომლებიც დღესაც **აოცებს** ხალხს თავისი **მოხერხებულობითა** და **განლაგებით**. 2007 წელს პეტრას ქალაქი მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი **გახდა** და იგი დღეს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეყვანილი.

II. ქალაქი პეტრა **დაარსდა საუკუნეების წინ**. მისი აშენება **ქრისტეშობამდე** მესამე საუკუნეში **დაიწყო**. პეტრა ნაბატეას იმპერიის (დღევანდელი იორდანია) დედაქალაქი იყო. ნაბატეა მეორე საუკუნეში უკვე **ძლევამოსილი** ტომი იყო და, შესაბამისად, პეტრაც ამ პერიოდში **გაძლიერდა**. პეტრას მცხოვრებლები, ქალაქის ბუნებრივი სილამაზის გარდა, ყოველგვარ სიმდიდრეს **იყვნენ მოკლებულნი**. მათ არც წყალი **გააჩნდათ**, რომ ისედაც მცირე ზომის მინები **მოერწყათ** და არც ისეთი პირობები ჰქონდათ, რომ სხვა სამეურნეო საქმიანობისთვის **მოეკიდათ ხელი...** წყლის უქონლობამ აიძულა პეტრას მაცხოვრებლები, **გაეყვანათ** წყლის არხები. ამ არხებში **წვიმის სახით მოსული ნალექი გროვდებოდა**. ეს არხები **ტექნიკურად** ისე კარგადაა **გამართული**, რომ დღესაც **აოცებს მნახველებს**.

III. მაცხოვრებლების ძირითადი საქმიანობა და **შემოსავლის წყარო** იყო **სანელებლებით ვაჭრობა**. ქალაქს ერთი დიდი **უპირატესობა** ჰქონდა: იგი ორი მთავარი სავაჭრო გზის გადაკვეთაზე მდებარეობდა – პეტრას საშუალებით ქალაქი დამასკო წითელ ზღვას პირდაპირ **უკავშირებოდა**, სპარსეთის ყურე და ლაზა კი – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. ვაჭრებისთვის პეტრა **სანატრელი** ქალაქი იყო, აქ ისინი წყალსა და საკვებს ყიდულობდნენ. **ამ გზით** სწრაფად **გამდიდრდა** ქალაქი და **განვითარდა**. მისი მაცხოვრებლებიც მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, სანამ რომაელები აღმოსავლეთისკენ მიმავალ საზღვაო გზებს **აღმოაჩენდნენ** და პეტრას **დაიპყრობდნენ**.

IV. პეტრა ქრისტეშობამდე პირველ საუკუნეში რომის **მფლობელობაში** გადავიდა. პეტრა რომის **ვასალი** ქალაქი **გახდა**. ამ პირობებში ქალაქის მცხოვრებლები 200 წელი **დამოუკიდებლად** მართავდნენ ქალაქს. მიუხედავად ამისა, რომაული კულტურის **გავლენა** პეტრაში დღესაც იგრძნობა. აქ აშენდა რომაული თეატრი, რომელიც ქალაქის **ღირსშესანიშნაობაა**.

V. ქალაქი პეტრა დიდ ტერიტორიაზეა **გაშენებული**; ცენტრალური ქუჩა მთელი ქალაქის სიგრძისაა და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ **არის გადაჭიმული**. ეს ქუჩა რომაელების დროს **მოეწყო**. ქუჩის ორივე მხარეს **რომაული კოლონადებია აღმართული**. აღმოსავლეთის მხარის ქუჩა, რომის მსგავსად, ტრიუმფალური თა-

ლით მთავრდება. ქალაქში არის მონასტერი ედ-დეირი, რომელშიც ჯვრები და ქრისტიანული სიმბოლოებია აღმოჩენილი. ითვლება, რომ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქრისტიანული მონასტერი უნდა ყოფილიყო და ეს ფაქტიც რომაელების ბატონობის ხანას უკავშირდება.

VI. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ პეტრა მთელმა ევროპამ მიივიწყა. ამერიკა ამ ქალაქს მანამდე ისედაც არ იცნობდა... 1812 წელს შვეიცარიელმა მოგზაურმა ჟან ლუის ბურქჰარდტმა არაბეთში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა კლდეში გაშენებული ქალაქი და მის შესახებ ინფორმაცია ევროპაში გაავრცელა. შვეიცარიელი მოგზაურის აღმოჩენიდან 100 წლის შემდეგ თომას ედვარდ ლოურენსმა პეტრას უძღვნა ნაწარმოები „სიბრძნის შვიდი სვეტი“, რომელშიც პეტრა მსოფლიოს ულამაზეს ადგილადაა მოხსენიებული, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა ნახოს სიცოცხლეში. ამ ორი ადამიანის ნაწერებმა დააინტერესა საზოგადოება პეტრათი.

VII. 1920 წლიდან ქალაქში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, ხოლო მოგვიანებით პეტრა ტურისტულ ზონად იქცა.

VIII. 1989 წელს რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა ქალაქ პეტრაში გადაიღო თავისი ცნობილი ფილმი „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ომი“. ამ ფილმმა ევროპისა და ამერიკის ფართო საზოგადოებას უფრო ახლოს გააცნო ქალაქი პეტრა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ფილმის დიდი ნაწილი გადაღებულია პეტრას ყველაზე ცნობილ ტაძარ-მავზოლეუმ ალ-ჰაზნეში. ამ მავზოლეუმს „ფარაონის საგანძურს“ უწოდებენ არაბები და დღესაც ტურისტებისთვის ყველაზე პოპულარულ მოსანახულებელ ადგილად ითვლება.

უპასუხე კითხვებს:

1. რას ნიშნავს პეტრა?
2. სად მდებარეობს პეტრა?
3. როგორი ქალაქია პეტრა?
4. რით არის გამორჩეული პეტრა?
5. როდის დაარსდა პეტრა?
6. რა იყოს პეტრას მცხოვრებთა შემოსავლის წყარო?
7. რა უპირატესობა ჰქონდა პეტრას?

8. რა გავლენა იქონია რომის ვასალობამ პეტრაზე?
-
9. როგორ და როდის გახდა პოპულარული მივინყებულები პეტრა?
-
10. რა ღირსშესანიშნაობების ნახვა შეგვიძლია პეტრაში?
-

V. გავაგაფა ორიენტირებული აქტივობები

9. მონიშნეთ სწორი ინფორმაცია:

- პეტრას დაარსების ისტორიაზე საუბარია:
 - მეხუთე აბზაცში
 - მეოთხე აბზაცში
 - მეორე აბზაცში
- რომელ აბზაცში ვიგებთ ინფორმაციას ქალაქის სახელწოდების შესახებ:
 - პირველ აბზაცში
 - მეოთხე აბზაცში
 - მეორე აბზაცში
- პეტრას მაცხოვრებელთა ძირითადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციაა:
 - მეოთხე აბზაცში
 - მესამე აბზაცში
 - მეორე აბზაცში
- პეტრას არქიტექტურას ვეცნობით:
 - პირველ აბზაცში
 - მესამე აბზაცში
 - მეხუთე აბზაცში
- რომელ აბზაცშია საუბარი მივინყებულები პეტრას აღმოჩენის შესახებ:
 - მეხუთე აბზაცში
 - მეექვსე აბზაცში
 - მერვე აბზაცში
- რომისა და პეტრას ურთიერთობის შესახებ ინფორმაციაა:
 - მეოთხე აბზაცში
 - მეშვიდე აბზაცში
 - მერვე აბზაცში

10. ა. მონიშნეთ სწორი ინფორმაცია:

ინფორმაცია



- პეტრა კლდეს ნიშნავს.
- პეტრა ღარიბი ქალაქი იყო.
- პეტრა რომაელებმა დაიპყრეს.
- პეტრას მოსახლეობის მთავარი საქმიანობა მესაქონლეობა იყო.
- პეტრაზე რომაულმა კულტურამ გავლენა იქონია.
- პეტრა წყალუხვი ქალაქი იყო.
- პეტრა მე-5 საუკუნეში აშენდა.

ა.

ეს უზარმაზარი ქალაქიც მთლიანად კლდეშია აგებული, კლდეშივე გამოკვეთილი მისი ტაძრები და მავზოლეუმები, თეატრი და წყლის დასაგროვებელი არხები; რომაული კულტურის გავლენა პეტრაში დღესაც იგრძნობა. აქ აშენდა რომაული თეატრი, რომელიც ქალაქის ღირსშესანიშნაობაა. ქალაქი პეტრა დიდ ტერიტორიაზეა გაშენებული; ცენტრალური ქუჩა მთელი ქალაქის სიგრძისაა და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის გადაჭიმული. ეს ქუჩა რომაელების დროს მოეწყო. ქუჩის ორივე მხარეს რომაული კოლონადებია აღმართული. აღმოსავლეთის მხარის ქუჩა, რომის მსგავსად, ტრიუმფალური თაღით მთავრდება. ქალაქში არის მონასტერი ედ-დეირი,

ბ.

ქალაქს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა: იგი ორი მთავარი სავაჭრო გზის გადაკვეთაზე მდებარეობდა – პეტრას საშუალებით ქალაქი დამასკო წითელ ზღვას პირდაპირ უკავშირებოდა, სპარსეთის ყურე და ღაზა კი – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. ვაჭრებისთვის პეტრა სანატრელი ქალაქი იყო, აქ ისინი წყალსა და საკვებს ყიდულობდნენ.

გ.

ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ პეტრა მთელმა ევროპამ მიივიწყა. ამერიკა ამ ქალაქს მანამდე ისედაც არ იცნობდა... 1812 წელს შვეიცარიელმა მოგზაურმა ჟან ლუის ბურქჰარდტმა არაბეთში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა კლდეში გაშენებული ქალაქი და მის შესახებ ინფორმაცია ევროპაში გაავრცელა. შვეიცარიელი მოგზაურის აღმოჩენიდან 100 წლის შემდეგ თომას ედვარდ ლოურენსმა პეტრას უძღვნა ნაწარმოები „სიბრძნის შვიდი სვეტი“, რომელშიც პეტრა მსოფლიოს ულამაზეს ადგილადაა მოხსენიებული, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა ნახოს სიცოცხლეში. ამ ორი ადამიანის ნაწერებმა დაინტერესა საზოგადოება პეტრათი.

1920 წლიდან ქალაქში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, ხოლო მოგვიანებით პეტრა ტურისტულ ზონად იქცა.

1989 წელს რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა ქალაქ პეტრაში გადაიღო თავისი ცნობილი ფილმი „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ომი“. ამ ფილმმა ევროპისა და ამერიკის ფართო საზოგადოებას უფრო ახლოს გააცნო ქალა-

ქი პეტრა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ფილმის დიდი ნაწილი გადაღებულია პეტრას ყველაზე ცნობილ ტაძარ-მავზოლეუმ ალ-ჰაზნეში. ამ მავზოლეუმს „ფარაონის საგანძურს“ უწოდებენ არაბები და დღესაც ტურისტებისთვის ყველაზე პოპულარულ მოსანახულებელ ადგილად ითვლება.

e.

პეტრა ორი მთავარი სავაჭრო გზის გადაკვეთაზე მდებარეობდა – პეტრას საშუალებით ქალაქი დამასკო წითელ ზღვას პირდაპირ უკავშირებოდა, სპარსეთის ყურე და ლაზა კი – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. ვაჭრებისთვის პეტრა სანატრელი ქალაქი იყო, აქ ისინი წყალსა და საკვებს ყიდულობდნენ. ამ გზით სწრაფად გამდიდრდა ქალაქი და განვითარდა. მისი მაცხოვრებლებიც მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

VI. ზრავითიკუნდ საკითხებზე ორიენტირებული აქტივობები

13. შეავსეთ ცხრილი ტექსტში გამოყენებული ზმნებით:

აწყო	უსვავიდი	ყოფიდი	სოღყოფიდი	სვავიდი	ყოფი კავშირებითი
მდებარეობს (ის)	მდებარეობდა	(არ აქვს)	(არ აქვს)	(არ აქვს)	(არ აქვს)
აოცებს (ის მას)		გააოცებს		გააოცა (მან ის)	
	ყიდულობდნენ (ისინი მას)				
			გაძლიერდებოდა (ის)		
				გახდა (ის)	
		გაავრცელებს (ის მას)			
					დაუკავშირდეს (ის მას)
	ვითარდებოდა (ის)				
			დაიპყრობდნენ (ისინი მას)		
					დაგროვდეს (ის)

ბ. ჩასვით ტექსტში გამოტოვებული ზმნები :

**აოცებს დაიპყრეს აიძულა გამოიყენა მდებარეობდა გაძლიერდა
გროვდებოდა მდებარეობს ნიშნავს გააჩნდათ გამდიდრდა
აღმოაჩინეს ყიდულობდნენ ძლიერდებოდა იყო განვითარდა
გაეყვანათ უკავშირდებოდა**

მე-19 საუკუნეში ბევრმა არ იცოდა, რომ იორდანიაში კლდეში გამოყვანილი ქალაქი, რომელიც მნახველს დღესაც მისი სახელი – „პეტრა“ კლდეს

პეტრა მეორე საუკუნიდან თანდათან პეტრას მაცხოვრებლებს ქალაქის ბუნებრივი სილამაზის გარდა არაფერი , აქ არც წყალი და არც სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო პირობები. წყლის უქონლობამ პეტრას მაცხოვრებლები , წყლის არხები ამ არხებში წვიმის წყალი ეს არხები დღესაც მნახველებს.

პეტრას მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო ვაჭრობა იყო. ქალაქმა კარგად თავისი გეოგრაფიული მდებარეობა – ის ორი სავაჭრო გზის გადაკვეთაზე პეტრას საშუალებით ქალაქი დამასკო წითელ ზღვას , სპარსეთის ყურე და ლაზა კი – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. ვაჭრები აქ წყალსა და საკვებს. ამ გზით სწრაფად ქალაქი, და მისი მაცხოვრებლებიც მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ რომაელებმა აღმოსავლეთისკენ მიმავალ საზღვაო გზები და პეტრა

გ. ცხრილიდან შეარჩიეთ ზმნის 10 ფორმა და შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

14. ა. შეავსეთ ცხრილი:

საწყისი	მიზლოცა	ზმნა
გამოყვანა	გამოყვანილი	გამოიყვანეს
აგება	აგებული	ააგეს
	გაშენებული	
	გამართული	
	აღმართული	
	გადაღებული	
	მოსახერხებელი	
	განლაგებული	
	დასაგროვებელი	

ბ. დააკავშირეთ ერთმანეთთან:

- | | |
|-------------|------------------|
| გამოყვანილი | სვეტი |
| აგებული | ქუჩები |
| გაშენებული | სარწყავი სისტემა |
| აღმართული | ამფითეატრი |
| გამართული | ქალაქი |
| განლაგებული | კლდეში |

გ. წინა დავალებაში მიღებული ფრაზები შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით:

კლდეში გამოყვანილი	გამოიყვანეს კლდეში

ე. მარჯვენა სვეტში მიღებული კონსტრუქციების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

წიმუში: თამარ მეფის დროს კლდეში გამოიყვანეს კომპლექსი ვარძია.

15. ჩასვით კავშირი „რომელიც“ საჭირო ფორმით:

1. პეტრას მიუყვებოდა ცენტრალური ქუჩა, მთელი ქალაქს კვეთდა.
2. 1989 წელს რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა ქალაქ პეტრაში გადაიღო თავისი ცნობილი ფილმი „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ომი“, ევროპისა და ამერიკის ფართო საზოგადოებას უფრო ახლოს გააცნო ქალაქი პეტრა.
3. წყლის უქონლობამ აიძულა პეტრას მაცხოვრებლები, გაეყვანათ წყლის არხები, წვიმის სახით მოსული ნალექი გროვდებოდა..
4. ფილმის „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ომი“ დიდი ნაწილი გადაღებულია პეტრას ყველაზე ცნობილ ტაძარ-მავზოლეუმში ალ-ჰაზნეში, „ფარაონის საგანძურს“ უწოდებენ არაბები.
5. 1812 წელს არაბეთში იმოგზაურა შვეიცარიელმა მოგზაურმა ჟან ლუის ბურქჰარდტმა, მიერაც გავრცელდა ინფორმაცია ევროპაში პეტრას შესახებ.

16. ჩასვით გამოტოვებული თანდებულები შესაბამის ადგილას:

..... გარდა, -თვის,მდე,ში,ზე, -კენ, შემდეგ,დან, შესახებ

1. საცხოვრებელი სახლების , კლდეში არის გამოკვეთილი ტაძრები და მავზოლეუმები.
2. პეტრა ტურისტების დღემდე საინტერესო ადგილად რჩება.
3. ჟან ლუის ბურქჰარდტმა კლდეში ნაკვეთი ქალაქის ინფორმაცია ევროპაში გაავრცელა.

4. პეტრა ევროპა პოპულარული მე-20 საუკუნის დასაწყის გახდა.
5. რომის მფლობელობაში გადასვლის პეტრას მოსახლეობა ქალაქს დამოუკიდებლად მართავდა .
6. პეტრას მთავარი ქუჩა გადაჭიმულია აღმოსავლეთი დასავლეთის
7. პეტრა მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრები..... ერთ-ერთია.
8. პეტრა ორი მთავარი სავაჭრო გზის გადაკვეთა..... მდებარეობდა.
9. თომას ედვარდ ლოურენსი ნაწარმოებში „სიბრძნის შვიდი სვეტი“ წერს პეტრა....., როგორც ულამაზეს ქალაქ.... .
10. პეტრას აგება ქრისტეშობა..... მე-3 საუკუნე..... დაიწყო და პირველ საუკუნე..... გრძელდებოდა.

17. ჩასვით საჭირო დაბოლოება:

ნიმუში: ტურისტები ბევრს საუბრობენ პეტრას სილამაზესა და სიძველეზე.

1. ვაჭრები ქალაქ პეტრაში ჩერდებოდნენ წყლ.... და საკვებ.... .
2. პეტრას კომპლექსი შედგება ქალაქ.... , ტაძრებ.... და მავზოლეუმებ.... .
3. ქალაქ პეტრაში ჩერდებოდნენ დამასკო.... , სპარსეთის ყურე.... და ღაზი.... მომავალი ვაჭრები.
4. ცუდი კლიმატური პირობებ.... და უწყლოობ.... შეწუხებულმა პეტრას მოსახლეობამ სარწყავი არხების გაყვანა დაიწყო.
5. პეტრა მსოფლიომ ხელახლა გაიცნო ფილმებ.... და მოგზაურთა ნაწერებ.... .

18. ა. შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით:

სახლდება ის	ასახლებდნენ ისინი მას
მთავრდება	ამთავრებენ
ძლიერდება	
გროვდება	
მდიდრდება	
ინტერესდება	
აშენდა	

ბ. შეადგინეთ წინადადებები მარჯვენა სვეტში მიღებული ზმნების გამოყენებით:

ნიმუში: რომაელები ხელოსნებს ქალაქ პეტრაში ასახლებდნენ.

VII. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები

19. წარმოიდგინეთ, რომ ხართ გიდი და მასპინძლობთ ტურისტულ ჯგუფს პეტრაში. კითხვების დახმარებით უამბეთ მათ ქალაქის მოკლე ისტორია; ისაუბრეთ, რას ნახავენ ქალაქში:

სად მდებარეობს ქალაქი პეტრა?

რას აღნიშნავს მისი სახელწოდება?

რომელ საუკუნეში დაიწყო მისი აგება?

მოგვიყვით პეტრას ისტორიის შესახებ.

რა იყო პეტრას მოსახლეობის შემოსავლის წყარო?

რა გავლენა მოახდინა ქალაქზე რომაელთა ბატონობამ?

როდის და გახდა ცნობილი პეტრა?

რით არის გამორჩეული ქალაქი პეტრა?

რას ნახავენ ტურისტები ქალაქ პეტრაში?

VIII. წერიტი ღვადების აქტივობები

20. მოიძიეთ ინფორმაცია ვარძიის შესახებ და შეადგინეთ პატარა საინფორმაციო ტექსტი კითხვების დახმარებით:

<http://www.reading.ge/ka/books-by-level/230-akhaltsikhe>

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%90>

B1 საინფორმაციო ტექსტი

გამოყენებულია კორტანის reading.ge-ს ტექსტი

პეტიოლური დაუზავავის ავტორი: ია რობაქიძე

ადეჟსანდრა ქართვედი

I. აქტივობები თემის გახსნისთვის

1. შენი აზრით, ვინ არის და რას საქმიანობს ავიაკონსტრუქტორი?
2. როგორ ფიქრობ, „ქართვედი“ გვარია თუ ფსევდონიმი? რატომ ფიქრობ ასე?

II. ღეჟსიკაჟა, ფრაზაჟა, კონსტრუქციასა და ზმნაჟა დაკვირვაჟა

სიფჟაჟი	ფრაზაჟი
ნარმატებუღი – ის, ვინც ბევრ ნარმატებას მიაღწია	შესწევდეს ძალა – შეეძღოს, ძალა ჰქონდეს
ავიაკონსტრუქტორი – თვითმფრინავების ამგები, მშენებელი	იძულებული გავხდი – სურვიღი არ მქონდა, მაგრამ მაინც გავაკეთე
მოთმინება (ითმენს; მაგალითად, ითმენს ტკივიღს) – როდესაც ადამიანი მისთვის რაიმე არასასურვეღს ითმენს, იტანს	ვერ აიტანა – არ მოეწონა, ვერ მოითმინა
დამოუკიდებღობა – თავისუფლება	დიდი დეჟრესიის პერიოდი – ამერიკის ისტორიის პერიოდი (1929-39), როცა ეკონომიკა ძალიან ჩავარდა და ადამიანები მასიურად ფინანსურ კრიზისში იყვნენ
გამომცდელი – ადამიანი, რომელიც რაიმეს ცდის, მოსინჯავს	თავი გამქონდა (თავის გატანა) – თავს ვირჩენდი, ვინახავდი, საარსებო ფინანსურ საშუალებას ვეძებდი
ხერხემალი – ადამიანის სხეუღის ერთ- ერთი მთავარი ნაწიღი, საყრდენი	არ იყო ხელმისაწვდომი – იოღად არ შეიძლებოდა მისი მიღება
უთანხმოება – დავა, კამათი	ცნობიღი გახადა – დაეხმარა, რომ ცნობიღი გამხდარიყო
სათავადაზნაურო გიმნაზია – სკოღა თავადებისა და აზნაურების შვიღებისთვის	რეკორდები დაამყარეს – ყვეღაზე დიდი შედეგი აჩვენეს
მულტიმიღილიონერი – მრავალი მიღიონის მქონე	

სიტყვა	ფრაზა
<p>ბომბდამშენი – მოწყობილობა, რომელიც ბომბებს ისვრის</p> <p>მწარმოებელი – ადამიანი ან კომპანია, რომელიც რაიმეს აწარმოებს, ამზადებს</p> <p>მაღვე – სწრაფად, მალე</p>	<p>თანამდებობიდან გადააყენეს – გაათავისუფლეს სამსახურიდან</p> <p>უდიდესი კვალი დატოვა – ყველას დაამახსოვრდა</p> <p>დიდი გამოხმაურება მოჰყვა – ბევრმა ადამიანმა ილაპარაკა ამის შესახებ</p> <p>ცოტა ხნის შემდეგ – მალე</p> <p>განათლების მიღება – სკოლისა და უნივერსიტეტის დამთავრება/ ცოდნის მიღება</p> <p>დიდი წვლილი შეიტანა – ამ სფეროში დიდი საქმე გააკეთა</p>

ზნეა	კონსტრუქცია
<p>დაზიანება (აზიანებს) – დაუზიანდა მას ის</p> <p>მოწვევა (უნევს) – უწვევდათ მათ ის</p> <p>მიწვევა (ინვეს) – მიიწვიეს მათ ის</p> <p>შეთავაზება (სთავაზობს) – შესთავაზეს მათ მას ის</p> <p>ამაყობა (ამაყობს) – ამაყობდა ის</p> <p>შესწავლა (შეისწავლის) – შეისწავლა მან ის</p> <p>შეერთება (უერთდება) – შეუერთდა ის მას</p> <p>ყოლა (ჰყავს) – ჰყოლიათ მათ ის</p>	<p>ალექსანდრეს სიტყვებით;</p> <p>მუშაობა დაიწყო თვითმფრინავების გამომცდელად (მუშაობა დაიწყო ...-ად);</p> <p>როგორც თავად იხსენებს;</p> <p>თვითონ ალექსანდრე p-47-ით ამაყობდა; (...-ით ამაყობდა)</p>

III. ღვადაბავი ღაქსიკაფე, ფრაზაბსა და კონსტრუქციაფე

3. დააჯგუფე ანტონიმები:

მოუთმენლობა დამოუკიდებლობა დამოკიდებულება მულტიმილიონერობა მოთმენა უთანხმოება წარუმატებლობა თანხმობა სიღარიბე წარმატება

მოთაქნა	

4. გამოიყენე ზემოთ მოცემული სიტყვები წინადადებებში სწორად:

- ა. ყველას უნდა, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობა და **თანხმობა** იყოს.
- ბ. ტკივილის არც ისე ადვილია.
- გ. საქმეში შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.
- დ. ამ ორ ოჯახს ერთმანეთთან დიდი ჰქონდა.
- ე. აუცილებელია მოზარდმა და თავისით გადანყვეტილებების მიღება ისწავლოს.
- ვ. პროფესიული ხშირად დეპრესიის მიზეზი ხდება.

5. დააკვირდი სიტყვებს:

**საარტილერიო სათავადაზნაურო საავიაციო
საჰაერო სამხედრო საბრძოლო**

რომელი მანარმოებლები გამოიყოფა?

წაიკითხე ქვემოთ მოცემული გრამატიკული ბლოკი.

ამოარჩიე შენთვის სასურველი 5 სიტყვა და შეადგინე წინადადებები:

დანიშნულების სახელები ქართულში მანარმოებლები:

სა -ო

სა – ე (=თვის)

მაგალითად:

მედიცინა – სამედიცინო (= რაიმე მედიცინისთვის)

კაბა – საკაბე (= ნაჭერი კაბისთვის)

სა-ო	სა-ე
სახელო	საპურე
საყელო	საკაბე
საარტილერიო	საპალტოე
სათავადაზნაურო	საკაცე
საავიაციო	საყურე
საჰაერო	
სამხედრო	
საბრძოლო	

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

6. მოიფიქრეთ მსგავსი დაბოლოების მქონე შენთვის ნაცნობი 5 სიტყვა და შეადგინე მათზე წინადადებები:

წიმუში: სასკოლო – ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს სასკოლო ნივთები.

- ა.
- ბ.
- გ.
- დ.
- ე.
- ვ.
- ზ.

7. ბლოკში მოცემული ფრაზებიდან შეარჩიე და ჩასვი შესაბამისი:

იძულებული გავხდი უდიდესი კვალი დატოვა
არ იყო ხელმისაწვდომი ვერ აიტანა დიდი გამოხმაურება მოჰყვა

- ა. ჩვენი სტუდენტობის დროს ამდენი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.
- ბ. სასტიკად არ მიყვარს ქოლგის ტარება, მაგრამ ამ დილით ისეთი კოკისპირული წვიმა იყო,, მომეძებნა ჩემი ძველი ქოლგა.
- გ. მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს ისტორიაში.
- დ. ამ ფილმს
- ე. პატარა ბიჭმა, რომ თავისი საყვარელი სათამაშო წაართვეს და ტირილი მორთო.

8. წინადადებებში ხაგასმული სიტყვები შეცვალე ქვემოთ მოცემული ფრაზებით და ისე გადაწერე:

თანამდებობიდან გადააყენეს მიიღო განათლება რეკორდი დაამყარეს
პოპულარული გახდა ვერ აიტანა

ა. ყველა დიდი მსახიობის ცხოვრებაში არის ერთი ისეთი ფილმი, რომელმაც იგი ყველაზე მეტად გააცნო მსოფლიოს.

.....
.....

ბ. დასანანია, რომ ეს ქვეყანი ადამიანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

.....
.....

გ. ბევრმა ქართველმა მომავალმა მწერალმა ისწავლა საზღვარგარეთ.

.....
.....

დ. ამ მოსწავლეებმა ფიზიკის ოლიმპიადაზე ისეთი შედეგები აჩვენეს, როგორც მანამდე არავის ჰქონია.

.....
.....

ე. დათოს კალათბურთის ერთ-ერთ შეჯიბრზე ისე დასცინეს გუნდლებმა, რომ ვერ მოითმინა და გუნდიდან წამოვიდა.

.....
.....

9. ა. დააკავშირე ფრაზების გახლეჩილი ნაწილები ერთმანეთთან:

ყველანაირი საქმის გაკეთება	შესთავაზა
ცოტა ხნის	უწევდათ
მოისურვა	შემდეგ
თავის კომპანიაში გადასვლა	უხეშად ჩარევა

ბ. მიღებული ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....
.....
.....
.....

IV. ბაქსტის კითხვის პროცესი

10. წაიკითხეთ ტექტი და დაუკავშირეთ ცხრილში მოცემული ქვესათაურები და ინფორმაცია ერთმანეთს:

1. ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფია	ა. ალექსანდრე ქართველს და მის მეუღლეს შვილები არ ჰყავდათ.
2. ალექსანდრეს მიერ აგებული თვითმფრინავები	ბ. ალექსანდრე ქართველის შესახებ ინფორმაცია მის სამშობლოში რეჟისორმა რამაზ ბლუაშვილმა მიაწოდა.
3. ალექსანდრეს ოჯახური ცხოვრება	გ. ალექსანდრე ქართველმა ააგო სამხედრო თვითმფრინავები.
4. ბოლოსიტყვაობა	დ. ალექსანდრე ქართველი თავიდან საარტილერიო ოფიცერი იყო.

1. 2. 3. 4.

აღქსანდრე ქართველი

ალექსანდრე ქართველი წარმატებული ავიაკონსტრუქტორი იყო. თვითონ ალექსანდრეს სიტყვებით, კარგი ავიაკონსტრუქტორი უნდა იყოს „ინჟინერი, მათემატიკოსი და მეოცნებე. მას მოთმინებაც უნდა ჰქონდეს და ფანტაზიაც. უნდა იცოდეს, როდის შეჩერდეს და ყოველთვის შესწევდეს ძალა,რომ წინ წავიდეს.“



ალექსანდრე ქართველს მისი თანამედროვე ამერიკელები ამერიკული ავიაციის ერთ-ერთ მამას უწოდებდნენ.

ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფია

ალექსანდრე ქართველი (ნამდვილი გვარი ქართველიშვილი) 1896 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში. იგი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა. მას მალევე მოუწია საქართველოს დატოვება. პირველი მსოფლიო ომის დროს ალექსანდრე რუსეთის არმიაში გაიწვიეს. „მე საარტილერიო ოფიცერი ვიყავი, ამ დროს ავიაციისა არაფერი გამეგებოდა. როდესაც ჩემმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მე საქართველოს არმიას შევუერთდი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ წავაგეთ. იძულებული გავხდი, საქართველო დამეტოვებინა და საფრანგეთში გავემგზავრე. სწორედ იქ მივიღე განათლება ავიაციაში“. – ამბობდა ალექსანდრე.

საფრანგეთში ალექსანდრე ქართველმა პარიზის ავიაციის უმაღლესი სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო თვითმფრინავების გამომცდელად.

ცოტა ხნის შემდეგ იგი ავარიაში მოყვა და ხერხემალი დაუზიანდა. ამ ავარიის გამო თვითმფრინავის მართვა აღარ შეეძლო. სწორედ ამ პერიოდიდან ქართველიშვილმა უფრო ღრმად შეისწავლა ავიაკონსტრუქცია. საფრანგეთში ალექსანდრე ჯერ ერთ-ერთ საავიაციო კომპანიაში მუშაობდა, მალე კი ამერიკელი მულტიმილიონერის – ლევინის მიწვევით ამერიკაში გადავიდა. ლევინსა და ალექსანდრეს შორის ცოტა ხნის შემდეგ უთანხმოება გაჩნდა. ლევინმა მოისურვა ავიაციის საქმეში უხეშად ჩარევა, რაც ქართველმა ავიაკონსტრუქტორმა ვერ აიტანა და მისი კომპანიიდან წამოვიდა. როგორც თავად იხსენებს, მის ცხოვრებაში სწორედ მაშინ დადგა ყველაზე რთული პერიოდი. ამ დროს ამერიკაში დიდი დეპრესიის პერიოდი იყო, ადამიანებს სამუშაო არ ჰქონდათ და თავის გასატანად ყველანაირი საქმის გაკეთება უწევდათ. „ბევრი უბედურება გამოვცადე, რომ თავი გამეტანა, მაგრამ მაინც მოვახერხე, რადგან ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. ნიუ-იორკი კი ის ქალაქია, სადაც შიმშილით არავინ კვდება. ყოველთვის შეიძლება რაიმე სამსახურის შოვნა. ასე რომ, მანქანებსაც ვრეცხავდი, ქუჩებსაც ვწმენდდი და თავი გამქონდა“, – იხსენებს ალექსანდრე ქართველი.

აღესანდრეს მიერ აგებული თვითმფრინავები

პირველი, მთლიანად ლითონისაგან დამზადებული, თვითმფრინავი აღესანდრე ქართველმა შექმნა. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ის სასწრაფოდ მიიწვიეს ნიუ-ჯერსიში მდებარე საავიაციო ქარხანაში, სადაც კარგი თანამდებობა და ხელფასი შესთავაზეს. აღესანდრე მიწვევას დასთანხმდა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ცნობილ ინჟინერს აღესანდრე სევერსკის შეხვდა. აღესანდრე სევერსკიც თბილისში იყო დაბადებული და საქართველო და ქართველები ძალიან უყვარდა. მან აღესანდრე ქართველს თავის კომპანიაში გადასვლა შესთავაზა.

სევერსკის კომპანიაში შექმნილმა საავიაციო პროექტებმა აღესანდრე ქართველი მსოფლიოში ცნობილი გახადა.

აღესანდრე ქართველის კომპანია საბრძოლო თვითმფრინავების ყველაზე დიდი მწარმოებელი გახდა მსოფლიოში. აღესანდრე ქართველმა უამრავი საავიაციო და საბრძოლო თვითმფრინავი შექმნა. ეს თვითმფრინავები აქტიურად გამოიყენებოდა საჰაერო ბრძოლებში, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. თვითონ აღესანდრე კი ყველაზე მეტად P-47-ით ამაყობდა.

აღესანდრეს პირადი ცხოვრება

მეგობრები აღესანდრეს საშას ეძახდნენ, თანამშრომლები კი – მისტერ ქართველს. თავისუფალი დრო ძალიან ცოტა ჰქონდა, ამიტომ ყოველთვის ცდილობდა, ამ პერიოდში სახლში ყოფილიყო. სახლში ყოფნისას ხშირად მღეროდა ქართულ სიმღერებს. იგი უნიჭიერესი ადამიანი იყო. იცოდა ხუთი ენა. აღესანდრეს ამერიკელი მეუღლე ჰყავდა, ჯინ რობინსი. მათ შვილები არასოდეს ჰყოლიათ. აღესანდრე ბოლო წლებში მეუღლესთან ერთად ნიუ-იორკში ცხოვრობდა. იგი 1974 წელს გარდაიცვალა.

ბიოგრაფიკობა

აღესანდრე ქართველმა საავიაციო საქმეში დიდი წვლილი შეიტანა, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია კარგა ხანს არ იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომი. მხოლოდ 2007 წელს ქართველმა რეჟისორმა რამაზ ბლუაშვილმა ამერიკაში შეაგროვა მნიშვნელოვანი ცნობები აღესანდრე ქართველის შესახებ. ამის შემდეგ კი დიდი ავიაკონსტრუქტორი ქართულმა საზოგადოებამ უფრო ახლოს გაიცნო.

V. გავაზაფა ორიენტირებული აქტივობები

11. მონიშნე:

	სწორია	არასწორია	არ ჩანს
ა. ალექსანდრე საქართველოში დაიბადა, მაგრამ სხვაგან გარდაიცვალა.			
ბ. იგი სამშობლოდან თავისი ნების საწინააღმდეგოდ წავიდა.			
გ. საავიაციო საქმე მან ამერიკაში შეისწავლა.			
დ. ყველაზე დიდხანს ალექსანდრე მულტიმილიონერ ლევინთან მუშაობდა.			
ე. ალექსანდრეს მიერ აგებული თვითმფრინავები ომში გამოცადეს.			
ვ. იგი ძალიან განიცდიდა, რომ შვილები არ ჰყავდა.			
ზ. სიცოცხლის ბოლო წლებში ალექსანდრე სამშობლოში დაბრუნდა.			
თ. დიდი დეპრესიის პერიოდში ალექსანდრესაც ბევრი სხვადასხვა საქმის კეთება დასჭირდა თავის გასატანად.			
ი. საქართველოში გვაქვს ალექსანდრე ქართველის ძეგლი.			

12. უპასუხე შეკითხვებს წერილობით:

ა. რის გამო დატოვა საქართველო ალექსანდრე ქართველმა?

.....

ბ. რომელ ორ თვისებას მიიჩნევს ალექსანდრე ავიაკონსტრუქტორისთვის აუცილებლად?

.....

8. რომელი ფაქტის შემდეგ შეისწავლა მან ავიაცია საფუძვლიანად?

.....

9. რა იყო ალექსანდრე ქართველის პირველი დიდი წარმატება?

.....

10. გარდა ავიაკონსტრუქტორობის დიდი ნიჭისა, კიდევ რით იყო ის გამორჩეული?

.....

11. როდის და სად გარდაიცვალა ალექსანდრე ქართველი?

.....

12. რა გვარი იყო სინამდვილეში ალექსანდრე ქართველი?

.....

13. ქვემოთ მოცემულთაგან რომელ პასუხშია წარმოდგენილი ალექსანდრე ქართველის საცხოვრებელი ადგილების სწორი თანმიმდევრობა:

- ა. საქართველო – ამერიკა – საქართველო
- ბ. საქართველო – საფრანგეთი – ამერიკა
- გ. საქართველო – საფრანგეთი – ამერიკა – საქართველო
- დ. საქართველო – საფრანგეთი – ამერიკა – საფრანგეთი

14. წაკითხეთ მოცემული მონაკვეთი და შეარჩიეთ სწორი პასუხი:

„ბევრი უბედურება გამოვცადა, რომ თავი გამეტანა, მაგრამ მაინც მოვახერხე, რადგან ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. ნიუ-იორკი კი ის ქალაქია, სადაც შიმშილით არავინ კვდება. ყოველთვის შეიძლება რაიმე სამსახურის შოვნა. ასე რომ, მანქანებსაც ვრეცხავდი, ქუჩებსაც ვწმენდდი და თავი გამქონდა“.

ამ მონაკვეთის მიხედვით:

- ა. ალექსანდრე ისევე, როგორც სხვა ამერიკელი, ნებისმიერ სამსახურს თანხმდებოდა, რომ თავი გადაერჩინა.

- ბ. ალექსანდრეს მოსწონდა, რომ ნიუ-იორკში შეიძლებოდა მანქანების რეცხვა და ქუჩების წმენდა.
- გ. ალექსანდრე ამბობს, რომ ნიუ-იორკი ის ქალაქია, სადაც ადამიანი იძულებულია, ქუჩები წმინდოს, ან მანქანები რეცხოს, სხვა სამუშაო იშვიათია.

VI. პრაქტიკულ საკითხებზე ორიენტირებული აქტივობები

15. მოცემული სიტყვები ჩაწერეთ სწორი ფორმით:

- ა. (ავტომანქანა) ავტომანქანას ძრავა დაუზიანდა.
- ბ. დავითი (თავისი შვილი) ამაყობდა.
- გ. (ჩემი მეგობარი) კარგი ახალი სამსახური შესთავაზეს. ამიტომ (ის) ძველის დატოვებამ მოუწია.
- დ. გოგონა (მოცეკვავეების ჯგუფი) შეუერთდა და მათთან ერთად გაემგზავრა გასტროლებზე.
- ე. (ეს ბიჭი) უმოკლეს დროში შეისწავლა ინგლისური ენა, რათა სწავლა საზღვარგარეთ გაეგრძელებინა.

16. ა. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ზმნებს. რას გამოხატავს ისინი?

ა. სურვილს ბ. აუცილებლობას

- ის უნდა იყოს
- მან უნდა იცოდეს
- მას უნდა ჰქონდეს

ბ. შეავსე ცხრილი:

აე	აბ	ის/ას/აბ	რვბ	თქვბ	ისინი/ათ
		უნდა იყოს		უნდა იყოთ	
უნდა ვიცოდე		უნდა იცოდეს			
		უნდა ჰქონდეს	უნდა გვქონდეს		

გ. ამოირჩიეთ ცხრილიდან ხუთი ფორმა და შეადგინე მათზე წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

17. დაწერეთ ალექსანდრეს მიერ გადმოცემული ამბები მესამე პირში (შეგიძლიათ სურვილისამებრ გამოიყენოთ როგორც საკუთარი სახელი, ისე ნაცვალსახელი):

ა. მე საქართველოს არმიას შევეუერთდი.
ალექსანდრე /ის საქართველოს არმიას შევეუერთდა.

ბ. ჩვენ წავაგეთ.

.....

.....

გ. იძულებული გავხდი, საქართველო დამეტოვებინა.

.....

.....

დ. ბევრი უბედურება გამოვცადე.

.....

.....

ე. მანქანებსაც ვრეცხავდი, ქუჩებსაც ვწმენდი და თავი გამქონდა.

.....

.....

18. ტექსტის მოცემული მონაკვეთიდან ამოკრიბეთ ზმნები, შეუწყვეთ პირები და გადანაწილეთ ცხრილში:

„ცოტა ხნის შემდეგ იგი ავარიაში მოყვა და ხერხემალი დაუზიანდა. ამ ავარიის გამო თვითმფრინავის მართვა აღარ შეეძლო. სწორედ ამ პერიოდიდან ქართველიშვილმა უფრო ღრმად შეისწავლა ავიაკონსტრუქცია. საფრანგეთში ალექსანდრე ჯერ ერთ-ერთ საავიაციო კომპანიაში მუშაობდა, მალე კი ამერიკელი მულტიმილიონერის – ლევინის მიწვევით ამერიკაში გადავიდა. ლევინსა და ალექსანდრეს შორის ცოტა ხნის შემდეგ უთანხმოება გაჩნდა. ლევინმა მოისურვა ავიაციის საქმეში უხეშად ჩარევა, რაც ქართველმა ავიაკონსტრუქტორმა ვერ აიტანა და მისი კომპანიიდან წამოვიდა.“

ზმნები, რომელთა სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია	ზმნები, რომელთა სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია	ზმნები, რომელთა სუბიექტი მისჯებით ბრუნვაშია
	შეისწავლა მან ის	

19. დააკვირდით ზმნებს და შეასრულეთ დავალებები:

დაიბადა მოყვა შეისწავლა გავემგზავრე დაამთავრა დაინყო
მოისურვა დასთანხმდა გახდა გაიცნო

- ა. რომელი მწკრივის ზმნებია ესენი?
წყვეტილი/უნწყვეტელი/ანმყო
- ბ. ყველა ამ ზმნას ახლავს ზმნისწინები.
გამოყავი ისინი ზმნაში ნიმუშის მიხედვით:
დაიბადა – და-იბადა
მოყვა –
შეისწავლა –
გავემგზავრე –
დაამთავრა –
დაინყო –
მოისურვა –
დასთანხმდა –
გახდა –
გაიცნო –

დაიმახსოვრეთ: წყვეტილში ზმნებს ხშირად აქვთ ზმნისწინები.

20. წაიკითხეთ გრამატიკულ ბლოკი და შეასრულეთ დავალებები:

ზმნისწინები ქართულში

ქართულში გვაქვს 15 ზმნისწინი: მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, გადა-, წა-, ამო-, ჩამო-, შემო-, გამო-, გადმო-, წამო.

ზმნისწინები დაერთვის ზმნას და აძლევს მას სხვადასხვა მნიშვნელობას.

მარტივი ზმნისწინებია: მი-, მო-, ა-, ჩა-, შე-, გა-, წა

რთული ზმნისწინებია: ამო-, გამო-, შემო-, გადმო-, წამო

ა. მოძებნეთ მთავარ ტექსტში ზმნები, რომლებსაც რთული ზმნისნინი დაერთვის და შეუწყვეთ პირები

.....
.....
.....
.....

ბ. რომელი რთული ზმნისნინები გამოიყო ზმნებში?

.....
.....

21. ამოარჩიეთ წინა ორი სავარჯიშოდან 6 ზმნა და შეადგინეთ წინადადებები, გაითვალისწინეთ, რომ წყვეტილის მწკრივში მოცემულ ზმნასთან სუბიექტი ხშირად მოთხრობით ბრუნვაში დგას.

ნიმუში: დღეს ჩემმა დამ თავისი ახალი მასწავლებელი გაიცნო.

.....
.....
.....
.....

VII. წერიტი ღავაღების აქტივობები

22. 4-5 წინადადებით დანერეთ ტექსტის მოკლე შეჯამება (ვინ იყო ალექსანდრე ქართველი, რას საქმიანობდა, რომელ ქვეყნებში მუშაობდა და ცხოვრობდა და რით გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი):

.....
.....
.....
.....
.....
.....

23. ა. გაცანით ე.წ. ხუთსტრიქონიანი ლექსის ნიმუშს პატარა ტექსტის მიხედვით და შემდეგ დანერეთ მსგავსი ტექსტი ალექსანდრე ქართველის მიხედვით.

ნიმუში: ასტრიდ ლინდგრენი შვედი მწერალია.

იგი დაიბადა 1907 წლის 14 ნოემბერს. 18 წლამდე ოჯახთან ერთად ქალაქ ვიმერბი-
უში ცხოვრობდა. შემდეგ სტოკჰოლმში დასახლდა. იქ დაიწყო მან საბავშვო წიგ-
ნების წერა. ხასიათით ასტრიდი ყველაზე მეტად, ალბათ, პეპის ჰგავდა. მასავით
კეთილი, მებრძოლი ადამიანი იყო. მუდამ სიმართლეს იცავდა. ასტრიდს ძალიან
უყვარდა ცხოველები. იგი წუხდა, რომ მათ ცუდად ეპყრობოდნენ. ასტრიდი ცხოვე-
ლების დასაცავად იბრძოდა.

(არსებითი სახელი) ასტრიდ ლინდგრენი
(ზედსართავი) კეთილი, (ზედსართავი) მებრძოლი

(ზმნა) ცხოვრობდა, უყვარდა (ზმნა), წუხდა (ზმნა)

(ოთხსიტყვიანი ფრაზა) ასტრიდი საბავშვო წიგნებს წერდა
(არსებითი სახელი) შვედი ქალი

ასტრიდ ლინდგრენი
კეთილი, მებრძოლი,
ცხოვრობდა, უყვარდა, წუხდა,
ასტრიდი საბავშვო ლექსებს წერდა,
შვედი ქალი.

..... (არსებითი სახელი)

..... (ზედსართავი), (ზედსართავი),

..... (ზმნა), (ზმნა), (ზმნა)

(ოთხსიტყვიანი ფრაზა)

(არსებითი სახელი)

B1 სანიშორმასიომ ტაქსტი

ტაქსტი შარჩაუნია ინტარნეტ-საიტიდან:

<http://sport.gov.ge/index.php?pg=sporttypes&sportid=51>

ამთომური ლაშაშაჰაის აჰთორი: გუნტაშე შჰუბუნიანი

ახადი ქარტუდი ფეხბურთი

I. აჰთიშობაბი თაშის გახსნისთჰის

1. დააკვირდით ფოტოებს, გამოთქვით ვარაუდი, რა თემაზე იქნება ტექსტი?
2. თქვენი აზრით, რა არის ფიფა და უეფა?



3. უპასუხეთ კითხვებს:

- ა. რა იცით ფეხბურთის შესახებ?
- ბ. რომელი ფეხბურთელები გაგიგიათ?
- გ. გიყვართ ფეხბურთის ყურება?
- დ. სად უყურებთ ფეხბურთს?

გამოიყენეთ ფრაზები:

მე ვიცი, რომ ფეხბურთი...
ცნობილი ფეხბურთელები არიან...
ფეხბურთს ვუყურებ...


საქართველოს ეროვნული
საფეხბურთო ნაკრები



**მე ვარ
საქართველო**

საქართველოს
ფეხბურთის ეროვნული ნაკრების
სიმბოლო „ევრო 2024-ზე“

3. როგორ ფიქრობთ, რაზე მიანიშნებს სიმბოლოს სიტყვები?



4. უპასუხეთ კითხვებს:

- ა. როგორ ფიქრობთ, არის საქართველოში ფეხბურთის ფედერაცია?
- ბ. როგორ ფიქრობთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არის ფიფა-ს და უეფას-ს წევრი?

ეს საინტერესოა!

ფიფა – ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია – FIFA (აბრევიატურა ფრანგული დასახელებიდან – Fédération Internationale de Football Association).

უეფა – საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებს ევროპულ ფეხბურთს და ევროპული ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს – UEFA (აბრევიატურა ფრანგული დასახელებიდან – Union Européenne de Football Association).

სფფ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საერთაშორისო დასახელება – Georgian Football Federation – GFF.

II. ღეჟსიკაზე, ფრეზეზე, კონსტრუქციეზე და ზონეზე ლეკვირეზე

სიფეზე	ზონე
ნეკრეზე – სპორტსმენთა გუნდი, გერთიანეზე.	შემოტანა – გარედან შიგნით,
მეკარე – მოთამაშე, რომელიც კარში დგას და იცავს.	შემოიტანეს მათ ის
მცველი – მოთამაშე, რომელიც ახლოს დგას მეკარესთან და იცავს კარს.	დაკვირეზე – ყურადღებით შეხედვა, აკვირდებოდნენ ისინი მას
ნახევარმცველი – მოთამაშე, რომელიც ეხმარება მცველსაც და შეტევის ფეხბურთელებსაც.	ათვისეზე – შესწავლა, აითვისეს მათ ის
თავდამსხმელი – შემტევი მოთამაშე, რომლის ძირითადი ფუნქციეაა გოლების გატანა.	წაგეზე/დამარცხეზე – თამაშის დროს უფრო ცუდი შედეგი, წააგეს მათ ის, დამარცხდნენ ისინი
	მოგეზე/გამარჯეზე – თამაშის დროს უფრო კარგი შედეგი, მოიგეს მათ ის, გაიმარჯვეს მათ

სიტყვა	ზმნა
მსაჯი – პირი, რომელიც თამაშის დროს აკონტროლებს თამაშის წესების დაცვას.	წარმოჩენა/გავრცელება – გააგებინეს მსოფლიოს საქართველოს სახელი
მატი – შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში.	მიჯაჭვა – ერთ ადგილზე იძულებით გაჩერება, მიჯაჭვეს მათ ისინი
გოლი – თამაშის დროს ბურთის შეგდება კარში.	გავრცელდა ის – ცნობილი გახდა
ვარჯიში – ერთისა და იმავე მოძრაობის, მოქმედების მრავალჯერ გამეორება.	დასწრება – იქ ყოფნა, ყურება, ესწრებოდა ის მას
მწვრთნელი – პირი, რომელიც ავარჯიშებს სპორტსმენებს.	
შეჯიბრება – დაპირისპირება, თამაში გამარჯვებულის გამოსავლენად.	
მერვედფინალი – თამაში, სადაც უნდა გამოვლინდეს მომდევნო ეტაპზე, მეოთხედფინალში, გადასული გუნდი, სპორტსმენი.	
მეოთხედფინალი – თამაში, სადაც უნდა გამოვლინდეს მომდევნო ეტაპზე, ნახევარფინალში, გადასული გუნდი, სპორტსმენი.	
ნახევარფინალი – თამაში, სადაც უნდა გამოვლინდეს მომდევნო ეტაპზე, ფინალში, გადასული გუნდი, სპორტსმენი.	
ფინალი – თამაშის ეტაპი, სადაც უნდა გამოვლინდეს საბოლოოდ გამარჯვებული გუნდი, სპორტსმენი.	
გამარჯვება – ბრძოლის, თამაშის მოგება, წარმატება.	
მარცხი – ბრძოლის, თამაშის წაგება.	
ფრე – შეჯიბრების დასრულება თანაბარი ანგარიშით, როცა გამარჯვებული არ არის არც ერთი გუნდი, მოთამაშე.	
ჯილდო – გამარჯვებისთვის, დამსახურებისთვის მიღებული საჩუქარი, აღიარება.	

სიტყვა	ზმნა
<p>დებიუტანტი – პირი, გუნდი, რომელიც პირველად ასრულებს კონკრეტულ საქმიანობას.</p> <p>ბომბარდირი – ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლის ავტორი ფეხბურთელი.</p> <p>ჯარიმა – სპორტსმენის დასჯა წესების დარღვევისთვის.</p> <p>პენალტი – საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში, მონინაალმდეგის კარში 11 მეტრის მანძილიდან.</p> <p>ტრადიციები – წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.</p> <p>ჩემპიონატი, ტურნირი – გარკვეული მასშტაბის შეჯიბრება სპორტის სახეობაში.</p> <p>გულშემატკივარი – გუნდის, სპორტსმენის მხარდამჭერი შეჯიბრების დროს.</p> <p>ვარდნა – მინდორზე დავარდნით, ჩანოლით ბურთის მოგერიება, წართმევა.</p> <p>დრიბლინგი – ბურთის სწრაფად, ოსტატურად ტარება ფეხბურთში.</p> <p>შეტევა – ბურთით წინსვლა მონინაალმდეგის კარისკენ.</p> <p>მაყურებელი – ვინც უყურებს თამაშს.</p> <p>არენა – მოედანი.</p> <p>ჩემპიონი – გამარჯვებული.</p>	
<p>ზედსართავი სახელი (როგორი?)</p>	
<p>არაჩვეულებრივი – ძალიან კარგი, გასაოცარი</p> <p>ძვირადღირებული – მაღალი ფასის მქონე</p> <p>გამორჩეული – სხვებზე უკეთესი</p> <p>ლეგენდარული – საუკეთესო, არაჩვეულებრივი</p>	

ფრაზები	კონსტრუქციები
<p>ბურთის ართმევა – ბურთის ძალით წართმევა</p> <p>ბურთის მოგერიება – ბურთის დაჭერა, უკუგდება</p> <p>სრულუფლებიანი წევრი – ყველანაირი უფლების მქონე წევრი</p> <p>ძვირადღირებული მეკარე, სპორტსმენი – სპორტსმენი, რომელიც შეფასებულია მაღალი თანხით</p> <p>დაძაბული მატჩი – შეჯიბრი, როცა მოწინააღმდეგეები განსაკუთრებულად იბრძვიან გამარჯვებისთვის</p> <p>საჩვენებელი მატჩი – ყველას სანახავად ჩატარებული შეჯიბრი</p> <p>გაიმართა ჩემპიონატი – ჩემპიონატი, შეჯიბრებები ჩატარდა</p> <p>ჯილდო მოიპოვა – აღიარება, საჩუქარი მიიღო</p> <p>გოლის გატანა – ბურთის შეგდება მოწინააღმდეგის კარში</p> <p>ჯგუფური თამაში – შეჯიბრი, როცა ერთ ჯგუფში რამდენიმე გუნდი ან სპორტსმენია და მათ შორის უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად</p> <p>მოიპოვეს საგზური – მიიღეს (ევროპის) ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება</p> <p>ჩაუტარდა რეკონსტრუქცია – გარემონტდა, გადაკეთდა, გაახლდა</p>	<p>ქართველებმა მოიპოვეს საგზური ქართველები მოიპოვებენ საგზურს</p> <p>„დინამო“ დაამარცხა „კარლ ცაისი“ „დინამო“ დაამარცხებს „კარლ ცაისს“</p> <p>თავდამსხმელებმა გაიტანეს გოლები თავდამსხმელები გაიტანენ გოლებს</p>

III. ლავაღებები ლექსიკაზე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე

5. დააკავშირეთ სინონიმები:


მოგება	ჩემპიონატი
წაგება	ისწავლეს
აითვისეს	გამარჯვება
ტურნირი	წარმოაჩინეს
არაჩვეულებრივი	მოედანი
არენა	გამორჩეული
ასახელეს	დამარცხება

6. სიტყვები დააკავშირეთ ერთმანეთთან:

ბურთის	ჩატარდა
გოლის	მატჩი
ძვირადღირებული	რეკონსტრუქცია
ტურნირი	ართმევა
დაძაბული	თამაში
ჩაუტარდა	მეკარე
ბურთის	მოგერიება
ჯგუფური	გატანა
ჯილდო	საგზური
მოიპოვეს	წევრი
სრულუფლებიანი	მოიპოვა

7. ა. დააკვირდით საფეხბურთო მოედანს და ფეხბურთელთა განლაგებას:

საფეხბურთო მოედანი



1 – მეკარე; 2, 3, 4, 5 – მცველები; 6, 7, 8 – ნახევარმცველები;
9, 10, 11 - თავდამსხმელები; 12 – მსაჯი

ბ. სიტყვები დააკავშირეთ განმარტებებთან:

მეკარე	აკონტროლებს თამაშის წესებს.
მცველი	ეხმარება როგორც დაცვას, ასევე თავდასხმას.
ნახევარმცველი	დგას კარში, არის კარის დამცველი.
თავდამსხმელი	თამაშობს დაცვაში და ეხმარება მეკარეს.
მსაჯი	შემტევი მოთამაშე, რომლის ძირითადი დანიშნულება გოლების გატანაა.

8. ა. დააკვირდით ფოტოებს:


რა იცით ფოტოებზე გამოსახული პიროვნებების შესახებ?



ბორის პაიჭაძე



ბულუ ზივზიშვილი



ირაკლი აპაროვი



გიორგი მამარდაშვილი



გიორგი მიქაუტაძე



მიხეილ მესხი



გიორგი ქობორაშვილი



ნიკა კვარაცხელია



ვლადიმერ გუცაევი



დავით ყიფიანი

ბ. წაიკითხეთ მცირე ინფორმაცია ფოტოებზე გამოსახული ფეხბურთელების შესახებ და მიაწერეთ მოედანზე მათი პოზიციის შესაბამისი ნომერი (გამოიყენეთ N7 სავარჯიშო):

- ა. ბორის პაიჭაძე (1915-1990) – ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი. 9, 10, 11
- ბ. მიხეილ მესხი (1937-1991) – ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი.

- ბ.** ვლადიმერ გუცაევი (1952) – ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი.
- დ.** დავით ყიფიანი (1951-2001) – ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.
- ა.** გიორგი მიქაუტაძე (2000) – თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი.
- ბ.** გიორგი მამარდაშვილი (2000) – თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი, მეკარე.
- გ.** გიორგი ქოჩორაშვილი (1999) – თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.
- დ.** ირაკლი აზაროვი (2002) – თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი, მცველი.
- ე.** ხვიჩა კვარაცხელია (2001) – თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.
- ვ.** ბუღუ ზივზივაძე (1994) – თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი, თავდამსხმელი.

IV. ტექსტის კითხვის პროცესი

9. წაიკითხეთ ტექსტი:

- 1.** ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, გუნდური სპორტის სახეობაა. საქართველოში ფეხბურთი ინგლისელებმა **შემოიტანეს**. ბათუმისა და ფოთის პორტებში შემოსული ბრიტანული გემების მეზღვაურები ხშირად თამაშობდნენ „ფუტბოლს“, რომელთაც **აკვირდებოდნენ** ქართველები და მალევე **აითვისეს** სპორტის ეს სახეობა. 1975 წელს რეჟისორმა ნანა მჭედლიძემ პირველ ენთუზიასტ ფეხბურთელებზე გადაიღო ფილმი „პირველი მერცხალი“. ფილმის გმირები თანამოქალაქეთა დაცინვისა და ფინანსური პრობლემების მიუხედავად ოპტიმიზმით იბრძვიან ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის (ფილმის ნახვა შეგიძლიათ საიტზე: <https://www.youtube.com/watch?v=HpYCzDWG7Zo> საძიებო სიტყვა „პირველი მერცხალი“).
- 2.** 1890 წელს ქართულ პრესაში პირველად დაინერა ინფორმაცია ფეხბურთის შესახებ და თანდათან თამაში ზღვისპირეთიდან **გავრცელდა** საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1906 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „ბურთის ფეხით მოთამაშეთა“ პირველი გუნდი. თავდაპირველად ფეხბურთის მატჩები გიმნაზიელთა ექსკურსიებზე ტარდებოდა. 1909 წლის 22 ოქტომბერს ქუთაისში ექსკურსიაზე მყოფმა თბილისის I და II ვაჟთა გიმნაზიის გუნდებმა საქართველოში პირველი ოფიციალური **საჩვენებელი** მატჩი გამართეს, რომელსაც ქუთაისის გუბერნატორიც კი ესწრებოდა.

3. მალე ათეულობით საფეხბურთო გუნდი ჩამოყალიბდა სოხუმში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში, თუმცა ვერ შეიქმნა ერთიანი საფეხბურთო ორგანიზაცია, რომელიც ფიფას წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო.
4. 1925 წელს **გაიმართა** საქართველოს პირველი **ჩემპიონატი** ექვსი გუნდის მონაწილეობით. **ფინალში** თბილისის **ნაკრებმა** აფხაზეთის ნაკრებს 3:1 (სამით ერთი) მოუგო. იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა თბილისის „დინამო“, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა და ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ **გამორჩეულ** გუნდად. „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა მრავალი დიდი **ჯილდო მოიპოვა**, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ევროპის თასების მფლობელთა თასი, რომლის ფინალიც გაიმართა 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“.
5. ფინალამდე თბილისის „დინამომ“ **დაამარცხა** ისეთი ძლიერი გუნდები, როგორც იყო საბერძნეთის „კასტორია“, ირლანდიის „უოტერფორდი“, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და როტერდამის „ფეინოორდი“. ფინალში „დინამომ“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „კარლ ცაისი“ დაამარცხა ანგარიშით 2:1 (ორით ერთი). მოწინააღმდეგეთა კარში **გოლები გაიტანეს** ვლადიმერ გუცაევმა და ვიტალი დარასელიამ. ამ გამარჯვებამ მთელი საქართველო გაახარა. **არაჩვეულებრივად** დახვდა ქართველი გულშემატკივარი საყვარელ ფეხბურთელებს ეროვნულ სტადიონზე. მათზე წერდა პრესა და საუბრობდა ტელევიზია. ყველა მღეროდა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის სიმღერას „დინამო, დინამო“ (https://www.youtube.com/watch?v=2Fa337b_MIU საძიებო სიტყვა „დინამო, დინამო“).
6. 1990 წლის 15 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც მალე ფიფას და უეფას **სრულუფლებიანი წევრი** გახდა. მას შემდეგ ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი აღიზარდა ქართულ საფეხბურთო კლუბებში და ისინი გავიდნენ ევროპული კლუბების ასპარეზზე. ამჟამად, ასობით ქართველი ფეხბურთელი უცხოურ კლუბებში წარმატებით თამაშობს.
7. დასამახსოვრებელი და წარმატებული აღმოჩნდა 2024 წელი ქართული ფეხბურთისთვის. 2024 წელს ქართველი **გულშემატკივარის** ოცნება ახდა. უილი სანიოლის **განვრთნილმა** საქართველოს ეროვნულმა **ნაკრებმა**, **ჯგუფური თამაშების ნახევარფინალში** დაამარცხა ლუქსემბურგის ნაკრები, ანგარიშით: 2:1 (ორით ერთი) და 2024 წლის 26 მარტს ფინალში შეხვდა საბერძნეთის ნაკრებს. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და **პენალტების** სერიაში ქართველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს. ამ **გამარჯვებით** ქართველებმა **მოიპოვეს საგზური „ევრო 2024-ზე“**. **დებიუტანტმა გუნდმა** ჯგუფში თურქეთის ნაკრებთან ნააგო, ჩეხეთის ნაკრებთან **ფრე** ითამაშა, პორტუგალიის უძლიერს გუნდს მოუგო და **მერვედფინალში** გავიდა.
8. მერვედფინალში საქართველო ეთამაშა ესპანეთის ნაკრებს, რომელიც **ტურნირის** დასაწყისშივე მოიაზრებოდა სავარაუდო **ჩემპიონად**. ესპანეთს ჰყავს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეთა ნაკრები. ამ ჩემპიონატზე საქართველოსთან თამაშამდე საკუთარ კარში გოლიც არ ჰქონდათ გაშვებული. პირველი **გოლი** მათ კარში საქართველოს ნაკრებმა გაიტანა. ესპანეთის ნაკ-

რები დამსახურებულად გახდა „ევრო 2024 -ის“ გამარჯვებული. მათ ნათამაშები შვიდი **მატჩიდან** შვიდივე მოიგეს.

9. ქართველმა ფეხბურთელებმა მერვედფინალი **ნააგეს**, მაგრამ ღირსეულად იბრძოლეს, პირველი გოლის შემდეგ კიდევ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს და შესანიშნავად **წარმოაჩინეს** ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო **ტრადიციები**, მოიგეს გულშემმატკივართა გულები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, **ასახელეს** საქართველო, დიდი და პატარა ტელეეკრანებს **მიაჯაჭვეს** ორი კვირის განმავლობაში და ჩვენი ფეხბურთელები მომავალი თაობის საყვარელ გმირებად იქცნენ.
10. მიუხედავად ტურნირის ფავორიტ ესპანეთთან განცდილი **მარცხისა**, მთელი ერი მათ გამარჯვებულად თვლის და სიყვარულით შეეგება ათასობით **გულშემატკივარი** საქართველოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს.
11. „ევრო 2024-ზე“ ქართველ ფეხბურთელთა არაერთი წარმატება გამოვლინდა: საქართველოს ნაკრები გახდა **დებიუტანტი** ფინალისტი; გიორგი მიქაუტაძე სამი გატანილი გოლით გახდა **ბომბარდირი** და „ოქროს ბუცის“ მფლობელი; გიორგი მამარდაშვილს ჰქონდა **ბურთის** ყველაზე მეტი **მოგერიება** – 29, ის გახდა ყველაზე **ძვირადღირებული მეკარე**, გიორგის სატრანსფერო ღირებულება 45 მილიონი ევრო გახლავთ. გარდა ამისა, ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე მეტი – 7 ვარდნა განახორციელა გიორგი ჩაკვეტაძემ, ყველაზე მეტჯერ – 26-ჯერ **ბურთის ართმევა** – გიორგი ქოჩორაშვილმა, ხოლო ყველაზე სწრაფად და ოსტატურად ბურთი მოედანზე ატარა **(დრიბლინგი)** ხვიჩა კვარაცხელიამ – 26, ტურნირის მე-2 ადგილის შედეგი.
12. საქართველოს ეროვნული ნაკრები ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ჩატარდება 2026 წელს. ქართველ გულშემმატკივარს გვჯერა, რომ წინ მრავალი წარმატება ელის ჩვენს გუნდს.

წყარო: <http://sport.gov.ge/index.php?pg=sporttypes&sportid=51>

ეს საინტერესოა!

დინამო არენა – საფეხბურთო სტადიონი თბილისში, რომელიც აშენდა 1935 წელს. მრავალჯერ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. 1976 წლიდან სტადიონზე 75 000 მაყურებელი ეტეოდა, ხოლო 2006 წელს უეფა-ს მოთხოვნის შესაბამისად განახლდა და მოეწყო სტადიონი. მას შემდეგ ოფიციალური ტევადობა არის 54 139 ადამიანი.

სპეციალისტთა შეფასებით ჩვენი ეროვნული სტადიონი ამჟამად ერთ-ერთ საუკეთესო არენად ითვლება აღმოსავლეთ ევროპაში.

1995 წლიდან სტადიონს ქართული ფეხბურთის ლეგენდარული წარმომადგენლის, ბორის პაიჭაძის სახელი ეწოდა.



V. გავაზიაროთ ჩვენი აზრები

10. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ სწორი პასუხები:

- ა.** ვისგან ისწავლეს ქართველებმა ფეხბურთი?
1. ფრანგებისგან
 2. გერმანელებისგან
 3. ინგლისელებისგან
- ბ.** ვინ ითამაშა საქართველოში პირველად გამართულ საჩვენებელ მატჩში?
1. გიმნაზიის ვაჟთა გუნდებმა
 2. გიმნაზიის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა
 3. უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდებმა
- გ.** ვინ გაიტანა გოლები ფინალურ შეხვედრაში 1981 წლის 13 მაისს?
1. ხვიჩა კვარაცხელიამ
 2. გიორგი ჩაკვეტაძემ
 3. ვიტალი დარასელიამ და ვლადიმერ გუცაევმა
- დ.** როდის შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ-GFF)?
1. 1909 წლის 22 ოქტომბერს
 2. 1981 წლის 13 მაისს
 3. 1990 წლის 15 თებერვალს
- ე.** რომელი გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს „ევრო 2024-ის“ მერვედფინალში?
1. საქართველო-პორტუგალია
 2. საქართველო-ესპანეთი
 3. საქართველო-თურქეთი

11. ა. ინფორმაციას მიუწერეთ სწორია თუ არა:

N	წინადადება	სწორია/არასწორია
1.	რეჟისორმა ნანა მჭედლიძემ გადაიღო ფილმი ქართულ ფეხბურთზე.	სწორია
2.	ფეხბურთი საქართველოში ზღვისპირეთიდან გავრცელდა.	
3.	1890 წელს შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.	

N	წინადადება	სწორია/არასწორია
4.	1925 წელს საქართველოში გაიმართა პირველი ჩემპიონატი.	
5.	თბილისის „დინამო“ მხოლოდ საქართველოში თამაშობდა.	
6.	თბილისის „დინამომ“ მოიგო თასის მფლობელთა თასი.	
7.	ევროპის ჩემპიონატზე საქართველო მონაწილეობდა მეხუთედ.	
8.	ამჟამად გიორგი მამარდაშვილი ყველაზე ძვირადღირებული მეკარეა.	
9.	ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე მეტი ბურთის ართმევა განახორციელა გიორგი ქოჩორაშვილმა.	
10.	გიორგი მიქაუტაძე არის „ოქროს ბუცის“ მფლობელი.	

ბ. გაასწორეთ არასწორი წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

VI. ზრავათიკუნდ საკითხებზე ორიენტირებული აქტივობები

12. ა. დააკვირდით ცხრილს:

შარჟან წინა რეპიონაძე	წინა რეპიონაძე	ჟინსაძე პოპაძე რეპიონაძე
მოიგო მან ის (გუნდმა თამაში)	იგებს ის მას (გუნდი თამაშს)	მოიგებს ის მას (გუნდი თამაშს)
წააგო მან ის (გუნდმა თამაში)	აგებს ის მას (გუნდი თამაშს)	წააგებს ის მას (გუნდი თამაშს)
ითამაშა მან ის (ნაკრებმა ფეხბურთი)	თამაშობს ის მას (ნაკრები ფეხბურთს)	ითამაშებს ის მას (ნაკრები ფეხბურთს)
შეუტია მან მას (თავდამსხმელმა კარს)	უტევს ის მას (თავდამსხმელი კარს)	შეუტევს ის მას (თავდამსხმელი კარს)

შარჟან წინა ჩაპირონაობა	წელს ამ ჩაპირონაობა	გაისაქ ჟოთაჟალ ჩაპირონაობა
მოიგერია მან ის (მეკარემ ბურთი)	იგერიებს ის მას (მეკარე ბურთს)	მოიგერიებს ის მას (მეკარე ბურთს)
გაიმარჯვა მან (გუნდმა)	იმარჯვებს ის (გუნდი)	გაიმარჯვებს ის (გუნდი)
მოიპოვა მან ის (გუნდმა თასი)	იპოვებს ის მას (გუნდი თასს)	მოიპოვებს ის მას (გუნდი თასს)
აართვა მან მას ის (ფეხბურთელმა მოწინააღმდეგეს ბურთი)	ართმევს ის მას მას (ფეხბურთელი მოწინააღმდეგეს ბურთს)	ართმევს ის მას მას (ფეხბურთელი მოწინააღმდეგეს ბურთს)

ბ. ცხრილში მოცემული ზმნებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: თურქეთის გუნდმა მოიგო თამაში ჩეხეთის ნაკრებთან.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

13. წინადადებებში სიტყვები ჩასვით სწორი ფორმით:

- ა. მიქაუტაძემ ბურთი კარში მეთხუთმეტე წუთზე გაიტანა. (მიქაუტაძე, ბურთი)
- ბ. 1981 წელს მოიპოვა (დინამო, თასი)
- გ. შეუტევს მეტოქეს. (თავდამსხმელი)
- დ. მოიგერია. (მეკარე, პენალტი)
- ე. საქართველოს ფეხბურთელთა კიდევ მრავალჯერ გაიმარჯვებს. (ნაკრები)
- ვ. ფინალში ინგლისის წააგო ესპანეთთან. (ნაკრები)

14. წინადადებებში ჩასვით სიტყვა სწორი ფორმით:

- ა. სპორტსმენებმა/სპორტსმენები საქართველოს გაუთქვეს სახელი.
- ბ. ფინალში (ესპანეთი/ესპანეთმა) ეთამაშება ინგლისს.
- გ. (ქართველები/ქართველებმა) ფეხბურთი ისწავლეს ინგლისელებისგან.
- დ. ტურნირზე (გიორგი ქოჩორაშვილი/გიორგი ქოჩორაშვილმა) ყველაზე მეტი ბურთი აართვა მონინააღმდეგეს.
- ე. მსოფლიო (ჩემპიონატი/ჩემპიონატმა) გაიმართება 2026 წელს.
- ვ. (მამარდაშვილი/მამარდაშვილმა) თამაშში რამდენიმე ბურთი მოიგერია.

15. წინადადებაში ჩასვით ზმნა სწორი ფორმით:

- ა. საქართველოში ფეხბურთი ინგლისელებმა შემოიტანეს/შემოიტანენ.
- ბ. ქართველები (მოიპოვეს/მოიპოვებენ) მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს.
- გ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (აირჩია/აირჩევს) პრეზიდენტი.
- დ. „ევრო 2024-ის“ ტურნირის თასი ესპანელებმა (მოიგებენ/მოიგეს).
- ე. გიორგი ჩაკვეტაძემ „ოქროს ბუცი“ (დაიმსახურებს/დაიმსახურა).
- ვ. ქართველი ფეხბურთელები მრავალჯერ (გაახარეს/გაახარებენ) ქართველ გულშემატკივარს.

VII. ასკვლობაზე ორიენტირებული აქტივობა**16. ისაუბრეთ შეკითხვების მიხედვით:**

- ა. თქვენი აზრით, რატომ არის ფეხბურთი პოპულარული?
- ბ. რა დანიშნულება აქვს თამაშის დროს მეკარეს, დაცვას, ნახევარდაცვას ან თავდამსხმელს?
- გ. თქვენი აზრით, ამ მოთამაშეთაგან რომელია უფრო მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოედანზე?

საუბრისას გამოიყენეთ ფრაზები:

ფეხბურთის პოპულარულობას
განსაზღვრავს...
მე ვფიქრობ...

ჩემი აზრით...
ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ...

VIII. წერიტი ღაჰაღაის აჰიჰოაბი

17. ფოტოებს მიუნერეთ პროცესის ამსახველი ფრაზები:

ა. ვარდნა-ბურთის წართმევა
მოგერიებისთვის

ბ. ბურთის ლამაზად ტარება-
დრიბლინგი

გ. ბურთის დარტყმა კარისკენ

დ. ბურთის ართმევა

ე. პენალტი

ვ. ბურთის მოგერიება



1.



2.



3.



4.



5.

6.

18. დაწერეთ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მომავალი წარმატებები:

გამოიყენეთ ფრაზები:

- საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მოიპოვებს...
- ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ...
- გაიმარჯვებენ, რადგან...
- მეკარე მოიგერიებს...
- პენალტს დაარტყამს...
- და სხვა

19. გირჩევთ, უყუროთ ქართულ ფილმებს:

- „ბურთი და მოედანი“
- „ფეოლა“
- „პირველი მერცხალი“

პასუხები

A2

ღიწობავრები

სავარჯიშო 2

1. **მეცნიერები** დაინტერესდნენ დინოზავრების გარეგნობით და ცხოვრების წესით.
2. მეცნიერებმა გათხარეს **ნამარხი** და აღმოაჩინეს დინოზავრების ძვლები.
3. დინოზავრები დიდი ხნის წინ **გადაშენდნენ**.
4. არსებობს **ვარაუდი**, რომ დინოზავრები არ გადაშენებულან.
5. დინოზავრებმა **სახე** იცვალეს და განვითარდნენ.
6. ყველაზე დიდი დინოზავრის **წონა** 110 ტონა იყო.
7. მეცნიერებმა ნამარხების გათხრისას დინოზავრებზე საინტერესო **ფაქტები** იპოვეს.
8. დღეს **ზუსტად** არავინ იცის, რატომ გადაშენდნენ დინოზავრები.
9. **მტაცებელი** დინოზავრები სხვა ცხოველებს ჭამდნენ.
10. დინოზავრების გადაშენების მიზეზი ჯერ კიდევ **უცნობია**.

სავარჯიშო 3

გაჩნდნენ	დაიბადნენ
გადაშენდნენ	დაიხოცნენ
განვითარდნენ	სახე იცვალეს
განსაკუთრებით	გამორჩეულად
აღმოაჩინა	იპოვა
ვარაუდობს	მოსაზრებას გამოთქვამს
ბინადარი	მცხოვრები
ნავარდობს	ლალად, თავისუფლად დაფრინავს

სავარჯიშო 5

1. სეისმოზავრი.
2. ფუტკრისებრი კოლიბრი.
3. ნამარხი.

სავარჯიშო 6

- სწორია: 1, 4, 5, 7.
არასწორია: 2, 3, 6, 8, 9.

სავარჯიშო 7

ფაქტი:

1. ისინი 230 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.
2. 1824 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა უილიამ ბაქლენდმა იპოვა დინოზავრის სამარხი.
3. დინოზავრები გადაშენდნენ.
4. ყველაზე დიდი მტაცებელი გიგანტოზავრი იყო.
5. კოლიბრი მხოლოდ 1,6 გრამს იწონის და ნეკა თითზე პატარაა.
6. კოლიბრი ყველაზე პატარა დინოზავრია.

ვარაუდი:

1. დინოზავრები ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ დედამიწაზე.
2. დინოზავრებმა დაახლოებით 165 მილიონი წელი იცხოვრეს.

3. სეისმოზავრი დაახლოებით ორმოცდაათი მეტრი უნდა ყოფილიყო.
4. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფრინველები და დინოზავრები ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან.

სავარჯიშო 8
ა) ბ) გ)

- ა)
დიდი ხნის წინ; უფრო ადრე; 230 მილიონი წლის წინ; 1842 წელს.
- ბ)
როდის?
- გ)
1. 1824 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა უილიამ ბაქლენდმა იპოვა დინოზავრის ნამარხი.
2. დინოზავრებმა დაახლოებით 165 მილიონი წელი იცხოვრეს.
3. დინოზავრები რამდენიმე მილიონი წლის წინ გადაშენდნენ.
4. სამი წლის წინ უნივერსიტეტში ჩავაბარე და ერთი წლის შემდეგ დავამთავრებ.
5. ამ წელს სახლში რემონტის გაკეთებას ვგეგმავ.
6. ევროპაში ხუთი წელი ვიცხოვრე და ერთი წლის წინ ამერიკაში გავემგზავრე.
7. რამდენიმე წლის წინ დიდი თოვლი მოვიდა, ამ წელს კი ჯერ არ მოუთოვია.
8. ამ ფოტოს გადაღებიდან იმდენი წელი გავიდა, რომ აღარ მახსოვს, რამდენი წლის ვარ.
9. ჟურნალის დაბეჭდვას ნახევარი წელი დასჭირდა.
10. ჩემი სამი წლის ძმა უკვე კარგად ლაპარაკობს.

სავარჯიშო 9
ა)

- დინოზავრები დედამიწაზე ცხოვრობდნენ იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ადამიანები.
- ისინი 230 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ და დაახლოებით 165 მილიონი წელი იცხოვრეს, შემდეგ კი გადაშენდნენ.
- თუ ეს მართალია, მაშინ ყველაზე პატარა დინოზავრი კუბის ბინადარი ფუტკრისებრი კოლიბრი ყოფილა.

სავარჯიშო 10
ა)

ბრუნვები	არსებითი სახელი	ნაცვალსახელი
სახელობითი	ცხოველი	რომელიც
მოთხრობითი	ცხოველმა	რომელმაც
მიცემითი	ცხოველს	რომელსაც

სავარჯიშო 10
ბ)

1. ვიჩუქებ შინაურ ცხოველს, რომელსაც დავარქმევ ორიგინალურ სახელს.
2. ლურჯი ვეშაპი არის ცხოველი, რომელიც ყველაზე დიდია ზომით.
3. ღამით სოფელში შემოსულმა გარეულმა ცხოველმა, რომელმაც კვალი დატოვა, ერთი ქათამი შეჭამა.

სავარჯიშო 11
ა)

როგორი?

სავარჯიშო 11
ბ)

ყველაზე დიდი – უდიდესი.
ყველაზე გრძელი – უგრძესი.
ყველაზე პატარა – უმცირესი.

სავარჯიშო 12

„ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ დინოზავრები არ გადაშენებულან, განვითარდნენ და სახე იცვალესო.“

კარამელი

სავარჯიშო 1	ბ																					
სავარჯიშო 2	ხდება, ლღვება, გადაიქცევა.																					
სავარჯიშო 3	ესენცია, გამჭვირვალე, ფხვნილი, სიროფი.																					
სავარჯიშო 4	ა) რა? ბ) რა ფერის? გ) რად? დ) რით? ე) როგორია? ვ) რისი?																					
სავარჯიშო 5	1. - ა; 2. - ბ; 3. - დ; 4. - გ; 5. - გ;																					
სავარჯიშო 6	<table border="1"> <thead> <tr> <th>წინადადებები</th> <th>სწორი</th> <th>არასწორი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1. კარამელს კერძების მომზადებაში იყენებენ.</td> <td></td> <td>+</td> </tr> <tr> <td>2. კარამელის კანფეტი ადვილად მზადდება.</td> <td>+</td> <td></td> </tr> <tr> <td>3. დანამდვილებით არ ვიცით კარამელის გამომგონებლის ვინაობა.</td> <td>+</td> <td></td> </tr> <tr> <td>4. საქართველოში კარამელი ქარხნული წესით მზადდება.</td> <td>+</td> <td></td> </tr> <tr> <td>5. კარამელი ფრანგულად შაქრიან წყალს ნიშნავს.</td> <td></td> <td>+</td> </tr> <tr> <td>6. კარამელის კანფეტი მხოლოდ ერთი სახისაა.</td> <td></td> <td>+</td> </tr> </tbody> </table>	წინადადებები	სწორი	არასწორი	1. კარამელს კერძების მომზადებაში იყენებენ.		+	2. კარამელის კანფეტი ადვილად მზადდება.	+		3. დანამდვილებით არ ვიცით კარამელის გამომგონებლის ვინაობა.	+		4. საქართველოში კარამელი ქარხნული წესით მზადდება.	+		5. კარამელი ფრანგულად შაქრიან წყალს ნიშნავს.		+	6. კარამელის კანფეტი მხოლოდ ერთი სახისაა.		+
წინადადებები	სწორი	არასწორი																				
1. კარამელს კერძების მომზადებაში იყენებენ.		+																				
2. კარამელის კანფეტი ადვილად მზადდება.	+																					
3. დანამდვილებით არ ვიცით კარამელის გამომგონებლის ვინაობა.	+																					
4. საქართველოში კარამელი ქარხნული წესით მზადდება.	+																					
5. კარამელი ფრანგულად შაქრიან წყალს ნიშნავს.		+																				
6. კარამელის კანფეტი მხოლოდ ერთი სახისაა.		+																				
სავარჯიშო 7	<ol style="list-style-type: none"> კარამელს იყენებენ ტკბილეულისთვის: რთავენ ტორტს, უკეთებენ ნაყინს, ამზადებენ კანფეტებს; შემწვარ შაქარს ნიშნავს. კარამელის კანფეტი სხვადასხვანაირია. 																					
სავარჯიშო 9	ქარხნული – ფაბრიკული; სოუსი – თხევადი მასა; თანამედროვე – უახლესი; კომპანია – ფირმა; სხვადასხვანაირი – მრავალფეროვანი;																					
სავარჯიშო 10	<table border="1"> <thead> <tr> <th>ინფორმაცია</th> <th>№</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>კარამელის წარმომავლობა</td> <td>2</td> </tr> <tr> <td>კარამელის სოუსის მომზადების წესი</td> <td>4</td> </tr> <tr> <td>კარამელი- პატარების საყვარელი ნუგბარი</td> <td>5</td> </tr> <tr> <td>კარამელის ქარხნული წარმოება</td> <td>3</td> </tr> <tr> <td>კარამელის რაობა</td> <td>1</td> </tr> </tbody> </table>	ინფორმაცია	№	კარამელის წარმომავლობა	2	კარამელის სოუსის მომზადების წესი	4	კარამელი- პატარების საყვარელი ნუგბარი	5	კარამელის ქარხნული წარმოება	3	კარამელის რაობა	1									
ინფორმაცია	№																					
კარამელის წარმომავლობა	2																					
კარამელის სოუსის მომზადების წესი	4																					
კარამელი- პატარების საყვარელი ნუგბარი	5																					
კარამელის ქარხნული წარმოება	3																					
კარამელის რაობა	1																					
სავარჯიშო 11	თანამედროვე; ქარხნული; სხვადასხვანაირი; კომპანია; სოუსით;																					
სავარჯიშო 12	<table border="1"> <thead> <tr> <th>ანმყო</th> <th>უნყვეტელი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>უნოდებენ</td> <td>უნოდებდნენ</td> </tr> <tr> <td>რთავენ</td> <td>რთავდნენ</td> </tr> <tr> <td>უკეთებენ</td> <td>უკეთებდნენ</td> </tr> <tr> <td>ამზადებენ</td> <td>ამზადებდნენ</td> </tr> <tr> <td>აცხელებენ</td> <td>აცხელებდნენ</td> </tr> <tr> <td>ლღვება</td> <td>ლღვებოდა</td> </tr> <tr> <td>იცვლის</td> <td>იცვლიდა</td> </tr> <tr> <td>გადაიქცევა</td> <td>გადაიქცეოდა</td> </tr> </tbody> </table>	ანმყო	უნყვეტელი	უნოდებენ	უნოდებდნენ	რთავენ	რთავდნენ	უკეთებენ	უკეთებდნენ	ამზადებენ	ამზადებდნენ	აცხელებენ	აცხელებდნენ	ლღვება	ლღვებოდა	იცვლის	იცვლიდა	გადაიქცევა	გადაიქცეოდა			
ანმყო	უნყვეტელი																					
უნოდებენ	უნოდებდნენ																					
რთავენ	რთავდნენ																					
უკეთებენ	უკეთებდნენ																					
ამზადებენ	ამზადებდნენ																					
აცხელებენ	აცხელებდნენ																					
ლღვება	ლღვებოდა																					
იცვლის	იცვლიდა																					
გადაიქცევა	გადაიქცეოდა																					

ჰგავს	ჰგავდა
იყენებენ	იყენებდნენ
აძლევს	აძლევდნენ
უმატებენ	უმატებდნენ
ანარმოებს	ანარმოებდა

სავარჯიშო 13 ა) ამზადებდნენ; ბ) უმატებენ; გ) იყენებდა;
დ) იყენებენ; ე) ამზადებდა; ვ) უმატებს;

სავარჯიშო 14	ზმნები	მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
	მორთვა	ვრთავ	რთავ	რთავს	ვრთავთ	რთავთ	რთავენ
	დამატება	ვუმატებ	უმატებ	უმატებს	ვუმატებთ	უმატებთ	უმატებენ
	გამოყენება	ვიყენებ	იყენებ	იყენებს	ვიყენებთ	იყენებთ	იყენებენ
	გაცხელება	ვაცხელებ	აცხელებ	აცხელებს	ვაცხელებთ	აცხელებთ	აცხელებენ
	მსგავსება	მგავს	გგავს	ჰგავს	გვგავს	გგავთ	ჰგავთ
	წარმოება	ვანარმოებ	ანარმოებ	ანარმოებს	ვანარმოებთ	ანარმოებთ	ანარმოებენ

სავარჯიშო 15 ა) ტოლმისთვის; ბ) მარწყვისგან; გ) წესზე; დ) კაფედან; ე) ხილით; ვ) ქვაბში;

სავარჯიშო 16 ა) ბავშვები რთავენ ნაძვის ხეს; ბ) ბებიამ გააცხელა წვნიანი;
გ) ტურისტებს მოსწონთ სვანეთი; დ) ლელა ჰგავს დედას;

სავარჯიშო 17 ა) მასად; ბ) ბაყაყად; გ) ადგილად; დ) ქალაქად; ე) მოლარედ;
ვ) მზარეულად; ზ) ენერგეტიკოსად; თ) კონსულტანტად;

სავარჯიშო 18
5 – მართო შაქრისგან?.. და როგორ ამზადებენ?
2 – ეს კარამელია!
7 – კანფეტების გარდა, კიდევ რისთვის იყენებენ კარამელს?
4 – კარამელი მზადდება შაქრისგან.
1 – ეს რა არის?
6 – მართო შაქრისგან – არა. ჯერ ღღვება შაქარი. მერე უმატებენ რძეს, კარაქს, ვანილს. კარამელით ამზადებენ სხვადასხვანაირ კანფეტებს.
3 – კარამელი? გემრიელი ჩანს! რისგან მზადდება?
8 – ნაყინისა და ნამცხვრისთვის.

სავარჯიშო 20 აღლობენ, ტემპერატურაზე, უმატებენ, სოუსს, იყენებენ.

ბასოს დღის რეჟიმი

სავარჯიშო 1	ა) მოსწავლის საქმიანობა; ბ) დღის რეჟიმზე; გ) გოგოა
სავარჯიშო 2	ა) გოგოს სახელია
სავარჯიშო 3	კბილებს იხეხავს – N1; იღვიძებს – N2; იძინებს – N3; მეცადინეობს – N4; ხელ-პირს იბანს – N5; ჩანთაში ალაგებს – N6; წერს – N7; მიდის სკოლაში – N8; საუზმობს – N9; კითხულობს – N10.
სავარჯიშო 6	იხეხავს კბილებს/ იბანს ხელ-პირს/დგება საწოლიდან/წვება საწოლში/მიდის სკოლაში/სწავლობს გაკვეთილებს.
სავარჯიშო 9	მოსწავლის ერთი დღის საქმიანობა.
